სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

უნივერსიტეტთა შორის სტუდენტური კონფერენცია 2021 წლის აქტუალურ საკითხებზე

INTER-UNIVERSITY STUDENT CONFERENCE ON TOPICAL ISSUES OF 2021

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

უნივერსიტეტთა შორის სტუდენტური კონფერენცია 2021 წლის აქტუალურ საკითხებზე

INTER-UNIVERSITY STUDENT CONFERENCE ON TOPICAL ISSUES OF 2021

4

ღრუბლოვანი ტექნოლოგიები თანამედროვე სამყაროში
თორნიკე ედილაშვილი _ 6

ინტელექტუალური ასისტენტი ბიზნეს სამსახურში
მარიამ ელიკაშვილი _ 12

უნივერსალური საბაზისო შემოსავალი
ვერიკო თორდია _ 19

მარკეტინგის როლი ორგანიზაციის წარმატებაში
გიორგი თხილავა _ 27

“კრიპტოვალუტა“
თეონა ლაბაძე _ 34

თანამედროვე ტექნოლოგიები რომლებიც ჩვენ გვცვლიან
ზურაბ მოდებაძე _ 41

რუსეთის დიდი სტრატეგია ცივი ომის შემდეგ
დაჩი ფიჩხნარაშვილი _ 47

კიბერბულინგი უხილავი საფრთხე
ემილი ფოჩხუა _ 54

მოტივაცია და ლოიალური დამოკიდებულება განათლების სისტემაში კონსტანტინე შენგელია _ 61

სარჩევი

ISBN 978-9941-8-3694-7

5

CLOUD COMPUTING IN THE MODERN WORLD
TORNIKE EDILASHVILI _ 6

INTELLECTUAL ASSISTANT IN BUSINESS SERVICE
MARIAM ELIKASHVILI _ 12

UNIVERSAL BASIC INCOME
VERIKO TORDIA _ 19

THE ROLE OF MARKETING IN THE SUCCESS OF AN ORGANIZATION
GIORGI TKHILAVA _ 27

“CRYPTOCURRENCY”
TEONA LABADZE _ 34

MODERN TECHNOLOGIES THAT ARE CHANGING US
ZURAB MODEBADZE _ 41

RUSSIA’S BIG STRATEGY AFTER THE COLD WAR
DACHI PICHKHNARASHVILI _ 47

CYBERBULLYING AN INVISIBLE THREAT
EMILI POCHKHUA _ 54

MOTIVATION AND LOYAL ATTITUDE IN EDUCATION SYSTEM
KONSTANTINE SHENGELIA _ 61

CONTENT

ღრუბლოვანი ტექნოლოგიები თანამედროვე სამყაროში

CLOUD COMPUTING IN THE MODERN WORLD

თორნიკე ედილაშვილი
II კურსის იუნკერი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

TORNIKE EDILASHVILI
II YEAR JUNKER
LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ხელმძღვანელი: გიორგი კაკაშვილი ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში

SUPERVISOR: GIORGI KAKASHVILI DOCTOR OF ENGINEERING IN INFORMATICS

გორი
GORI
2021

6

აბსტრაქტი

ღრუბლოვანი ტექნოლოგიების ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთ სერვერზე შესაძლოა გაშვებული იყოს პროგრამა ან რაიმე მომსახურება და სერვისი. ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენებით საჭირო აღარ არის ცალკემდგომი აპლიკაცია ან სერვისი რომელიც გაშვებულია ყოველი მომხმარებლის კომპიუტერზე ცალცალკე. დამატებით ღრუბლოვანი გარემო საშუალებას გვაძლევს გავაზიაროთ ტექნოლოგიები და რესურსები ისე რომ მასზე დაშვება ჰქონდეს რამდენიმე მომხმარებელს. მომხმარებლის თვალსაზრისით ღრუბლოვანი გარემო არის სივრცე, პლატფორმა რომელსაც იგი მიმართავს მაგრამ არ იცის და არ აინტერესებს თუ რა პროცესები მიმდინარეობს ამ პლატფორმაზე. ღრუბლოვანი ტექნოლოგიების არჩევით ჩვენ შეგვიძლია გარკვეული ვალდებულებები გადავიტანოთ სხვა გარემოში, რაც ბიზნესის უკეთ მართვის საშუალობას მოგვცემს.

საკვანძო სიტყვები:
ღრუბლოვანი ტექნოლოგიები, ინტერნეტი, ვირტუალური სერვერები, თანამედროვე ტექნოლოგიები, უსაფრთხოება.

7

ABSTRACT

The basic idea of cloud technologies is that programs or some types of services can run on some servers. Using cloud technologies, there is no need of a standalone application or service, which run on each user’s computer separately. An additional cloud environment allows us to share technologies and resources so that multiple users can access them. From the user’s point of view, cloud environment is a space, a platform to which he or she applies but is not aware and does not care of the processes that are going on that platform. By choosing cloud technologies, we can shift certain commitments to other environments, allowing us to better management of our business.

KEYWORDS:
Cloud Technologies, Internet, Virtual Servers, Modern Technologies, Security.

8

შესავალი

ინფორმაცია დღეს არის აქტივი და მისი გაზიარება განსაზღვრავს ჩვენი წარმატების მასშტაბს. ჩვენ პროგრესული მოვლენები მივიღეთ ინფორმაციის გაზიარებისა და გაცვლის პროცესში. ღრუბლოვანი გარემო (cloud) ეს არის სერვერების ქსელი, სადაც ყოველ სერვერს აქვს განსხვავებული ფუნქცია. ღრუბლევანი ტექნოლოგიების ისტორია სათავეს იღებს 1963 წლიდან, როდესაც DARPA (the Defense Advanced Research Projects Agency) შეიმუშავა პროექტი რომლის თანახმად ერთი კომპიუტერის გამოყენება უნდა შეძლებოდა ორ ან რამდენიმე მომხმარებელს ასევე მათ გამოიყენეს სიტყვა ვირტუალიზიაცია, რომელიც გამოხატავდა თანამადროვე ვირტუალიციის საწყის იდეას. პროექტი თანდათან ვითარდებოდა და 21 საუკუნეში მიაღწია დიდ წარმატებას, მისი საშუალებით ადამიანებმა შეძლეს პროცესების გამარტივება და მისი უფრო ეფექტურად შესრულება [1].
ღრუბლოვანი ტექნოლოგიების ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთ სერვერზე შესაძლოა გაშვებული იყოს პროგრამა ან რაიმე მომსახურება და სერვისი. ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენებით საჭირო აღარ არის ცალკემდგომი აპლიკაცია ან სერვისი რომელიც გაშვებულია ყოველი მომხმარებლის კომპიუტერზე ცალცალკე. დამატებით ღრუბლოვანი გარემო საშუალებას გვაძლევს გავაზიაროთ ტექნოლოგიები და რესურსები ისე რომ მასზე დაშვება ჰქონდეს რამდენიმე მომხმარებელს. მომხმარებლის თვალსაზრისით ღრუბლოვანი გარემო არის სივრცე, პლატფორმა რომელსაც იგი მიმართავს მაგრამ არ იცის და არ აინტერესებს თუ რა პროცესები მიმდინარეობს ამ პლატფორმაზე. ღრუბლოვანი ტექნოლოგიების არჩევით ჩვენ შეგვიძლია გარკვეული ვალდებულებები გადავიტანოთ სხვა გარემოში, რაც ბიზნესის უკეთ მართვის საშუალობას მოგვცემს.
ადრეულ პერიოდში თითოეულ სერვისზე გამოყოფილი იყო თითო ფიზიკური სერვერი, შესაბამისად ყოველ მონაცემთა დამუშავების ცენტრში მუშაობდა ათასობით სერვერი, რომლებიც მოიხმარდნენ დიდ რესურსებს და დანახარჯებს. ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენებით კი ეს პრობლემა საგრძლობლად შემცირდა, დღესდღეისობით შესაძლებელია ერთ ფიზიკურ სერვერზე გაეშვას რამდენიმე ვირტულური სერვერი, რაც საშუალებას გვაძლებს მაქსიმალურად გამოვიყენოთ სერვერის ფიზიკური მახასიათებლები [2]. ღრუბელი არის ვირტუალური სივრცე, რომელიც არსებობს ინტერნეტში. ეს არის შენახვის ადგილი, სადაც ხალხს შეუძლია განათავსოს მათი ციფრული რესურსები, როგორიცაა პროგრამები, ფოტო-ვიდეო მასალა და ფაილები. გამარტივებული თვალსაზრისით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღრუბელი არის ვირტუალური შენახვის სივრცე ინტერნეტში.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინარე ღრუბლოვანი ტექნოლოგიობი ერთერთ ყველაზე პოპულარულ საშუალებად მოიაზრება მონაცემთა ცენტრებში ინფორმაციის მართვის და დამუშავების პროცესში. ღრუბლოვანი ტექნოლოგიების პოპულარობის მიზეზს უამრავი ფაქტორი განაპირობებს მათ შორის შეძლება ჩაითვალოს შემდეგი უპირატესობები:
• ვირტუალური მონაცემთა შენახვის ცენტრი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ჰქონდეთ წვდომა
მონაცემებთან ნებისმიერი ადგილიდან, მაშინ როცა მონაცემთა შენახვის ადგილმდებარეობას მნიშვნელობა არ აქვს;
• საეკსპლუატაციო ხარჯების მაქსიმალურად შემცირების შესაძლებლობა;
• ვირტუალური სერვერები ხელს უწყობს სერვერების კონსოლიდაციას, რაც საშუაძლებას გვაძლევს
გამიყენოთ რამდენიმე პოსტინგი ერთ ვირტუალურ მანქანაზე.
• გაუმჯობესებული მდგრადობა და მოქნილობა.
დღესდღეობით სისტემებში გამოიყენება სამი ტიპის ღრუბლოვანი გარემო: ღია, დახურული და პიბრიდული.
» ღია - ღია ტიპის ღრუბლოვანი გარემოში მომხმარებელს შეუძლია, ნებისმიმიერ დროს და ადგილიდან
ინფორმაციაზე წვდომა
» დახურული - დახურული ტიპის ღრუბლოვანი გარემოს აქვს იგივე მახასიათებლები და ბენეფიტები რაც
ღია ტიპისას , იმ გასხვავებით რომ დახურილი ტიპის გარემოში მომხმარებლების წვდომა შეზღუდულია.
» ჰიბრიდული - ჰიბრუდული ტიპის ღრუბლოვან გარემოში გაერთიანებული როგორც ღია ასევე დახურული
ტიპის მახასიათებლები [2].

9

გარდა ღრუბლოვანი გარემოს ტიპებისა, ამ ტექნოლოგიებში არსებობს სერვისების მოდელები რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობს სისტემის გამართულად მუშაობის პროცესში. ძირითადად განისაძღვრება სამი ტიპის სერვისული მოდელი: Software as a Service (SaaS), Platform as a Service (PaaS), Infrastructure as a Service (IaaS).
* Software as a Service (SaaS) - წარმოადგენს მექანიზმს რომლიც მდგომარეობს ღრუბლევან გარემოში
არსებული პროვაიდერის აპლიკაციის გამოყენებაში. აპლიკაცია ხელმისაწვდომია პროვაიდერის სერვერებზე კლიენტის მხარეს არსებული რაიმე ინტერფესის სახით როგორიცაა მაგალითად Web-გვერდი. მომხმარებელი არ აკონტროლებს ბაზისურ ღრუბლოვან ტექნოლოგიას, ისეთი როგორიცაა ქსელთან კავშირი, ოპერაციული სისტემები, მონაცემთა სახები და ა.შ.
* Platform as a Service (PaaS) – ამ გარემოში შესაძლებელია პროგრამული ენების გამოყენება,
ბიბლიოთეკების მართვა და ასევე პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, ისევე როგორც SaaS -ში აქაც მომხმარებელი არ აკონტროლებს ბაზისურ ღრუბლოვან ტექნოლოგიას, ისეთი როგორიცაა ქსელთან კავშირი, ოპერაციული სისტემები, მონაცემთა სახები და ა.შ.
* Infrastructure as a Service (IaaS) - წარმოადგენს მონაცემების შესანახ სისტემას, დამუშავებას, ქსელის
ინფრასტრუქტურას და სხვა გამოთვლითი რესურსების უზრუნველყოფას სადაც მომხმარებელი შეძლებს შეიმუშავოს, გაუშვას და განავითაროს მისი პროგრამული უზრუნველყოფა. მომხმარებელი არ მართავს ინფრასტრუქტურას, მაგრამ აქვს კონტროლი ოპერაციულ სისტემაზე და შეზღუდულად შეუძლია ქსელის კომპონენტების მართვაც [3].
მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული საცავი არის Dropbox, რომელიც გვაძლევს მხოლოდ 2 გბ ინფორმაციის უფასოდ შენახვის შესაძლებლობას. ის თავსებადია ყველა ტანამედროვე ოპერაციულ სისტემასთან და მოწყობილობასთან.
სანდოობის თვალსაზრისით Google მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაცული და სანდო ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურით არის აღჭურვილი, რომელსაც მუდმივი მონიტორინგი უტარდება. შეინახეთ, გააზიარეთ და კოლაბორაციულად იმუშავეთ ფაილებსა და საქაღალდეებზე ნებისმიერი მობილური მოწყობილობიდან, ტაბლეტიდან ან კომპიუტერიდან ეს არის დრაივის მოკლე დახასიათება. სწორედ ამიტომ, მომხმარებლის მონაცემები არამხოლოდ დაცული, არამედ საჭირო დროს, ხელმისაწვდომიც არის. Google-ის ძიების მძლავრი შესაძლებლობები ჩაშენებულია Drive-ში და შეუდარებელ სიჩქარეს, ეფექტურობასა და სანდოობას გთავაზობთ. ხოლო ფუნქციები, როგორიცაა პრიორიტეტული, ხელოვნურ ინტელექტს იყენებს, რათა ამოიცნოს, რას ეძებთ და თვალსაჩინო გახადოს ყველაზე შესაბამისი კონტენტი — რაც დაგეხმარებათ, 50%-ით უფრო სწრაფად იპოვოთ ფაილები. Google Drive ონლაინ საცავია, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ შექმნან ახალი დოკუმენტები, ატვირთონ და შეინახონ თავიანთი ფაილები, შექმნან საქაღალდეები, დააჯგუფონ და გაუზიარონ სხვას თავიანთი დოკუმენტები. გუგლის საცავი საკუთარ მომხმარებლებს სთავაზობს 15 გბ მოცულობის სივრცეს.იგი თავსებადია შემდეგ სისტემებთან: Windows, Mac, Android, iOS თან.
One Drive Microsoft-ის ფაილ-ჰოსტინგ სერვისი, რომელიც საშუალებას აძლევს მის მომხმარებლებს ატვირთონ, შეინახონ, ჩამოტვირთონ და სინქრონიზება გაუკეთონ ფაილებს ღრუბლოვან მეხსიერებაში და ჰქონდეთ წვდომა ამ ფაილებთან ვებ ბრაუზერიდან ან მობილური მოწყობილობიდან. ის ერთ-ერთი საუკეთესოა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს 15 გბ უფასო ფაილების საცავს.
Icloud - შექმნილია კომპანია Apple-ის მიერ. იგი ინახავს მუსიკას, სურათებს, აპლიკაციებს, ელ.ფოსტებს, კონტაქტებს, კალენდარს, დოკუმენტებს და ა.შ., უკაბელოდ აგზავნის მომხმარებლის Apple-ს ნებისმიერ პროდუქტში. უსასყიდლოდ Icloud-ზე მხოლოდ 5GB არის ხელმისაწვდომი [4].
გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან ბევრი სენსიტიური და პირადული ინფორმაცია ინახება ღრუბლოვან სივრცეში უსაფრთხოებაა არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი. როდესაც ფაილებს ავტვირთავთ cloud-ში, ისინი ინახება უსაფრთხო მონაცემთა ცენტრებში. თუ თქვენი კომპიუტერი, ტელეფონი ან ტაბლეტი დაიკარგა, თქვენს ფაილებზე წვდომა კვლავ შეგიძლიათ სხვა მოწყობილობებიდან. ჩვენი ფაილები პირადულია და მიუწდომელი იქნება სხვებისთვის თუ არ გააზიარებთ.

დასკვნა

XXI საუკუნეში, თანამედროვე ადამიანის ცხოვრება დიდ წილად არის დამოკიდებული მოწინავე ტექნოლოგიებზე. ამ ტექნოლოგიების ერთ-ერთი მთავარი მიღწევა არის ის რომ ჩვენ შეგვიძლი მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან მოვახდინოთ ინფორმაციის გაზიარება გლობალურ სივრცეში და მასზე წდომის

10

მოპოვება. მიმდინარე პროცესესებს მეტ-წილად განაპირობებს ღრუბლობანი სერვისების და ტექნოლოგიების განვითარება, მათ შორის მათზე ხელმისაწდომობის გაზრდა თითოეული ჩვენგანისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. [Online]. Available: https://www.redhat.com/en/topics/cloud-computing/what-are-cloud-services. [Accessed 17 06 2021].
2. [Online]. Available: http://conference.sens-2018.tsu.ge/uploads/5b3b35e80e7a7%E1%83%A6%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%91%E1%83
%9A%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98_%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%9D%E1%8 3%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98. [Accessed 18 06 2021].
3. [Online]. Available: https://www.bigcommerce.com/blog/saas-vs-paas-vs-iaas/#the-three-types-of-cloud-computing-service-models-ex-
plained. [Accessed 18 06 2021].
4. [Online]. Available: https://www.pocket-lint.com/apps/buyers-guides/131520-which-cloud-storage-service-is-right-for-you-icloud-vs-google-
drive-vs-onedrive-vs-dropbox. [Accessed 19 06 2021].

11

ინტელექტუალური ასისტენტი ბიზნეს სამსახურში

INTELLECTUAL ASSISTANT IN BUSINESS SERVICE

მარიამ ელიკაშვილი
III კურსის იუნკერი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

MARIAM ELIKASHVILI
III YEAR JUNKER
LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ხელმძღვანელი: გიორგი კოხრეიძე ასისტენტ-პროფესორი

SUPERVISOR: GIORGI KOKHREIDZE ASSISTANT PROFESSOR

გორი
GORI
2021

12

აბსტრაქტი

21-ე საუკუნეში ტექნოლოგიები საკმაოდ დიდ როლს ასრულებს კაცობრიობის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მათი განვითარება და განახლება მუდმივად მიმდინარეობს. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე რომ ადამიანებმა დაინახეს ტექნოლოგიების საჭიროება ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ტექნოლოგიებთან ერთად ყველაფერი უფრო მარტივი ხდება, ვზოგავთ დროს, ადამიანურ რესურს, ასევე ფულს და უამრავ ენერგიას. ჩეთბოტები წარმოადგენენ თანამედროვე ტექნოლოგიების ერთ მცირე ნაწილს, რომელმაც დიდი ადგილი დაიკავა ადამიანის საქმიან ცხოვრებაში.
ადამიანის ინფორმირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია საქმის გასაკეთებლად. ნაშრომი ჩეთბოტების შესახებაა და განხილულია თუ საიდან მომდინარეობს ჩეთბოტის იდეა, როგორი განვითარება ჰპოვა მან მსოფლიოსა და საქართველში,რაში მდგომარეობს ჩეთბოტების მუშაობის პრინციპები. ნაშრომში განხილულია რამდენიმე ჩეთბოტის ვერსია რომელმაც 2020-21 წლებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა და ადამიანებს შეუმსუბუქა ყოფითი ცხოვრება.

საკვანძო სიტყვები:
ჩეთბოტი, ხელოვნური ინტელექტი, ინტეელექტუალური ასისტენტი, ჩეთბოტი ბიზნესისთვის, წესებზე დაფუძნებული ჩეტბოტები, ინტელექტუალურად დამოუკიდებელი ჩეთბოტები, ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ჩეთბოტები.

13

ABSTRACT

In the 21st century, technology plays a pretty big role in daily life. The process of evolving and updating
of them is constant. It indicate the importance and necessity of technology in every day life. With technology everything becomes easier, we save time, human resources as well as money and a lot of energy. Chatbots are a small part of modern technology, which has taken a large place in the business life of man.
Informing a person is one of the most important steps forward in getting the job done. The paper is about chatbots and discusses where the idea of a chatbot comes from, how it has developed in the world and in Georgia, what are the principles of the work of chatbots .
The paper discusses several versions of chatbots that played an important role in 2020-21 and made life easier for people.

KEYWORDS:
Chatbot, artificial intelligence, intellectual assistant, chatbot for business, rule-based chatbots, intellectually independent chatbots, artifi-cial intelligence chatbots.

14

გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში იმდენი ახალი ტექნოლოგია გამოჩნდა, რომ შეუძლებელია ყველას ჩამოთვლა. თუმცაღა შეგვიძლია ვთქვათ, რომ რამდენიმე მათგანმა სერიოზული ცვლილებები მოახდინა მსოფლიოში. ტექნოლოგიამ შექმნა საოცარი ხელსაწყოები და რესურსები, რისი მეშვეობითაც უამრავი სასარგებლო ინფორმაცია აღმოჩნდა ჩვენს ხელთ. თანამედროვე ტექნოლოგიებმა გზა გაუხსნა ისეთ მრავალფუნქციურ მოწყობილობებს როგორიცაა ჭკვიანი საათი და სმარტფონი. ციფრული მოწყობილობები უფრო სწრაფად, უფრო პორტატულად და უფრო ენერგიულად მუშაობს, ვიდრე გასულ წლებში. ხოლო ყველა ამ საშვალებით ადამიანებს გაუმარტივდათ ცხოვრება, უფრო სწრაფი, უკეთესი და სახალისო გახდა. გახსოვთ ჯარვისი ფილმიდან რკინის კაცი? ტონი სტარკის ინტელექტუალური თანაშემწე, რომელიც მართავს სტარკის სახლს და ასევე ასრულებს მისი ახლო მეგობრის როლს. ვის არ სურს ყავდეს ასისტენტი ისეთი როგორიც ჯარვისია? საქმე იმაშია, რომ ჩვენ უკვე ვცხოვრობთ იმ სამყაროში სადაც გვყავს საკუთარი ვირტუალური თანაშემწეები. ადამიანების უდიდესმა ნაწილმა ჯერ კიდევ არიცის, რომ ჩეთბოტების იდეა ისეთივე ძველია, როგორც თავად კომპიუტერი და ხელოვნური ინტელექტი. ჩეტბოტების არსებობამ 2020 წლის ისეთ რთულ პერიოდში როდესაც სპანდემია მძვინვარებდა საკმაოდ დიდი როლი ითამაშა. მიმდინარე პანდემიის დროს გარკვეულ საფრთხეებთან იყო დაკავშირებული საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობა და 2 მეტრზე მიახლოება ადამიანებთან აკრძალულიც კი იყო და სწორედ ამ დროს ჩეთბოტი იყო ალტერნატიული მეგობარი რომელსაც ესაუბრებოდნენ მომხმარებლებიდა იღებდნენ მისთვის საინტერესო და სასარგებლო რჩევებს. ჩეთბოტი ადმაიანებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ესაუბრებოდა და უამრავ გასართობ თამაშს სთავაზობდა რთული პერიოდის გადასატანად.
კაცობრიობის ისტორიას თუ გადავხედავთ ადამიანს ყოველთვის ჰქონდა სურვილი შეექმნა ცოცხალი არსება რომელიც შეასრულებდა ადამიანის მსგავს სამუშაოს. მაგალითისთვის პირველ რობოტად მოიხსენიება ტალოსი, სპილენძის ფიგურა, რომელიც იცავდა ერთ-ერთ კუნძულს და მოახლოებულ გემებს უზარმაზარ ლოდებს უშენდა.ისტორიას კარგად ახსოვს ლეონარდო და ვინჩის რაინდის ფიგურაც რომელიც მოგვიანებით ააწყეს კიდეც და ნახეს რომ ეს ფიგურა მოძრაობდა როგორც ადამიანი. ტექნოლოგიების განვითარებამ ადამიანი მიიყვანა გადაწყვეტილებამდე, რომ შეექმნა არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ აზროვნებით მსგავსი. ადამიანის მიერ თავის მსგავსის შექმნის მცდელობებმა კაცობრიობა მოიყვანა დღემდე და დღეს ასეთი „მსგავსის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ჩეთბოტი.
50-იან წლებში გაჩნდა პირველი ჩეთბოტები რომლებსაც შეეძლოთ ადამიანებთან დიალოგის წარმართვა. გერმანელმა მეცნიერმა იოსებ ვაიზენბაუმა 1966 წელს, შექმნა ადამიანთან მოსაუბრე ფსიქოთერაპევტი პროგრამა-ჩეთბოტი - „ელიზა“ რომლის მუშაობის პრინციპი მდგომარეობდა იმაში რომ ის დიალოგს აწყობდა პასუხებიდან.
შემდეგი ცნობილი ჩეთბოტი იყო „პარი“ რომლიც 1972 წელს ფსიქიატრმა კენეტ კოლბიმ შექმნა. პარი ელიზასგან განსხვავებით ჰიპერინდივიდუალური იყო. იმდენად ინდივიდუალური, რომ ზოგჯერ პარანოიდალურ შიზოფრენიით დაავადებულს ადარებდნენ. მისი ჰიპერპერსონალურობა იმაში მდგომარეობდა რომ საუბრისას მოსაუბრეს თითქმის არასდროს ითვალისწინებდა და ლაპარაკობდა მუდმივად თავისთვის.
2016 წელს Microsoft-მა ექსპერიმენტის სახით შექმნა ხელოვნური ინტელექტის პლატფორმა რომლის ბაზაზეც ააწყო ჩეთბოტი სახელად „TAY”. 2017 წელს Facebook-მა შექმნა 2 ჩეთბოტი, იმისთვის რომ ერთმანეთთან საუბარში დაეხვეწათ დიალოგი, თუმცაღა ამ ყველაფერმა არ გაამართლა, რადგან სინამდვილეში ეს აღმოჩნდა შინაარს მოკლებული ორი ჩეთბოტის გაურკვეველი დიალოგი და ისინი არ ასრულებდნენ იმ ფუნქციას რისთვისაც იყვნენ შემქნილი და მიზანი რაც იყო რომ ევარჯიშა ამ ორ ჩეთბოტს ერთმანეთში გაცდა ჩარჩოებს.
დროთა განმავლობაში ჩეთბოტები უფრო მეტად მოთხოვნადი და პოპულარულია. ბაზარზე მოთხოვნის გაზრდა გვაძლევს იმის ფიქრის საშვალებას რომ ჩეთბოტები საკმაოდ მომგებიანი ბიზნესია. დღეს ყველაფერი გამარტივდა და კოდის ცოდნა ჩეთბოტის შესაქმენლად აუცილებელი სულაც არ არის. შექმნილია უამრავი პლათფორმა, სადაც ადამიანებს სრულიად უფასოდ შეუძლიათ გახდნენ ხელოვნური ინტელექტის ავტორები. საქართველოში პირველი პოპულარული და ფართოდ ცნობილი ჩეთბოტი კიბერგალაკტიონია და ასევე არსებობს სხვა ქართულენოვანი ჩეთბოტებიც. „Anima chatbotics“ არის კომპანია, რომელიც აერთიანებს პროგრამისტებს, ნარატივ დიზაინერებსა და ანტრეპრენიორებს იმისთვის რომ შექმნან ცოცხალი და თავისი „სულის“ მქონე ციფრული ასისტენტები რომლებსაც ვუწოდებთ ჩეთბოტებს. დასახელება კი ასე იშიფრება : chat-botics- პროგრამული კოდის, ალგორითმებისა და ავატარების შექმნის ხელოვნებაა, Anima - კი ლათინურად-სულს ნიშნავს.1

ტექნიკურად გამართული ციფრული თანამშრომელი, რომელსაც შეუძლია დიალოგის
წარმართვა შეიძლება ითქვას რომ საკმაოდ მიმზიდველი და მოთხოვნადია მომხმარებლების თვალში. ანიმა

1 https://animachatbotics.com

15

თანამშრომლობს უამრავ კომპანიასთან და ასევე იღებს შეკვეთებს ნებისმიერი სახის ჩეთბოტის შექმნაზე და ძირითადად მთავარი მიზანი თუ რატომ ქმნიან კომპანიები ჩეთბოტებს არის კომპანიებსა და ადამიანებს შორის მომსახურებისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება.
ანიმა არ ჩამორჩა მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებს და შექმნა „სივრცე 19“- კორონა ვირუსის პანდემიის დროს „დარჩი სახლში“ კამპანიის ფარგლებში. მაშინ როდესაც მოსახლების უმრავლესი ნაწილი სახლში გამოიკეტა და შეუძლებელი იყო ინფორმაციის მიღება, უბრალოდ გართობა ან მთელი დღის განმავლობაში დროის გაყვანა შეიძლება ითქვას რომ ეს პლატფორმა ამ მხრივ საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. სივრცე 19-ის მეშვეობით ადამიანები იღებდნენ ოფიციალურ წყაროებზე დაფუძნებულ ინფორმაციებს პანდემიის შესახებ. თვითიზოლაშიაში მყოფ უამრავ ადამიანს შესთავაზა უამრავი გასართობი აქტივობები: კინო, მუსიკა, ხელოვნება, ლიტერატურა, ონლაინ სწავლება, ონლაინ თამაშები, კულინარია და საინტერესო ფაქტები. სივრცე 19 აერთიანებს ყველა ასაკობრივ ჯგუფს და შეიძლება ითქვას, რომ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. მას შემდეგ რაც წარმოებაში ჩაეშვა მას უწევს ყოველდღურად 100-ობით ადამიანთან საუბარი და მათი მეგობრის ფუნქციაც შეითავსა. მისი სასაუბრო ენა ისევე როგორც ანიმეს შექმნილი ყველა ჩეთბოტის ენა უშუალო და მეგობრულია. ასევე ადამიანებთან საუბრით ისინი დღითიდღე იზრდებიან და იხვეწებიან.
ტექნოლოგიების პროგრესულმა წინსვლამ ხელი შეუწყო ბიზნესის ტრადიციული მუშაობის პრინციპიდან ციფრულ პლათფორმებზე გადასვლას. მესენჯერ აპლიკაციებმა მოხმარების სიხშირით სოციალურ ქსელებს გადაუსწრეს. მესენჯერში ჩეთბოტების ინტეგრაციამ კი სრულიად შეცვალა ბიზნესებსა და მომხმარებლებს შორის ურთერთობის დინამიკა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჩეთბოტი არის ავტომატიზირებული პროგრამა, რომელიც ურთიერთქმედებს მომხმარებელთან, როგორც ადამიანი და მასთან ურთიერთქმედება დანახარჯებთან არ არის დაკავშირებული. ჩეთბოტები ადამიანებისთვის მუშაობენ დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და მათთვის არ არსებობს კონკრეტული გრაფიკი. მისი არსებობა ბიზნესს საკმაოდ მიმზიდველს ხდის, რადგან არსებობენ კომპანიები რომლებსაც შეიძლება არ ჰქონდეთ ცოცხალი ძალა ან ფინანსური რესურსი, რომ თანამშრომლები ამუშაონ 24/7 რეჟიმში.
თიბისი ბანკმა ქართულ ბაზარზე მსგავსი პროდუქტის საჭიროება დაინახა და სწორედ ამიტომ ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შექმნეს უნვერსალური ბოტი რომელიც აერთიანებს თიბისი ბანკის მომხმარებლებს. თიბისი ბანკის ჩეთბოთს შემდეგი ფუნქციები გააჩნია:
1. ელექტრონული კომერცია
2. ლოკაციის და სამუშაო საათების დადგენა
3. საძიებო სისტემა მეტათეგებით
მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტიც რომ მაშინ როდესაც ქვეყანაში ლოკდაუნი გამოცხადდა და არ ჰქონდათ ადამიანებს საშვალება შიშის და სხვა უამრავი ფაქტორების გამო გარეთ გასულიყვნენ და ესარგებლათ სხვადასხვა საბანკო სერვისებით ჩეთბოტის არსებობამ საკმაოდ გაამარტივა მომსახურება კლიენტებთან და ეს იყო შემთვხვევა როდესაც მომხმარებელიც და თანამშრომელიც კმაყოფილი რჩებოდნენ. დროთა განმავლობაში ჩეთბოტების მრავალი ნაირსახეობა იქნა წარმოებული, ჩვენ უკვე გავეცანით ჩეთბოტის მუშაობის პრინციპს ბიზნესის მიმართულებით თუმცაღა ასევე არსებობს ჩეთბოტები რომლებმაც სხვადასხვა სფეროები მოიცვეს:
1. ჩეთბოტები გაყიდვებისთვის
2. ჩეთბოტები მომხმარებელთა მომსახურებისთვი
3. ჩეთბოტი მიწოდების სერვისისთვის
4. ჩეთბოტები როგორც ორგანიზატორები
5. ჩეტბოტები ახალი ამბების მედიისთვის
6. ჩეთბოტი როგორც ფსიქოლოგი
7. ჩეთბოტი განათლებისთვის
8. ჩეთბოტი ჯანმრთელობისთვის
9. ჩეთბოტები იურიდიული სამსახურისთვის
თითოეულ ჩეთბოტს რომელიც შექმნილია დღემდე თავისი დატვირთვა გააჩნია და მასში ჩაპროგრამებული შესაბამისი წესებით ფუნქციონირებს. მათი მუშაობის პრინციპი არის მოემსახურონ ადამიანებს და გასცენ პასუხები მათთვის საინტერესო თემებზე თუმცა ისინი ამას სხვადასხვაგვარად აკეთებენ. თითოეულ მათგანს განსხვავებული თვისებები და დანიშნულება აქვს საზოგადოებისთვის.
როგორც ვნახეთ ჩეთბოტი არის ადამიანურ ენაზე მოსაუბრე პროგრამა. არსებობს ჩათბოტების სამი ძირითადი ტიპი:

16

1. წესებზე დაფუძნებული ჩეტბოტები
2. ინტელექტუალურად დამოუკიდებელი ჩეთბოტები
3. ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ჩეთბოტები
მოკლე ხანში იმდენად განვითარდა ჩეთბოტების ტექნოლოგიები და ისე გაიზარდა მოთხოვნა მომხმარებლის მხრიდან რომ დღეს უკვე ნებისმიერ სოციალურ სივრცეში შეგვიძლია ვიხილოთ ჩეთბოტები. თუ გვსურს რომ მეტი მოხმარებელი ესაუბრებოდეს და მოიპოვოს ნდომა საზოგადოებაში ჩეთბოტმა, მისი შექმნისას უნდა იყოს გათვალისწინებული რამდენიმე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი:
1. მისია
2. აუცილებელია მაქსიმალურად გავდეს პერსონას- ჩეთბოთმა მისალმებით ან გააცნობით მომხმარებელს წარუდგინოს საკუთარი თავი და აჩვენოს როგორი პერსონალობა აქვს.
3. ფუნქცია
4. ზოგადი „ცოდნა“ - უნდა გავითვალისწინოთ რომ ყველაფერს ვერ ვასწავლით მაგრამ ელემენტარული ზოგადი ცოდნა უნდა გააჩნდეს რომ მომხმარებელზე მოახდინოს შთაბეჭდილება. პირველ ხუთ კითხვაზე თუ ჩეთბოტი სცემს ადეკვატურ პასუხს, მეექვსე კითხვა რომ ვერ ამოიცნოს მომხმარებლის გული მაინც მოგებულია და თუ პირველ, მეორე და მესამე შემთხვევაზე ვერ უპასუხა ინტერესი იკარგება.
5. რამდენად სახასიათოა- შესაძლებელია მომხმარებელს იმდენად საინტერესო საკვანძო სიტყვები მისწეროს რომ დაანახოს რომ ეს არ არის ავტომოპასუხე და სტატიკური ტესტი არამედ ეს არის ჭკვიანი პროგრამა რომელსაც თავისი სახასიათო ელემენტები გააჩნია.
6. მომხმარებლების რაოდენობა
7. რამდენად უჩნდებათ ადამიანებს მის მიმართ ემპათია- მომხმარებლებს უჩნდებათ დამოკიდებულების გრძნობა ჩეთბოტებთან, მათთან თითქოს მეტი საუბრის სურვილიც ჩნდება.
ჩეთბოტი არ უნდა განვასხვავოთ ნებისმიერი სხვა დარგის პერსონაჟისგან. ჩვენ თუ ვაქცევთ ყურადღებას წიგნში, ანიმაციაში, ფილმში როგორი პერსონაჟები მონაწილეობენ, იგივე ნაირად აქცევს მომხმარებელი ყურადღებას როგორი პერსონაჟი ხვდება როდესაც ჩეთბოტს ესაუბრება. აქედან გამომდინარე არის მნიშვნელოვანი რომ მას მივანიჭოთ ისეთი პერსონალობა რომელიც არ ემსგავსება სხვა უკვე არსებულ ჩეთბოტებს. სწორედ ამიტომაა ეს მნიშვნელოვანი. კონკრეტული დრო თუ რამდენ ხანში იქმნება ჩეთბოტი არ არსებობს. მასზე მუშაობა მუდმივად მიმდინარეობს და დროთა განმავლობაში ხდება განვითარება. ჩეთბოტები ძალიან ბევრ ინდუსტრიას მოიცავენ და ის უკვე უამრავ ცნობილ ბრენდს აქვს. თავდაპირველად იყო ისეთი წარმოდგენა რომ ძვირადღირებული ფუფუნება იყო ჩეთბოტი და შეიძლება მარტო დიდ ბრენდებს ჰქონოდათ. მას შემდეგ რაც გამოჩნდა ისეთი პლათფორმები სადაც შესაძლებელია ჩეთბოტების შექმნა უფრო მეტმა ადამიანმა ისწავლა მისი კეთება და უფრო მეტად გამოჩნდა ნარატივ დიზაინერის პროფესიის მნიშვნელობაც და პერსპექტივაც. ნარატივ დიზაინის მომავალი შეიძლება იყოს ისეთი, რომ უფრო და უფრო მეტი ინდუსტრია მოიცვას და უფრო მეტმა ინდუსტრიამ დაინახოს მასში თავისი პოტენციალი და მეორე მხრივ მისი ტიპები შეიცვალოს.
გარემოს ასეთმა სწრაფმა ცვლილებამ ახალი მოთხოვნების აუცილებლობა წარმოშვა. ხელოვნური ინტელექტი 21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევად იქცა და დიდი პოპულარობით სარგებლობს ადამიანის მსგავსად „მოაზროვნე“ კომპიუტერები და პროგრამები. ამ ტექნოლოგიების სრულყოფამდე დახვეწას კიდევ დიდი დრო სჭირდება თუმცაღა უნდა ითქვას რომ ამ ეტაპზე ადამიანების სამუშაოების შემსუბუქება უკვე მოახერხეს. უფრო მეტი ორგანიზაცია ხედავს ჩეთბოტების საჭიროებას თავიანთ ორგანიზაციებში და უფრო მეტ მომხმარებელს უჩნდება სურვილი დაამყაროს კავშირი ჩეთბოტებთან, ესაუბრონ მათ სხვადასხვა თემებზე და მიიღონ სასურველი ინფორმაცია ნებისმიერ დროს. მომავალში ჩეთბოტები იმდენად მიუახლოვდებიან ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს რომ მომხმარებელი ვერც კი მიხვდება, რომ სინამდვილეში ადამიანის მიერ შექმნილ პროგრამას ესაუბრება. თუ კი აქამდე მომხმარებელს ლოდინი უწევდა გარკვეულ ინფორმაციაზე პასუხის მიღებისა, ჩეთბოტებმა ეს პრობლემა მოაგვარა. ახლა მომხმარებელს დაუყოვნებლივ შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით რაც მას აინტერესებს. ორგანიზაციებმა რომლებმაც ჩეთბოტების რეალიზება მოახდინეს და დანერგეს თავიანთ კომპანიებში მომხმარებლებისთვის უფრო მიმზიდველნი გახდენენ. ამ კომპანიების მხრივ იმატა ინტერესმა და მომხმარებლების რაოდენობამ.
საქართველოს საჯარო თუ კერძო სექტორში ამ ტექნოლოგიის ფართომაშტაბიანი გამოყენებით ეფექტიანობის, ეფექტურობის, რესურსების დაზოგვისა მაღალ მაჩვენებელს მივიღებთ. ამისთვის კი საჭიროა ადამიანების ცნობიერება ამაღლდეს ამ კუთხით და საზოგადოებამ ნათლად დაინახოს ჩეთბოტების საჭიროება ჩვენს დროში.

17

გამოყენებული ლიტერატურა

1. მარიამ ელიკაშვილი - საბაკალავრო ნაშრომი „ჩეთბოტები და მათი გამოყენების პერსპექტივები“, ეთა,გორი 2021.
2. https://www.animachatbotics.com/ შემოწმებულია 06.06.2021
3. https://cybergala.me/ შემოწმებულია 06.06.2021
4. https://www.radiotavisupleba.ge/ შემოწმებულია 06.06.2021
5. http://www.geolab.edu.ge/ka-GE/Home/FullPost/7?title=%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%20%E1%83%A3%
E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%20%E1%8 3%91%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9A%E 1%83%94%E1%83%91%E1%83%9B%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9C%E1%83

%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9B%E1%83%90%20 შემოწმებულია 06.06.2021
6. https://at.ge/2018/12/05/chatbot-2/ შემოწმებულია 06.06.2021
7. https://gita.gov.ge/geo/startups/show/85შემოწმებულია 06.06.2021
8. https://www.fintech.ge/news/details?id=136 შემოწმებულია 06.06.2021
9. https://www.sellbrite.com/blog/ecommerce-chatbots/?utm_source=google&utm_medium=cpc&utm_campaign=11614748316&gclid=CjwK-
CAiApNSABhAlEiwANuR9YNJ0i04-wbWyuhLQ_z8heitNUu9Fdjx1jwlUVnFh4xk-hR8UrdIgtRoCfgwQAvD_BwE შემოწმებულია 06.06.2021
10. https://www.chatbot.com/შემოწმებულია 06.06.2021
11. https://en.wikipedia.org/wiki/Chatbot შემოწმებულია 06.06.2021
12. https://www.wordstream.com/blog/ws/2017/10/04/chatbots შემოწმებულია 06.06.2021
13. https://www.entrepreneur.com/article/325783 შემოწმებულია 06.06.2021
14. https://www.etaloni.ge/geo/main/index/37877?fbclid=IwAR0r8ooTXXpMWh_vD5CLiJBNa21DqRjP1-eI03mCR0CZJKMvBbViDAjWDT0
შემოწმებულია 06.06.2021
15. https://botscrew.com/blog/what-are-bots/ შემოწმებულია 06.06.2021
16. https://shanebarker.com/blog/best-ai-chatbot/ შემოწმებულია 06.06.2021
17. https://botscrew.com/blog/the-complete-guide-to-chatbots/#what_are შემოწმებულია 06.06.2021
18. https://marutitech.com/chatbots-work-guide-chatbot-architecture/ შემოწმებულია 06.06.2021

18

უნივერსალური საბაზისო შემოსავალი

UNIVERSAL BASIC INCOME

ვერიკო თორდია
მენეჯმენტის მიმართულება
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

VERIKO TORDIA
MANAGEMENT
LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ხელმძღვანელი: რუსუდან დალაქიშვილი

SUPERVISOR: RUSUDAN DALAKISHVILI

გორი
GORI
2021

19

აბსტრაქტი

საკონფერენციო ნაშრომი „უნივერსალური საბაზისო შემოსავალი“ ეხმაურება კონფერენციის თემატიკას 2021 წლის აქტუალური საკითხების შესახებ. ნაშრომში განხილულია უნივერსალური საბაზისო შემოსავლის თეორიის მნიშვნელობა, მისი წარმოშობა, განვითარების ეტაპები და მნიშვნელობა მსოფლიო სოციალური და ეკონომიკური სიტუაციის გასაუმჯობესებლად.
როგორც ყველა პრაქტიკულ თეორიას, უნივერსალურ საბაზისო თეორიასაც აქვს გარკვეული დადებითი და უარყოფითი მხარეები. ნაშრომში წარმოდგენილია თითოეული მათგანი დაწვრილებით. აღსანიშნავია, რომ ამ რადიკალურ თეორიას უფრო მეტი დადებითი მხარე აქვს ვიდრე უარყოფითი და უფრო მეტი სარგებლის მომტაცია კაცობრიობისთვის.
განხილულია უკვე არსებული, ჩატარებული და მოქმედი ექსპერიმენტები, რომლებიც ემსახურებიან თეორიის პრაქტიკაში გატარებას და ამზადებენ ნიადაგს იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში მსოფლიო მზად დახვდეს არსებულ პრობლემას. ვეცნობით შედეგებს, თუ როგორი გავლენა იქონია მოსახლეობაზე გარანტირებული მინიმალური შემოსავლის ქონამ, აუმაღლა თუ დაუქვეითა მათ მოტივაცია ახალი სამსახურის პოვნასთან დაკავშირებით.
ნაშრომში ყურადღება ეთმობა, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ თეორიის რეალობაში გატარებამ, სამხედრო სფეროს განვითარებასა და წინსვლაზე; თუ როგორი რადიკალური ცვლილებების მოხდენა შეუძლია შეიარაღებული/თავდაცვის ძალების პერსონალის რაოდენობასა და ხარისხზე.

საძიებო სიტყვები:
უნივერსალური საბაზისო შემოსავალი, რადიკალური თეორია, სამხედრო სფერო, ექსპერიმენტები, დადებითი და უარყოფთი მხარეები.

20

ABSTRACT

The conference paper “Universal Basic Income” addresses the topics of the conference on current issues
of 2021. The paper discusses the importance of UBI theory, its origins, stages of development and the impor-tance of improving the worlds’ social and economic situation.
Like all practical theories, the universal basic income theory has some advantages and disadvantages. Each of them is presented detailed, in the paper. It is noteworthy that, the radical theory has more positive sides, than negatives and more benefits for humanity.
Here are also discussed, existing, conducted and validated experiments, which serve to put the theory intro practice and prepare the ground for the world, to be ready to face this existing problem, if necessary. We are aware of the effects of having a guaranteed minimum income on the population, which may raise or lower their motivation to find a new and more suitable job.
The paperwork focuses on the impact that the implementation of this theory may have on the development and advancement of the military domain; what radical changes can be made in the number and quality of per-sonnel in the armed/defense Forces.

KEYWORDS:
Universal Basic Income, Radical theory, Military field, experiments, pros and cons.

21

შესავალი

ადამიანის თანდაყოლილი მავნე ჩვევა არის სიზარმაცე; მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უკმაყოფილოა საკუთარი სამსახურით, საკუთარი გრაფიკით; იმითი, რომ მათ კვირაში 5 დღე, დღეში 8 საათი უწევთ მუშაობა, სწორედ ეს არის მოტივაციის შემცირების მიზეზი. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გქონდეთ ყოველთვიური შემოსავალი, რომელსაც სამსახური არ უზრუნველყოფს, რას გააკეთებდით? იმუშავებდით იმავე სამსახურში, იმავე პოზიციაზე სადაც იმყოფებით?! მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ალბათ ცხოვრებას უსაქმურობაში გაატარებდა, ზოგი საკუთარ ჰობებსა და მისწრაფებებს განავითარებდა, ზოგი ბუნების დამცველი გახდებოდა, ზოგი ხატვას მიჰყოფდა ხელს... რატომღაც თვალწინ, იდილიური, ჰარმონიული და უზრუნველი ცხოვრება წარმოგვიდგება. სწორედ მსგავსი ცხოვრების პროპაგანდას ეწევა უნივერსალური საბაზისო შემოსავლის თეორია, რომელსაც მომავლის თეორიასაც უწოდებენ.
უნივერსალური საბაზისო შემოსავალი, ე.წ მოქალაქეობრივი შემოსავალი არის რადიკალური თეორია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი მოქალაქე საარსებოდ მინიმალური შემოსავლით, მიუხედავათ მათი სოციალური სტატუსისა, განათლების დონისა და სამუშაო პოზიციისა. უ.ს.შ-მა შეიძლება მოიცვას როგორც ეროვნული, ასევე რეგიონალური ან ადგილობრივი დონე, და მოსახლეობის შემოსავალი ამყოფოს „სიღარიბის დონეზე“ უფრო მაღლა. არსებული თეორიის რეალობაში გატარების სურვილს, უფრო და უფრო ამყარებს მომავალი ცხოვრების წესი; როდესაც სამუშაოების ნაწილის შესასრულებლად ხელოვნური ინტელექტისა და რობოტების გამოყენება გახდება საჭირო. მაშინ უამრავი ადამიანი დარჩება სამუშაოსა და შემოსავლის გარეშე. სწორედ ამ დროს იქნება მიზანშეწონილი და აუცილებელი უნივერსალური საბაზისო თეორიის გააქტიურება.

უნივერსალური საბაზისო შემოსავლის თეორიის მნიშვნელობა და განვითარება

ისტორიულ წყაროებსა და ჩანაწერებს თუ გადავხედავთ, ანტიკურ ეპოქაში მსოფლიოს ჰქონდა მსგავსი თეორიის პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები. ტრაიანეს, რომის იმპერატორს, იმდენად უყვარდა საკუთარი სახელმწიფო, რომ მის მუდმივ განვითარებას ცდილობდა; მან პირადად გადასცა რომის მოქალაქეებს 650 დენარი, ვინც უბრალოდ სურვილი გამოთქვა.1

ესპანელმა სწავლულმა იოჰანეს ვივესმა, გამოთქვა მოსაზრება,
რომ მუნიცპალური მმართველობა პასუხისმგებელი ყოფილიყო და უზრუველყო საარსებო მინიმუმი მისი ყველა მაცხოვრებლისათვის (მე-16 საუკუნე).
გადმოვინაცვლოთ მე-20 საუკუნეში, 1920-იანი წლებისათვის ინგლისი მეტად დაინტერესდა აღნიშნული თეორიით. ბრიტანელი პოლიმატი, ბერტრან რასელი იბრძოდა ახალი სოციალური მოდელის დასამკვიდრებლად, რომელიც გააერთიანებდა სოციალიზმის უპირატესობას და ანარქიზმს, რათა საბაზისო შემოსავალი გამხდარიყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტი მომავალ საზოგადოებაში.
მაიორი კლიფორდ დუგლასი, პროფესიით ინჟინერი, ღელავდა იმაზე, რომ ბრიტანეთის მოსახლეობის უმეტესობას არ შეეძლო წარმოებული საქონლის შეძენა, მიუხედავად ბრიტანული წარმოების პროდუქტიულობის ზრდისა. ამ პარადოქსული სიტუაციის გადასაჭრელად, მან შესთავაზა გამოსავალი - სოციალური სისტემა, რომელსაც უწოდა სოციალური კრეტიდი. სოციალური კრედიტი კი იყო მონეტარული რეფორმისა და საბაზისო შემოსავლის ერთობლიობა. “სისტემები შეიქმნენ ადამიანებისთვის და არა ადამიანები სისტემებისთვის, ხოლო ადამიანის ინტერესი-რომელსაც თვითგანვითარება წარმოადგენს, აღემატება ყველა სისტემას, იქნება ეს თეოლოგიური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური“2

- განმარტავდა კლიფორ დუგლასი. დუგლასი ამბობდა,
რომ სოციალურ კრედიტორებს უნდოდათ ახალი ცივილიზაციის შექმნა, რომელიც „ეკონომიკის აბსოლუტურ დაცულობაზე“ იქნებოდა დაფუძნებული.
მე-20 საუკუნის ბოლოს საბაზისო შემოსავლის თემა განსახილველი საკითხი გახდა შეერთებულ შტატებში. 1964 წელს ამერიკის პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა, კონგრესზე თავის გამოსვლისას წარმოადგინა კანონმდებლობა „სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ჯონსონი ფიქრობდა, რომ ფედერალური მთავრობის როლების გაფართოება ჯანდაცვასა და განათლების სფეროში, საგრძნობლად შეამცირებდა სიღარიბეს. ამ პერიოდში დაიწყეს 6 ექსპერიმენტი, რომელთა მიზანი იყო უარყოფითი მოგების გადასახადის კონცეფციის შემუშავება. ჯონსონის შემდგომმა პრეზიდენტმა- ნიქსონმა განმარტა მისი დანიშნულება, რაც

1 https://books.google.ge/books?id=xiDoHGtihF8C&pg=PA153&redir_esc=y#v=onepage&q&f=false
2 https://archive.org/details/econdemocracy00dougiala

22

მდგომარეობა იმაში, რომ ამ კონცეფცით უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ღარიბი მოსახლეობის უსაფრთხოება და წახალისებულიყო სოციალური დახმარების მიმღები მოსახლეობა. ამ პერიოდში ასევე საუბარი იყო ავტომატიზაციისა და უმუშევრობის ზრდის შესახებ, თუ როგორ დაეკავშრებინათ ეკონომიკური ზრდა ეკოლოგიურ მდგრად განვითარებასთან, სახელმწიფო ბიუროკრატიულ რეფორმებთან და მის საწყისად გამოეყენებინათ საბაზისო შემოსავალი.
ეს საკითხი კვლავ გააქტიურდა 21-ე საუკუნეში. 2016 წელს შვეიცარიაში გაიმართა რეფერენდუმი საბაზისო შემოსავლის შესახებ და ამ ინფრომაციამ მთელი მსოფლიო მოიცვა, სამწუხაროდ რეფერენდუმი უარყოფილი იქნა. ევროპისა და სხვა და სხვა ქვეყნებში ასევა ჩატარდა გამოკითხვები, სადაც ნაჩვენებია, რომ მოსახლეობა ამ თეორიის მიმართ დადებითადაა განწყობილი. მსოფლიოსში სახელგანთქმულმა მულტიმილიონერმა ბიზნესმენებმა, რომლებიც არიან მარკ ცუკერბერგი და ელონ მასკი, საჯაროდ დაუჭირეს მხარი ამ იდეის განხორციელებას.
შვეიცარიაში საბაზისო შემოსავლის თეორია 1980-იანი წლებიდან განიხილება ვიწრო წრეებში. ფართო საზოგადოებისთვის ეს საკითხი 2000-იან წლებში გახდა ცნობილი. ჩამოყალიბდა ორი საბაზისო შემოსავლის ორგანიზაცია- “ინიციატივა საბაზისო შემოსავალი“ და „Bien - შვეიცარია“. ამ ორგანიზაციებმა გარკვეული დოზით მიაღწიეს წარმატებას და გამოჩნდნენ ინტერნაციონალურ გაზეთებში. 2012 წელს მათ წარადგინეს პეტიცია რეფერენდუმის ჩატარების შესახებ და დაახლოებით 6 თვეში 70 000 ხელმოწერა შეაგროვეს. 2013 წლის ოქტომბერს ხელმოწერათა რაოდენობა 130 000 გადასცდა, რამაც რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობა წამოაყენა, რომელიც ვერ დამტკიცდა. ბერნში, ფედერალური სასახლის წინ, ბუნდესპლატსის მოედანზე სატვირთო მანქანით დაყარეს 8 მილიონი 5-ცენტიანი (თითო, თითო მოსახლეზე), რათა მხარი დაეჭირათ ამ ინიციატივისათვის.3

დადებითი და უარყოფითი მხარეები

ზემოთხსენებული თეორია ნამდვილად საოცნებოა ყველასათვის, უნდა აღინიშნოს, რომ საბაზისო შემოსავლის თეორია არ ახდენს უმუშევრობის წახალისებას, პირიქით ის ადამიანთა პოტენციალის გაუმჯობესების სტიმულირებას განაპირობებს, ადამიანებს აძლევს საშუალებას იპოვონ უკეთესი სამსახური და უკეთესი შემოსავლები, მანამდე კი ისინი იქნებიან უზრუნველყოფილნი საცხოვრებელი მინიმუმით. რა თქმა უნდა, უნივერსალურ საბაზისო შემოსავალს გააჩნია, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. განვიხილოთ თითოეული მათგანი.
დადებით მხარეებს განეკუთვნება:

4

• შესაძლებლობა, ადამიანი დაუბრუნდეს სწავლას ან მოუაროს მისთვის ძვირფას ადამიანს;
• მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა ჰქონდეთ მარტივი და პირდაპირი ფინანსური დახმარება, რაც
მინიმუმამდე დაიყვანს ბიუროკრატიას;
• დაბალი შობადობის მქონე ქვეყნებში, ახალგაზრდა წყვილებს ექნებათ მეტი შემოსავალი ოჯახის
უზრუნველსაყოფად;
• ოჯახური ძალადობის მსხვერპლებს ექნებათ ძალადობრივი სიტუაციიდან თავის დაღწევის საშუალება,
რადგან უზრუნველყოფილნი იქნებიან მატერიალური კუთხით;
• მოხალისეები სოციალურ სფეროში უზრუნვეყოფილნი იქნებიან შემოსავლით.
უარყოფით მხარეებს განეკუთვნება:

5

• შეიძლება განვითარდეს ინფლაცია, საქონელსა და მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნის გამო;
• ცხოვრების დონე არ გაიზრდება გრძელვადიან პერსპექტივაში;
• შესაძლოა უფასო შემოსავალმა სამუშაო წარმოაჩინოს როგორც არჩევანი;
• უფასო შემოსავალმა შეიძლება გააძლიეროს სამუშაო ძალის გადინება;
• შეიძლება გაჩნდეს ფილოსოფიური კონტრარგუმენტები, იმის შესახებ, არის თუ არა ფული დაბადებით
მოპოვებული უფლება
დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვისას, აშკარად იკვეთება, რომ საყოველთაო კეთილდღეობამ შესაძლოა რისკის ქვეშ დააყენოს ადამიანთა მოტივაციისა და ფსიქოლოგიური მზაობის საკითხი. ასევე შეიძლება გარკვეული პრობლემები შეექმნას სახელმწიფოს დაბეგვრის საკითხში, რადგან თუ არ იმუშავებენ ადამიანები, არ იქნება შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში.

3 https://www.bbc.com/news/av/business-25415922
4 https://www.thebalance.com/universal-basic-income-4160668
5 https://www.thebalance.com/universal-basic-income-4160668

23

მაგალითად, თუ გვინდა სოლიდური სამსახურის შოვნა, აუცილებლად უნდა გვქონდეს შესაფერისი ტანისამოსი გასაუბრებისთვის, თანხა კვებისა და ტრანსპორტირებისთვის, ხოლო თუ გვინდა უფრო დიდი წვლილი შევიტანოთ ეკონომიკაში და წამოვიწყოთ კერძო ბიზნესი, ამ შემთხვევაში უფრო მეტი თანხა და მატერიალური სიმდიდრეა საჭირო. ყველა თავიდან იწყებს მცირე სახსრებით, მაგრამ მის გარეშე ვერც შესაფერის სამუშაოს ვიპოვით და ვერც სიმდიდრეს მოვიპოვებთ.
საბაზისო შემოსავლის თეორიის მომხრეები ამტკიცებენ, რომ საბაზისო შემოსავალმა შეიძლება ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, რადგან ეს საშუალებას მისცემს ხალხს ჩაერთონ და ინვესტირდნენ განათლების სფეროში, რაც შედეგად მოგვცემს მაღალკვალიფიკაციურ თანამშომლებსა და უნიკალურ კომპეტენციებს. რა „ღირს“ საბაზისო შემოსავალი? ეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური შეკითხვაა, რომელიც კრიტიკოსებს ებადებათ, ამ შეკითხვაზე პასუხი კი ხშირად გამხდარა კრიტიკისა და დებატების საგანი. უ.ს.შ-ს ღირებულება ბევრ რამეზეა დამოკიდებული, პირველ რიგში კი ძირითადი შემოსავლის დონეზე, თუ რამდენად გამართულია კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკა. რა თქმა უნდა, წარმოდგენა არუნდა შევიქმნათ, რომ საბაზისო შემოსავალი ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე ნიშნულზე იქნება. ის გრადაციაში იქნება, ისევე როგორც დღევანდელობაშია სავალუტო კურსები.
2008 წელს ნამიბიის ერთ-ერთ სოფელში - ომიტარაში, ჩაეშვა ექსპერიმენტი, რომელიც წამოიწყო გერმანულმა ორგანიზაციამ, რომელიც ანხორციელებდა სოციალურ კამპანიას. სოფელი სიღარიბის დონის მინიმუმს ქვემოთ იყო, საბაზისო შემოსავლის დანიშვნამ კი სოფელი „გადაარჩინა“. რეზიდენტთა მოტივაციას კი მათი სიამაყე ახდენდა, ზოგმა საცხობი გახსნა, ზოგმა სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი და დაიწყო საქონლისა და პროდუქციის წარმოება. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთ წლიანმა ექსპერიმენტმა გაამართლა.6

ქვეყნები, რომლებიც მომავალს უახლოვდებიან

როგორც უკვე ვახსენეთ, უნივერსალური საბაზისო შემოსავალი მომავალში განსახორციელებელი, ინოვაციური, მაგრამ არა ახალი, თეორიაა, რომელსაც მიმდევრებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. ზოგი პოზიტიური თვალით უყურებს მის პერსპექტივებს, ზოგი კი იმდენად არის ტრადიციებზე ორიენტირებული, რომ დაშვების დონეზეც კი არ განიხილავს თეორიის მომავალ რეალობაში გატარებას.
უნდა აღინიშნოს, ქვეყნები ჯერ-ჯერობით არ არიან გადართულნი ამ პოლიტიკის რეალობაში გატარებაზე, მაგრამ მუშაობენ ამ საკითხზე, ატარებენ ექსპერიმენტებს. ჯერ-ჯერობით უცნობია, ამართლებს თუ არა მათი პრაქტიკა, მაგრამ ცდად ნამდვილად ღირს. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ქვეყნები, რომლებიც მუშაობენ ამ საკითხე.
აშშ-ში, კერძოდ, ალიასკის რეგიონში 1982 წლიდან მოქმედებს გარანტირებული შემოსავლის პროგრამა. ალიასკის ფონდმა თითოეულ მოსახლეს 2019 წელს გადაუხადა საშუალოდ $1606 დოლარი, რომელიც ნავთობის შემოსავლისგან მიიღეს. მოსახლეობის ¼ ნაწილმა კი ეს თანხა განსაკუთრებული შემთხვევებისთვის შეინახა. 2017 წელს ჰავაის ადგილობრივმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონპროექტი, რომლის თანახმადაც ყველა ადგილობრივს აქვს ძირითადი ფინანსური უსაფრთოების დაცვა, რაც ახდენს ძირითადი შემოსავლის სტიმულირებას.
კანადა ატარებს სამ წლიან ექსპერიმენტს, უნივერსალური შემოსავლის პროგრამის შესახებ. ონტარიოს 4000 რეზიდენტს, რომლებიც ცხოვრობენ სიღარიბის ზღვარს მიღმა უხდის წელიწალდში $17 000, წყვილებზე კი $24 000. მთავრობა განსაზღვრავს რომ ეს პროექტი ყოველწლიურად $50 მლნ დაუჯდებათ.
2017 წელს ფინეთის მთავრობა 2 წლის მანძილზე 2000 უმუშევარს უხდიდა 560 ევროს ყოველ თვე, მიუხედავად იმისა, მუშაობას დაიწყებდნენ თუ არა. მიმღებთა თქმით, ამ პროგრამამ შეამცირა სტრესი და კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცა, რათა ეპოვნათ კარგი სამსახური ან წამოეწყოთ ბიზნესი.
როგორც ვხედავთ, ჯერ-ჯერობით თეორია მხოლოდ მცირე ექსპერტიმენტის დონეზეა, მაგრამ აშკარად იკვეთება წარმატების ფაქტორები. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რამდენიმე ათწლეულში მყარი ეკონომიკის მქონე ქვეყნები შეძლებენ უფრო მასშტაბური ექსპერიმენტების ჩატარებას და შესაძლოა კვლევის მონაწილედ, რომელიმე განვითარებადი ქვეყანა მოგვევლინოს. მსგავსი ექსპერიმენტი, ნამდვილად მოგვცემს ინფორმაციას თეორიის პრაქტიკულობის შესახებ.

6 https://www.spiegel.de/international/world/a-new-approach-to-aid-how-a-basic-income-program-saved-a-namibian-village-a-642310. html

24

უნივერსალური საბაზისო შემოსავლის გავლენა სამხედრო სფეროზე

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რას წარმოადგენს უნივერსალური საბაზისო შემოსავალი. საინტერესო იქნება, თუ განვიხილავთ რა გავლენის მოხდენა შეუძლია მას სამხედრო საქმესა და ადამიანური რესურსების სფეროში.
სამხედრო სამსახურს ყველა სხვადასხვა მიზეზით უერთდება, ზოგს პატრიოტიზმი ამოძრავებს, ზოგს სამაგიეროს გადახდის სურვილი, ზოგს თავგადასავლები იზიდავს, ზოგს კი უბრალოდ მატერიალური მხარე. მატერიალისტი ჯარისკაცი და სამხედრო მოსამსახურე, არასოდეს იქნება მზად საკუთარი თავი შესწიროს ქვეყნის ერთიანობასა და განვითარებას. ის ატარებს ფორმას, მხოლოდ იმიტომ, რომ მატერიალური სარგებელი მიიღოს აღნიშნული დეპარტამენტისგან. ის მუდმივად ფსიქოლოგიურად არის დათრგუნული, მასში იკვეთება მოტივაციის ნაკლებობა და მუდმივი უკმაყოფილება. დავუშვათ, ქვეყანაში გატარდა საბაზისო შემოსავლის პოლიტიკა. ყველა იღებს შემოსავალს, რომელიც საკმარისია ცხოვრებისთვის; წარმოვიდგინოთ, რამდენი დატოვებს სამსახურს და არსებულ პოზიციას, რადგან მისი ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოს მიერ. ასევე წარმოვიდგინოთ, რამდენი შემოუერთდება სამხედრო სამსახურს, როდესაც ეცოდინება, რომ მის ოჯახს ექნება შემოსავალი და შეძლებენ საკუთარი თავის რჩენასა და მოვლას. იკვეთება ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დადებითი მხარე, სამხედრო სფეროს შემოუერთდებიან და დარჩებიან ის თანამშრომლები, რომლებსაც ამოძრავებთ ერთგულება და მათი მიზანი ნამდვილად ქვეყნის სამსახურში დგომაა. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის სამხედრო საქმის ცოდნის, გამოყენების, უნარ-ჩვევების გამომუშავების, პოტენციალსა და ხარისხსს. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ხარისხი სჯაბნის რაოდენობას; ხოლო, დღესდღეობით ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ძალები უნდა მიისწრაფოდნენ ხარისხის სრულყოფისაკენ და მაღალი სტანდარტების დამკვიდრებისაკენ.

შეჯამება

უძველესი დროიდან მოყოლებული სწავლულები განიხილავდნენ მოსახლეობის უზრუნველყოფის პოლიტიკს. უნივერსალური საბაზისო შემოსავალი არის მომავლის კონცეფცია, რომელსაც შეუძლია საგრძნობლად გააუმჯობესოს და განავითაროს ცხოვრების დონე და ხარისხი. ის ადამიანს განავითარებს არა მატერიალური კუთხით, არამეთ საკუთარი თავის სრულყოფისა და ჩამოყალიბების მხრივ.
მართალია ჯერ-ჯერობით მსოფლიო არ არის მზად ამ პოლიტიკის დასამტკიცებლად, მაგრამ განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა შექმნან შესაფერისი ფონი და გარემო, რომ შემდგომში სწრაფად ადაპტირდნენ ახალი ცხოვრების სტილთან.
ტექნოლოგიურმა რევოლუციებმა და განვითარებებმა პიკს მიაღწიეს, მაგრამ დღითიდღე ამტკიცებენ, რომ მათი ინტელექტუალური რესურსი არ ამოწურულა. ერთ-ერთი მაგალითი კი არის ხელოვნური ინტელექტი. მომავალში ხელოვნური ინტელექტი შეითავსებს ადამიანის საქმიანობის თითქმის 50%, რაც ბევრ ადამიანს სამუშაოს გარეშე დატოვებს. სწორედ ამ პერიოდში იქნება საჭირო უნივერსალური საბაზისო შემოსავლის პოლიტიკის გატარება. მსოფლიო უნდა იყოს მზად ამ პერიოდისთვის, სწორედ ამიტომ ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ექსპერიმენტები და დაკვირვებები, ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.
უნდა გვჯეროდეს, რომ ჩვენივე კეთილდღეობა ჩვენს ხელშია და უნდა ვიზრუნოთ, უზრუნველი და სასურველი მომავლის შექმნაზე. რათა მარტივად მოვახდინოთ შემდგომ სიტუაციასთან ადაპტაცია და სახელმწიფომ და მოსახლეობამ არ გამოიაროს რევოლუციონალური შოკი.

25

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://en.wikipedia.org/wiki/Universal_basic_income#History
2. https://en.wikipedia.org/wiki/Social_credit
3. Major C.H Douglas, Economic Democracy, London, 1920 https://archive.org/details/econdemocracy00dougiala
4. Peters, Katelyn, “Universal basic income (UBI)”,2021 https://www.investopedia.com/terms/b/basic-income.asp
5. Bidadanure Uhuru, Juliana, “the political theory of universal basic income”, annual review, 2019 https://www.annualreviews.org/doi/
full/10.1146/annurev-polisci-050317-070954
6. Amadeo, Kimberly, “what is universal basic income”, 2021 https://www.thebalance.com/universal-basic-income-4160668
7. https://en.wikipedia.org/wiki/2016_Swiss_referendums
8. BBC NEWS, “Swiss campaigners dump eight million coins”, 2021 https://www.bbc.com/news/av/business-25415922
9. “pros and cons of universal basic income”, 2021 https://www.penguin.co.uk/articles/2018/universal-basic-income-pros-cons.html
10. Von, dialika, Krahe, « how a basic income program saved a Namibian village”, 2021 https://www.spiegel.de/international/world/a-new-ap-
proach-to-aid-how-a-basic-income-program-saved-a-namibian-village-a-642310.html

26

მარკეტინგის როლი ორგანიზაციის წარმატებაში

THE ROLE OF MARKETING IN THE SUCCESS

OF AN ORGANIZATION

გიორგი თხილავა
II კურსის იუნკერი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

GIORGI TKHILAVA
II YEAR JUNKER
LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ხელმძღვანელი: ნინო რუხაია

SUPERVISOR: NINO RUKHAIA

გორი
GORI
2021

27

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში- „მარკეტინგის როლი ორგანიზაციის წარმატებაში“ განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა მარკეტინგის როლი კომპანიის განვითარებაში და მარკეტინგის როლი ქართული კომერციული ორგანიზაციების განვითარებაში. ნაშრომში მიმოვიხილავ ორგანიზაციის მართვის არსს, მისი ფუნქციონირების მექანიზმსა და სუბიექტებს. აგრეთვე იმას თუ რა არის ორგანიზაცია, როგორ ხორციელდება მართვა, როგორც ზოგადად, ისე ორგანიზაციულად. აგრეთვე განხილულია მარკეტინგის როლი ორგანიზაციის განვითარებაში, სადაც საუბარია მარკეტინგზე, იმაზე თუ როგორ ხდება კომპანიის განვითარება და რა წილი აქვს მარკეტინგს ორგანიზაციის განვითარებაში. ბოლოს მაქვს წარდგენილი ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც მაქვს აღწერილი და მისი შეგედები გაანალიზებული და აგრეთვე მაქვს დასკვნა, სადაც ვაჯამებ იმ თითოეულ საკითხს რაზეც მთელი ნაშრომის განმავლობაში მქონდა საუბარი.

საკვანძო სიტყვები:
მარკეტინგი, კომერციული ორგანიზაცია, კომპანია, კვლევა, მართვის არსი.

28

ABSTRACT

This paper - “The role of marketing in the success of the organization” discusses such important issues as the role of marketing in the development of the company and the role of marketing in the development of Georgian commercial organizations. Marketing, in terms of the success of the organization, has become increasingly relevant in the modern world because it is a nascent science and mechanism that plays a major role in the success of the organization. In the paper I review the essence of the organization’s management, its functioning mechanism and subjects. See also what an organization is, how management is carried out, both in general and organizationally. The role of marketing in the development of the organization is also discussed, where it talks about marketing, how the company develops and what is the role of marketing in the develop-ment of the organization. At the end of the paper, I have presented my research, which I have described and analyzed, and I also have a conclusion where I summarize each of the issues that I talked about throughout the paper.

KEYWORDS:
marketing, commercial organization, company, research, essence of management.

29

შესავალი

დღესდღეისობით, საერთაშორისო თუ ლოკალურ ბიზნეს ბაზრებზე იმდენად ძლიერი და დიდი რაოდენობის კომპანიები პოზიციზიონირებენ, რომ საჭიროა დამატებითი ბერკეტი იმისათვის, რომ მოიპოვო წარმატება.სწორედ მარკეტინგი გახდა თანამედროვე სამყაროში ის სასიცოცხლოდ საჭირო ბერკეტი, რომელიც გადამწყვეტ როლს იქონიებს იმისათვის, რომ კომპანიამ შეძლოს ბაზარზე პოზიციონირება. შესაძლოა, გაგვჩნდეს უნიკალური იდეა ან გარშემო კომპეტენტური პერსონალი გვყავდეს შემოკრებილი, მაგრამ მაინც ვერ ვახერხებდეთ ჩვენი მიზნის შესრულებას, რადგან სხვა, უკვე არსებული კომპანიის მარკეტინგი არ გვაძლევდეს იმის საშუალებას, რომ მოვახდინოთ ჩვენი საქონლით საზოგადოების დაინტერესება და ერთგული მომხმარებლის შეძენა.სწორედ ამისთვის, საჭიროა ჩვენც ისეთივე ძლიერი მარკეტინგული შესაძლებლობები გაგვაჩნდეს, როგორიც სხვას ან უფრო უკეთესიც. შესაბამისად, თუ გვყავს მარკეტინგის მიმართულება ძლიერი, წარმატებასთან მით უფრო ახლოს ვიქნებით.

მარკეტინგის როლი კომპანიის განვითარებაში

მარკეტინგი არის პოტენციური კლიენტების ან მომხმარებლების დაინტერესება წარმოებული პროდუქციითა და მომსახურებით.სწორედ ამიტომ,მარკეტინგი გულისხმობს პროდუქციის ან მომსახურების კვლევას,პოპულარიზაციას,გაყიდვასა და დისტრიბუციას.ასევე შეიძლება ითქვას,რომ მარკეტინგი არის მყიდველთან მომგებიანი ურთიერთობის მართვა და მას გააჩნია 2 მიზანი:მოიზიდოს ახალი მყიდველები უმაღლესი ფასეულობის შეთავაზებით,შეინარჩუნოს და გაზარდოს ბიზნესგარიგება არსებული მყიდველების მოთხოვნის დაკმაყოფილებით. აგრეთვე, მარკეტინგი მოიცავს ინდივიდებისა და სხვადასხვა აქტივობების მასიურ ქსელს,რომელთა საბოლოო მიზანი გახლავთ ჩვენი ყურადღების მიქცევა და მცდელობა იმისა, რომ გვაქციონ საკუთასი კომპანიის კლიენტად.არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელთაც ეშლებათ და მარკეტინგს განიხილავენ, როგორც გაყიდვის საშუალებას,რაც არის მცდარი,იმიტომ,რომ მარკეტინგი უნდა განვიხილოთ,როგორც მყიდველთა საჭიროებების დაკმაყოფილების წყარო.და ბოლოს,მარკეტინგს რომ შევხედოთ ფართო გაგებით,უნდა ითქვას,რომ მარკეტინგი განისაზღვრება, როგორც პროცესი, რომლის მეშვეობითაც ცალკეული პიროვნებები და ორგანიზაციები ფასეულობების შექმნითა და სხვებთან მათი გაცვლით იღებენ იმას რაც სურთ და სჭირდებათ.
მარკეტინგს წარმოშობისა და განვითარების პერიოდში დიდი ყურადღება არ ექცეოდა, რადგან იმ ეპოქაში დიდი მნიშვნელობა ხარისხს ენიჭებოდა და ფიქრობდნენ, რომ თუ საქონელი იქნებოდა ხარისხიანი,ის შესაბამისად თავის თავს გაყიდდა და სწორედ ამიტომ, მარკეტინგი, რეკლამირება, ბაზრის შესწავლა და მსგავსი ბერკეტები იმ დროისთვის ჩრდილის ქვეშ იმყოფებოდა.ხოლო, რაც შეეხება მარკეტინგის განვითარების მეორე ეტაპს, ამ პერიოდში უკვე გამოჩნდა გამსაღებელთა ჯგუფი, რომლებსაც ევალებოდათ კლიენტების მომსახურება და გასაღების პროცესის დაგეგმვა.თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო განვითარების მესამე ეტაპი, რადგან ამ დროს თუ გამყიდველის ბაზარზე შეზღუდული იყო საქონლის და მომსახურების რაოდენობა მყიდველის რაოდენობასთან შედარებით, მყიდველის ბაზარზე საქონლის და მომსახურების რაოდენობა აღემატებოდა მყიდველთა რაოდენობას.და სწორედ ამ დროს დიდი ბიძგი მიეცა მარკეტინგული კონცეფციის წარმოშობას, რადგან ბიზნესი მომხმარებელზე ორიენტირებული გახდა უფრო მეტად.ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ ძირეული ცვლილებების დროს მარკეტინგი და გაყიდვა სინონიმებად უკვე აღარ აღიქმებოდა. და ბოლოს, მარკეტინგის განვითარების მეოთხე ეტაპი, სწორედაც რომ ევოლუციური ხასიათის იყო. აგრეთვე ამ პერიოდს ურთიერთობების ერაც კი უწოდეს, რადგან მეტი ყურადღება იქნა გამოჩენილი საწარმოების მხრიდან მომხმარებლებისა და მიმწოდებლებთან ურთიერთობების მიმართ.
საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ მარკეტინგის არსი გულისხმობს ბაზარზე არსებული სიტუაცისს ანალიზის საფუძველზე მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვას, პრაქტიკაში გატარებას და კონტროლს,არახელსაყრელი სიტუაციების დროულად გამოვლენისა და არასასურველი შედეგების თავიდან აცილების მიზნით.
დღევანდელ მსოფლიოში, ორგანიზაციებში მარკეტინგის როლი ძალიან მნიშვნელოვანია, ასე რომ დიდი შეცდომა იქნება თუ მოხდება მისი უგულებელყოფა. დიდი და მცირე ორგანიზაციები დღეს კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ერთიდაიგივე ბაზარზე და ამ ბრძოლაში ყველაზე ინოვაციური, პროაქტიული და გამოჩენილი იმარჯვებს. დღევანდელმა გლობალურმა ეკონომიკამ გააცნობიერა მცირე ორგანიზაციების მნიშვნელობა და სულ უფრო მეტ დახმარებას უწევს მათ, ზრდის შენარჩუნების მიზნით. შედეგად, კომპანიის გადარჩენა

30

დამოკიდებულია მათ გონივრულ მარკეტინგულ ძალისხმევაზე, რომელსაც ფინანსური ოპერაციაც ერთვის, მათი სტრუქტურის სხვა ფუნქციებთან ერთად.
მარკეტინგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციის ბიზნესისა და მისიის პოპულარიზაციაში. ის ემსახურება თქვენი კომპანიის სახეს, კოორდინაციასა და წარმოებას ბიზნესის წარმოდგენისთვის ანუ ემსახურება მომხმარებლის თვალში წარდგინებას. მარკეტინგის ამოცანაა გაეცნოს პერსპექტივებს, მომხმარებლებს, ინვესტორებს და საზოგადოებას, ასევე შექმნან უმთავრესი სურათი, რომელიც წარმოადგენს თქვენს კომპანიას დადებითად.
მარკეტინგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებლებსა და ბაზარზე არსებულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების დამყარებაში და რეკლამირებაში. ეს გვაძლევს იმის ფიქრის საშუალებას, რომ არსებობს სურვილი იმისა, რომ ახალი პროდუქტი გამოიცადოს ბაზარზე, იმ სიტუაციების საპირისპიროდ, როდესაც პროდუქტი რეკლამირების გარეშე შემოდის ბაზარზე და მომხმარებელმა არ იცის თუ რა არის და რისი შეთავაზება უნდათ მის მწარმოებლებს. ეს მარკეტინგის ფუნქციას მეტ ელფერს სძენს ყველა ორგანიზაციაში, იმისდა მიუხედავად, ორგანიზაციას აქვს თუ არა მოგება. მარკეტინგი აყალიბებს ორგანიზაციის იმიჯს, თუ ხალხი რა ასოციაციას აკეთებს ორგანიზაციის პროდუქტთან ან მომსახურებასთან და მართლაც აძლევს ხალხს ნდობას მათი პროდუქციის ან მომსახურების შესახებ.
მარკეტინგის გარეშე ბრენდები ვერ იბრწყინებენ და ორგანიზაციები უსიცოცხლონი იქნებიან. ორგანიზაციის წარმატება განისაზღვრება არა მხოლოდ ინვესტიციის სხვადასხვა პორტფელისთვის თანხების გონივრული გამოყენებით, არამედ მომხმარებლებთან დამყარებული ურთიერთობით, რაც მარკეტინგის ფუნქციაა.

მარკეტინგის როლი ქართული კომერციული ორგანიზაციების განვითარებაში

ჩემს მიერ დაწერილი ნააზრევი, მოცემულ თემასთან დაკავშირებით,რომ გამხდარიყო მეტად მკაფიო და დამაჯერებელი,სწორედ ამიტომ განვახორციელე კვლევა.მიზანმიმართულად ავირჩიე ორი ისეთი კომპანია,რომლებსაც განსხვავებული საქმიანობა,ბაზარი და წარმომავლობა ექნებოდათ.ხსენებული კომპანიები გახლავთ „კოკა-კოლა“ და „ზოდი“.მათი საქმიანობა კი იმით განსხვავდება,რომ “კოკა-კოლა’ აწარმოებს გამაგრილებელ სასმელებს,ხოლო „ზოდი“ კი სამშენებლო მასალებს,შესაბამისად,მათ სხვადასხვა დარგსა და ბაზარზე უწევთ პოზიციონირება.საინტერესო კი,მათი წარმომავლობა გახლავთ,რადგან „კოკა-კოლა“ არის ინტერნაციონალური ამერიკული კომპანია,ხოლო „ზოდი“ გახლავთ ქართული წარმომავლობის. სწორედ ამ ყველაფრიდან გამომდინარე,მათი მენეჯერების თვალით დანახული რეალობა მარკეტინგის კუთხით,მოგვცემს იმის საშუალებას,რომ თემა მეტად სწორედ შეფასდეს და ჩემს კვლევას ჰქონდეს იმის საშუალება,რომ იყოს არგუმენტირებული და რაციონალური.
კვლევის მიზანი კი გახლავთ იმის გაგება,თუ რამდენად მნიშვნელოვანია მარკეტინგის როლი ქართული კომერციული ორგანიზაციების განვითარებაში.რამდენად აქცევენ კომპანიები ქართულ ბაზარზე მარკეტინგს ყურადღებას და არის თუ არა იგი კომპანიის წარმატების ერთერთი მნიშვნელოვანი საწინდარი.
ამის გასაგებად,გადავწყვიტე,რომ კვლევის მეთოდად სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მარკეტინგის მენეჯერებს დავკავშირებოდი და მათგან ინფორმაცია კითხვებზე გაცემული პასუხებით მიმეღო,მომეხდინა მიღებული შედეგის ანალიზი და კვლევისთვის მიმეცა საბოლოო სახე.ხოლო რაც შეეხება ჩემს მიერ შერჩეულ კითხვებს,მათი მიზანი და ამოცანა შეეხებოდა ისევ და ისევ თემას და მაძლევდა იმის მოლოდინს, რომ დამეხმარებოდნენ ნათელი სურათის დანახვაში.
კვლევის შედეგები მეტად საინტერესო და ასევე სასიხარულოც აღმოჩნდა, რადგან ჩემი მოლოდინი იმისა,რომ მარკეტინგს საპატიო ადგილი ექნებოდა ქართული ბიზნესის რეაობაში,გამართლდა.ქვემოთ მოცემულია 5 საკვანძო კითხვა და პასუხები,რომლის მეშვეობითად ჩემს კვლევას მივცემ საბოლოო სახეს.
1. შეაფასეთ მარკეტინგული აქტივობები ანუ რა როლი აქვს თქვენი ორგანიზაციის წარმატებაში?
ზოდი- მარკეტინგული აქტივობები უმნიშვნელოვანესია და საკვანძო როლს თამაშობს კომპანიის წარმატებაში.
კოკა-კოლა- დიდი როლი უჭირავს.
2. თვლით თუ არა, რომ მარკეტინგის გარეშე შეუძლებელია ბაზარზე პოზიციონირება საქართველოში? ზოდი- რა თქმა უნდა, შეუძლებელია ბაზარზე პოზიციონირება, თუ კომპანიას ამბიცია აქვს ბაზრის მნიშვნელოვანი წილის მოპოვებაზე.
კოკა-კოლა- კი ვეთანხმები, რადგან როგორც საქართველოში, ისე მთელს მსოფლიოში,მარკეტინგს

31

ლომის წვლილი აქვს.
3. არის თუ არა ტენდენცია იმისა, რომ მარკეტინგის გარეშე შეუძლებელია რამეს მიაღწიოს კომპანიამ?
ზოდი- კი, საქართველოს ბაზარი სულ უფრო და უფრო კონკურენტული ხდება, ამიტომ შეუძლებელია მასში თავის დამკვიდრება, თუ მომხმარებელთან არ გექნება აქტიური კომუნიკაცია.
კოკა-კოლა- შესაძლოა ეგრე ითქვას.
4. რამდენად ძლიერი მარკეტოლოგები გვყავს საქართველოში თქვენი აზრით?
ზოდი- საქართველოში საკმაოდ ძლიერი და კვალიფიციური კადრები გვყავს მარკეტინგის სფეროში. ეს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული თანამდებობაა, სადაც კონკურენცია საკმაოდ მაღალია.
კოკა-კოლა- საკმაოდ მაღალი დონის.
5. რამდენად მაღალი/დაბალია მარკეტინგის სამსახურის თანამშრომლების ხელფასები, სხვა
დეპარტამენტების თანამშრომლებთან შედარებით? (თანხა არაა მნიშვნელოვანი, თანაფარდობა მაინტერესებს)
ზოდი-მარკეტინგის სამსახურის ხელფასები საშუალოზე მაღალია და მცირედ ჩამოუვარდება თოფ მენეჯმენტისა და გაყიდვების სამსახურის ხელფასებს.
კოკა-კოლა- ოფისის თანამშრომლებთან შედარებით დაახლოებით 100/60.
მოცემული პასუხებიდან გამომდინარე აშკარად გამოიკვეთა ის თუ რა როლი აქვს დღესდღეისობით მარკეტინგს ორგანიზაციის წარმატებაში.მენეჯერებმა ცალსახად განაცხადეს, რომ თუ არ არის მარკეტინგი, შესაბამისად არც არის წარმატება.ხოლო შესაბამისად,თუ არ არის წარმატება,ვერც ბაზარზე ვერ პოზიციონირდები და იმ სამწუხარო რეალობის წინაშე აღმოჩნდები, რომლისაც ყველა დამწყებ თუ განვითარებად ორგანიზაციებს აშინებთ ხოლმე.სწორედ ამიტომ,მენეჯერების თანახმად, ჩამოყალიბდა ტენდენცია იმისა, რომ მარკეტინგის გარეშე ვერ მოხერხდება წარმატების მიღწევა და ამისდაგამო მარკეტინგის დეპარტამენტს საპატიო ადგილი აქვს კომპანიაში.აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რეალობიდან გამომდინარე გაზრდილია მოთხოვნა კვალიფიციურ მარკეტოლოგებზე და სასიხარულოდ, მომზადებულები აღმოჩნდნენ ამ სფეროს წარმომადგენლები იმ გამოწვევებისთვის,რაც ახალ ტენდენციას მოაქვს.უფრო მეტიც შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით, რადგან გამოიკვეთა აზრი იმის შესახებ რომ ჩვენ არამარტო ქვეყნის შიგნით არსებული დონის,არამედ მსოფლიო დონის მარკეტოლოგებიც კი გვყავს,რომლებიც არ ჩამორჩებიან საერთაშორისო დონის სპეციალისტებს და ზუსტად ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ნამდვილად დიდია კომპანიაში მარკეტინგის როლი,რადგან ეს რომ ასე არ იყოს,არც კი გვეყოლებოდნენ ამ დონის მარკეტოლოგები ქვეყანაში.სწორედაც,მაგალითისათვის,თათბირებზე ხდება მარკეტოლოგების გათვალისწინება(მათი რჩევების), ისინი მონაწილეობენ დაგეგმვასა და სტრატეგიების შედგენაში,ირჩევენ რეკლამის სახეებს და მუშაობენ ძალიან ბევრი მიმართულებით,მოკლედ რომ ითქვას ისინი არიან ყველგან,მაგრამ არ ჩანან.და ბოლოს,მოგვეხსენება, რომ შრომის ანაზღაურების სიდიდე მიუთითებს ადამიანის გაწეულ შრომასა და მის მნიშვნელობაზე(წესით ასე უნდა იყო) და როგორც კვლევამ აჩვენა, მარკეტოლოგების ხელფასი არანაირად არ ჩამოუვარდება სხვა დეპარტამენტში დასაქმებულს ადამიანთა ანაზღაურებას.ისინი მუხლჩაუხრელად მუშაობენ კომპანიის იმიჯსა და წარმატებაზე პროფესიონალურად და ამბობენ თავის სიტყვას, როგორც ქვეყნის შიგნით,ისე მის საზღვრებს გარეთ.

დასკვნა

წარმატებას ნებისმიერ საქმიანობაში განაპირობებს სწორად შერჩეული ორიენტაცია,ის გეგმაბი და მიზნები, რომლებიც ჩნასახშივე ყალიბდება,მაგრამ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, ეს არის დეტალები.ბიზნეს საქმიანობაშიც,ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატების დეტალს სწორედაც, რომ მარკეტინგი განაპირობებს. მარკეტინგის ძალით ხდება თითოეული იმ საქმიანობის გამშვენება,წარმოჩენა და მომხმარებლამდე მიტანა, რომელიც საჭიროა ჩვენი ჩანაფიქრის განსახორციელებლად.
თანამედროვე სამყაროში მივიღეთ დახვეწილი და მოქნილი „ჯადოსნური ჯოხი“, რომელიც მარკეტინგის სახით, სწორედაც, რომ სასწაულებს ახდენს და ეს ყოველივე მომხმარებლის დაუნახავად მოქმედებს. მარკეტინგი არ ჩანს, იგი ყოველთვის მოქმედებს და განკარგავს ადამიანთა სურვილებს. აქეთან გამომდინარე, ბიზნეს სამყარომ მიიღო ძალიან მარტივი და წარმატებასთან პირდაპირ კავშირში მყოფი ფორმულა-თუ გაქვს ძლიერი მარკეტინგი,შესაბამისად გაქვს წარმატებაც.
ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კი გახლავთ ის, რომ არამარტო განვითარებული, არამედ განვითარებადი ქვეყნებიც კი, მაგალითად, ისეთი როგორიც საქართველოა, იყენებენ მარკეტინგს თავიანთი ორგანიზაციების

32

წარმატებისთვის. ხსენებული ფაქტი, სწორედაც, რომ ხაზს უსვამს კიდევ ერთხელ მარკეტინგის მნიშვნელობას წარმატების მიღწევისთვის. ასევე, როგორც ჩემი მცირე კვლევა, ისე სხვა დონის და მასშტაბის კვლევებიც სწორედ ამ დასკვნამდე მიდიან, რომ მარკეტინგის გარეშე თითქმის არ არსებობს შანსი ბაზარზე პოზიციონირებისა.
და ბოლოს, მარკეტოლოგები არიან ის ადამიანები, რომლებსაც აბარიათ მნიშვნელოვანი საქმე, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის გარეთ, რადგან შეიძლება ორგანიზაცია მიყავთ წარმატებასთან ძალიან ახლოს, მაგრამ მათ ასევე აქვთ ძალიან საფრთხილო საქმე. ისინი ადამიანის სურვილებთან არიან კავშირში და თუ არა ჰუმანურობა და ეთიკის ნორმები, შეიძლება მომხმარებელი ცუდ შედეგებამდე მიიყვანონ. სწორედ ამიტომ, რთულია იყო მარკეტოლოგი და წარმატების ინდიკატორი, თუმცა საპატივსაცემულოა.

გამოყენებული ლიტერატურა

• 1. გ.შუბლაძე, ბ.მღებრიშვილი, მ.ნაცვლიშვილი, ი.ხიხუა, „მარკეტინგის საფუძვლები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი,
2009

• 2. გ.შუბლაძე, ბ.მღებრიშვილი, ფ,წოწკოლაური, „მენეჯმენტის საფუძვლები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008
ინტერნეტ რესურსები:
• 1. http://www.bpa.ge/book/book02.pdf
• 2. https://synergy.ge/articles
• 3. https://ustudy.ge/marketingi/marketingi-tavi-pirveli

33

“კრიპტოვალუტა“

“CRYPTOCURRENCY”

თეონა ლაბაძე
I კურსის იუნკერი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

TEONA LABADZE
I YEAR JUNKER
LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ხელმძღვანელი: ქეთევან ჭიაბრიშვილი პროფესორი

SUPERVISOR: KETEVAN CHIABRISHVILI PROFESSOR

გორი
GORI
2021

34

აბსტრაქტი

კრიპტოვალუტა ციფრული ან ვირტუალური ვალუტაა, რომელიც უზრუნველყოფილია კრიპტოგრაფიით, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის ტრანზაქციების გაშიფვრას და გაცვლის პროცესში გაწეულ ზედმეტ დანახარჯს. კრიპტოვალუტის განმსაზღვრელი მახასიათებელია ის, რომ ის არ არის გაცემული რომელიმე ცენტრალური საფინანსო ორგანოს მიერ, რაც მის ვირტუალურ სივრცეს თეორიულად უქმნის მთავრობის ჩაურევლობის გარანტიებს და ასევე ის,რომ კრიპტოების უმრავლესობა იყენებს ბლოკჩეინ ტექნოლოგიას უსაფრთხო გარიგებების განსახორციელებლად. წინამდებარე ნაშრომში განხილულია კრიპტოვალუტის წარმოქმნის ისტორიისა და განვითარების ეტაპები; შეწავლილია მისი, როგორც ახალი ციფრულ-ეკონომიკური პროდუქტის მოხმარების ნაკლოვანებები, უპირატესობები, შესაძლებლობები და გავლენები მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურ სისტემაზე; დახასიათებულია ქართული კრიპტოვალუტის შესაძლებლობები და პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები:
კრიპტოვალუტა, ბლოკჩეინი, ციფრულ-ეკონომიკური პროდუქტი, ელექტრონული ფული.

35

ABSTRACT

A cryptocurrency is a digital or virtual currency secured by cryptography, which makes it almost impossi-ble to decrypt transactions and the extra costs involved in the exchange process. A defining characteristic of cryptocurrency is that it is not issued by any central financial authority, which in its virtual space theoretically guarantees government non-interference, and also the fact that most cryptocurrencies use blockchain tech-nology to secure transactions. This paper discusses the history and development stages of cryptocurrency; The disadvantages, advantages, opportunities and impacts of using it as a new digital-economic product are studied in the world financial-economic system; The opportunities and prospects of Georgian cryptocurrency are characterized.

KEYWORDS:
Cryptocurrency, Blockchain, Product of Digital Economics, Digital currency.

36

შესავალი

ბოლო რამდენიმე წელია, რაც ტერმინი „კრიპტოვალუტა” აქტიურად გვესმის და დღითი-დღე მეტს ვიგებთ მისი არსისა და გამოყენების შესახებ. კრიპტოვალუტა, განიხილება, როგორც მომავლის გაცვლის საშუალება, საყოველთაო ექვივალენტი, რომელიც მსოფლიო საფინანსო სისტემაში შემოდის, როგორც გაცილებით უსაფრთხო და იაფი ტრანზაქციების მწარმოებელი, მსოფლიო მასშტაბის გაცვლის საშუალება. მხოლოდ ზემოთქმულიდანაც შეგვიძლია განვსაზღვროთ წინამდებარე ნაშრომის აქტუალობა და ვეცადოთ მოკლედ გავაანალიზოთ ის რისკები, შესაძლებლობები და მოლოდინები, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას აღნიშნული ციფრულ-ეკონომიკური მოვლენის მიმართ აქვს.
არ არსებობს რკინის მონეტა ან ქაღალდის ბანკნოტი, რომლის საშუალებითაც გამოვიყენებთ კრიპტოვალუტას, მისი გამოყენების ერთადერთი გზა ე.წ. ელექტრონული ფულია. კრიპტოვალუტა ეს არის დეცენტრალიზებული ციფრული ვალუტა, გაცვლის საშუალება, რომელსაც არ გასცემს არც ერთი ბანკი ან ფინანსური ინსტიტუტი. მათი შეძენა და გაყიდვა შესაძლებელია კრიპტოვალუტის ონლაინ ბირჟების საშუალებით, სადაც ნათლად ჩანს ფასის რყევები. კრიპტოვალუტაზე მოთხოვნის მიზეზი, გადაცემის სიმარტივე და გაცვლის პროცესში ორ მხარეს შორის შუამავლის საჭიროების არარსებობაა. კიდევ ერთი მიზეზი თუ რატომ არის კრიპტოვალუტა აქტუალური - მისი ღირებულებაა. ინვესტიცია კრიპტოვალუტაში ჰგავს ინვესტიციას საფონდო ბირჟაზე. 2017 წელს ერთ-ერთი კრიპტოვალუტის - ბიტკოინის ღირებულება რამდენიმე ასეული აშშ დოლარი იყო. 2021 წელს კი მისმა ფასმა არსებობის მანძილზე მაქსიმუმს, - 62,000 აშშ დოლარს მიაღწია. ფასის ზრდის ამგვარი დინამიკა საკმარისია იმისთვის, რომ კრიპტოვალუტაში ინვესტიცია ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველ საინვესტიციო სივრცედ იქცეს. უკანასკნელ პერიოდში სხვაისეთ კრიპტოვალუტებზე საინვესტიციო მოთხოვნის შემსწრენიც გავხდით, როგორიცაა: Ethereum,Litecoin,dogecoin და Cardano.
წინამდებარე ნაშრომში განხილულია კრიპტოვალუტის ისტორია, განვითარება და გავლენა თანამედროვე მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურ სისტემაზე. ასევე განვსაზღვრულია მისი, როგორც ახალი, ციფრულ-ეკონომიკური მოვლენის დადებითი და უარყოფითი მხარეები; კრიპტოვალუტის გამოყენების ირგვლივ არსებული შესაძლებლობები და უყურადღებოდ არ დავტოვებთ ქართული კრიპტოვალუტის შეფასებას და გამოყენების პერსპექტივებს არსებულ რეალობასა და მომავალში.
უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც ყველა ახალი ციფრული პროდუქტი, კრიპტოვალუტის, როგორც ახალი გაცვლის საშუალების ციფრული ფენომენიც ჯერ კიდევ კვლევის საგნია და შესაბამისად ხშირად ცვალებადიაროგორც მისი, (როგორც ახალი ციფრული პროდუქტის) ღირებულება, ასევე მის შესახებ ინფორმაციაც. შესაბამისად წინამდებარე ნაშრომში, მეტნაკლები სიზუსტით შევეცდებით მისი ძირითადი არსის, მახასიათებლების და შესაძლებლობების შესახებ შესწავლილი და გააზრებული შინაარსის მქონე ინფორმაციის მოწოდებას.

კრიპტოვალუტის ისტორია

ვირტუალური მონეტების ისტორია იწყება ერთი ადამიანით-კრიპტოგრაფი დევიდ ჩაუმი.1983 წელს მან შეიმუშავა კრიპტოგრაფიული სისტემა სახელწოდებით eCash,თორმეტი წლის შემდეგ კი DigiCash.ეს ორივე სისტემა კრიპტოგრაფიას იყენებდა მონაცემების კონფიდენციალობისთვის. თუმცა, პირველად იდეა და ტერმინი „კრიპტოვალუტა“ გაჩნდა 1988 წელს. ვეი დაიმ დაიწყო ფიქრი გადახდის ახალი მეთოდების შემუშავებაზე, რომლის მთავარი მახასიათებელი დეცენტრალიზაცია იქნებოდა. გახსოვთ გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ათზე მეტი წლის წინ დაიწყო? დიახ, 2008 წელს, კრიზისი ყველას შეეხო, მათ შორის ამერიკის ზესახელმწიფოსაც. ამგვარი ეკონომიკური კატასტროფის შედეგად მონეტები უფრო და უფრო სწრაფად კარგავდნენ ღირებულებას.
2009 წელს, სატოში ნაკამოტომ შექმნა პირველი კრიპტოვალუტა-ბიტკოინი. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ის არ იყო პირველი ადამიანი, ვისაც გაუჩნდა მისი შექმნის იდეა. მისი განზრახვა იყო შეექმნა ახალი საანგარიშსწორებო საშუალება, რომელსაც გამოიყენებდნენ საერთაშორისო დონეზე, დეცენტრარირებულად, მის უკან რაიმე ფინანსური, შუამავალი ინსტიტუტის გარეშე.
დიდმა ეკონომიკურმა კრიზისმა ნაკამოტოს ხელი შეუწყო კრიპტოვალუტის შექმნაში. კრიზისი მილიონობით მოქალაქეს შეეხო და დაანახა მათ, რომ არსებობს ფულის კიდევ ერთი სახეობა, რომელიც არ არის ჩვეულებრივი და რომლის მომავალში გამოყენებაც ყველას შეუძლია.

37

კრიპტოვალუტის ფასის ცვლილების მიზეზები

ზოგადად, ფასების ცვლილების მიზეზები ორ ჯგუფად იყოფა: - ესენია, პირდაპირი და ირიბი მიზეზები. კრიპტოვალუტებს არ აქვთ „ფუნდამენტური წამყვანი“, მიზეზები, რომელიც ფასის სტაბილურობას უზრუნველყოფს, სწორედ ამიტომ, ქვემოთ აღწერილი მიზეზები უფრო ძლიერ მოქმედებს კრიპტოვალუტების ფასის ცვლილებებზე, ქმნის ბაზრის განწყობებს და არასტაბილურ ტენდენციებს.

ფასის ცვლილების პირდაპირ ფაქტორებს განეკუთვნება:

1. მოთხოვნისა და მიწოდების მუდმივი ცვლილება.
საფონდო ბირჟებზე საბაზრო განწყობა იქმნება ხარის და დათვის ბრძოლის შედეგად. მოწინავე მოვაჭრეების უპირატესობით შესყიდვები იზრდება და ამ ,,ამოყიდვის’’ გამო იწყება უკუსვლა და ჩნდება დაღმავლობა.
2. ე.წ. ,,ვეშაპი შესასვლელი’’
ვეშაპი არის დიდი მოთამაშე მთლიანი აქტივებით, რომელიც აღემატება მიმდინარე საბაზრო ლიკვიდურობას. ვეშაპს შეუძლია შექმნას იმპულსი და ტრანზაქციის ტალღა, რომელიც გადააქვს კურსის მოსახერხებელი მიმართულებით, შემდეგ კი,საწინააღმდეგო გაყიდვით, კრიპტო ბაზრის კოლაფსამდე მივა წინა დონეზე.
3. შებრუნებული კორელაცია ბიტკოინთან
ბიტკოინთან არსებობს ორი სახის კორელაცია. პირველი არის პირდაპირი და პირველი თაობის კრიპტოვალუტები. ასეთი მონეტის ფასი იზრდება, როდესაც თავად ბიტკოინის ფასი იზრდება.
დანარჩენი კრიპტოვალუტები კი ამ დროს ვარდნას იწყებენ.
4. აქტივების გადატანა
მაღალი ლიკვიდურობა არის ერთი აქტივის სხვაზე სწრაფი გადატანის შესაძლებლობა. ეს ფენომენი ძირითადად ალტკოინებს ეხება და პრაქტიკულად დამოუკიდებელია ბიტკოინისგან.

ირიბ ფაქტორებს განეკუთვნება:

1. რეგულაციები. მარეგურილებელი სიახლეები წამახალისებელია ტრეიდერებისა და ინვესტორებისთვის.
კრიპტოინვესტორები იმედოვნებენ დიდი კაპიტალით ინსტიტუციური ტრეიდერების გამოჩენას. ინსტიტუციონალური კაპიტალი მოიცავს ჰეჯფონდებსა და მსხვილ ჰოლდინგებს. ასეთი სტრუქტურების სტრატეგია ემყარება დიდი მოცულობებით მუშაობას დაბლოკვის სტრატეგიასთან ერთად.
მოცულობების ზრდა უზრუნველყოფს ლიკვიდურობისა და კვოტირების ზრდას და აგრეთვე, კაპიტალიზაციის ექსპონენციალურ ზრდასაც. მაგალითად, კრიპტობაზარი იზრდება შეერთებულ
შტატებში ბიტკოინის რეგულირების შესახებ სიახლეების ფონზე. როდესაც ფედერალური სარეზერვო სისტემის ფინანსური კომისიის სხდომები გადადებას განიხილავს შემდეგი კვარტლისთვის, კრიპტო
ბაზარი სწრაფად იშლება.
2. გაუფასურება და ეკონომიკის კოლაფსი ცალკეულ ქვეყნებში რაც უფრო მძიმეა პოლიტიკური და
ეკონომიკური მდგომარეობა კონკრეტულ ქვეყანაში, მით უფრო მაღალია კრიპტოვალუტების პოპულარობა.
3. ახალი ამბები წარმოებულების შესახებ კრიპტოვალუტის საბაზრო კაპიტალიზაცია შეიძლება გაიზარდოს
ახალი ამბებით დერივატივების: -ობლიგაციების, ოფციონებისა და სხვა ინსტრუმენტების არაპირდაპირი კაპიტალიზაციის შესახებ.

კრიპტოვალუტის გამოყენება

კრიპტოვალუტით სარგებლობა შეუძლია ყველა ზრდასრულ ადამიანს. ის ხშირად ტრანზაქციებისთვის გამოიყენება, რადგან შესაძლებელია მისი გადარიცხვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასა თუ ქალაქში და მისი გადაცვლა სხვადასხვა ვალუტაში მარტივი და ხშირ შემთხვევაში უფასოა. კრიპტოვალუტის ხშირი მომხმარებლები ინვესტორები არიან; შეიძლება ითქვას, რომ კრიპტო ვალუტით ვაჭრობა წარმატებული ბიზნესის სახეს იღებს.

38

როგორ მუშაობს კრიპტოვალუტა?
მაგალითისთვის ავიღოთ ბიტკოინი. თითოეული მონეტა ძირითადად წარმოადგენს კომპიუტერულ ფაილს, რომელიც ინახება ციფრულ ,,საფულეში“ და მასზე წვდომა შეუძლიათ სმარტფონების აპლიკაციებს ან ინტერნეტით უზრუნველყოფილ მოწყობილობებს. ეს ფაილი გადაეწოდება ადამიანებიდან ადამიანებს ბლოკჩეინის საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ერთნაირად არ მუშაობს, კრიპტოების უმრავლესობა იყენებს ბლოკჩეინ ტექნოლოგიას უსაფრთხო გარიგებების განსახორციელებლად. Blockchain არის ფუძემდებლური კრიპტოგრაფიული ტექნოლოგია, რომელიც უსაფრთხოდ ხდის მონეტების გადაცემას. თითოეული გადარიცხვა შედის ვირტუალურ საჯარო წიგნში, რაც ფაქტობრივად ჯაჭვს ბლოკავს, სწორედ აქედან გამომდინარეობს ტერმინი ,,ბლოკჩეინიც“. თითოეული ბლოკი გარიგების ჩანაწერია და ყოველი ბლოკის დამატებით, ძნელია ყალბი მონეტების კოპირება ან გადაცემა, რომელიც არ არის თქვენი.

იყენებს თუ არა ბევრი კრიპტოვალუტას?

ისევე, როგორც ოქრო ან ბრილიანტი, კრიპტოები კიდევ ერთი სავაჭრო საქონელია. მრავალი ადამიანი კრიპტოვალუტას უპირატესობას ანიჭებს, რადგან მათ არ აკონტროლებენ და არ არეგულირებენ მთავრობები და ბანკები. კრიპტოებს ჯერ არ იყენებენ არც ბიზნესები და არც მაღაზიები, თუმცა არიან კომპანიები, რომლებიც მხარს უჭერენ ამგვარი გადახდის მეთოდს. მათ შორისაა ავტომობილების მწარმოებელი კომპანია „ტესლა“ და საკრედიტო ბარათების კომპანია „Visa“.

კრიპტოვალუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები

როგორც მონეტას, ასევე კრიპტოვალუტას აქვს ორი, დადებითი და უარყოფითი მხარე:
• დადებითი მხარეები:
კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა
ბლოკჩეინის სპეციალური დამცავი შიფრი დიდი დაბრკოლებაა ჰაკერებისთვის და იმ შემთხვევაშიც თუ ისინი კონკრეტულ ანგარიშს გატეხავენ არ ექნებათ საშუალება სხვა ანგარიშებზე გასვლის.
ტრანზაქციის დაბალი ფასი
ტრანზაქციის ფასს აწესებს კომპანია, რომელიც ამ კრიპტოვალუტის გაყიდვას უზრუნველყოფს და სხვა გარეშე ორგანოები ამაში არ ერევიან. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ ტრანზაქციის ფასი დაბალია და ხშირად სხვა ვალუტაში კონვერტაცია გადასახადის გარეშეა შესაძლებელი.
კრიპტოვალუტის დეცენტრალიზაცია
კრიპტოვალუტის ტრანზაქცია მიმდინარეობს ორ პირს შორის და ამაში ვერ ერევა სხვა გარეშე, საფინანსო ორგანოები.
ინფლაციისაგან დაცვა
კრიპტოვალუტაზე არ მოქმედებს სხვა ფულად-სავალუტო ერთეულების ინფლაცია და ძირათადად მასზე ფიქსირებული მინიმუმი არსებობს.
• უარყოფითი მხარეები:
არასტაბილურობა
კრიპტოვალუტის ფასს მოულოდნელი დინამიკა ახასიათებს, რაც ხშირად ხდება ინვესტორებისა და ტრეიდერების თავის ტკივილი.
რეგულირების საკითხები
კრიპტოვალუტის ტრანზაქციების მონაცემებზე ხელი არც ბანკებს და არც მთავრობებს მიუწვდება, შესაბამისად არალეგალური გადარიცხვების კონტროლი თითქმის შეუძლებელია.
თანხის დაბრუნების შეუძლებლობა
დღესდღეობით ონლაინ გადარიცხვები ხშირია და თანხის დასაზღვეად სხვადასხვა ხერხები არსებობს, მაგრამ კრიპტოვალუტაზე ასეთი ხერხები ვერ მუშაობენ და შესაბამისად შეცდომით გადარიცხული თანხის დაბრუნების შესაძლებლობაც არ არსებობს.

39

ქართული კრიპტოვალუტა

აჟამად მსოფლიოში 1614 კრიპტოვალუტა არსებობს და მათ შორის არის ქართული კრიპტოვალუტაც. პირველი ქართული კრიპტოვალუტა ,,ოქროს საწმისია“, რომელზეც სამი მეგობარი მუშაობდა. ერთ-ერთი პროგრამისტია,მეორე ფინანსისტი და მესამე სისტემური ადმინისტრატორი. მანამდე კი ისინი ჩართულები იყვნენ ,,მაინინგის“ სფეროში. თავდაპირველ ეტაპზე მათი გუნდი ნელნელა ფართოვდებოდა და საბოლოოდ მასშტაბურ საქმეს მოჰკიდეს ხელი. შექმნეს პირველი ქართული კრიპტოვალუტა Golden fleece token, - ,,ოქროს საწმისი“.

როგორ იქმნება ქართული კრიპტოვალუტა?
,,ოქროს საწმისის“ მაგალითზე კრიპტოვალუტა განთავსებულია საერთაშორისო ფირმა „waves“ პლატფორმაზე, სადაც მომხმარებლებს აქვთ საშუალება გამოიყენონ blockchain ტექნოლოგია და შექმნან თავიანთვის ახალი კრიპტოვალუტა. ასეთი ორი ძირითადი ფირმაა; ერთია ,,ეთერიუმი“, მეორე კი „waves“-ი. რაც შეეხება ფასს, ამ ეტაპზე ერთი კრიპტოვალუტის ფასი 20 ცენტს შეადგენს. შემდგომში კი ფასების ეტაპობრივი ზრდა დაიწყება.

სანდოა თუ არა ქართული კრიპტოვალუტა?
ნდობა ერთ-ერთი რთული საკითხია კრიპტოვალუტასთან მიმართებით. ერთის მხრივ ბარიერები არ არსებობს და მარტივია ტრანზაქციების ან ინვესტიციების განხორციელება, მაგრამ მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია ნდობის ფაქტორი. ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც აღსანიშნავია ქართული კრიპტოვალუტის სანდოობა. ის საკმაოდ პოპულარულია დღევანდელ, ქართულ რეალობაში.

დასკვნა

ამრიგად, კრიპტოვალუტას აქვს პოტენციალი უზრუნველყოს სოციალური და ეკონომიკური ზრდა მთელს მსოფლიოში. მათ შორის განვითარებად ქვეყნებში, -კაპიტალზე და ფინანსურ მომსახურებებზე უფრო მარტივი წვდომის შეთავაზებით. კრიპტოვალუტა ყველაზე ღირებული აქტივია მათთვის, ვინც ადრეული ეტაპიდან აქტიურად მუშაობს კრიპტო ბაზარზე. პანდემიის შემდეგ უფრო და უფრო მეტი ადამიანი შედის კრიპტო სამყაროში. უკანასკნელმა მოვლენებმა დააჩქარა ტექნოლოგიების განვითარებაც და კრიპტოვალუტის პოპულარობაც, რამაც ვირტუალური ფულის, როგორც ახალი გაცვლის საშუალების სივრცე მიმზიდველ საინვესტიციო სფეროდ აქცია. აღსანიშნავია ქართული კრიპტოვალუტის სამომავლო პერსპექტივებიც, რომელიც დღეს არსებული ნაკლოვანებების მიუხედავად, კრიტობაზარზე თანდათან იკავებს მოთხოვნადი ელექტრონული ფულის ადგილს.

გამოყენებული ლიტერატურა

• https://www.coolseskhebi.com/informatsia/ra-aris-kriptovaluta
• https://financer.com/ge/blog/kriptovaluta-bitcoin/
• http://eprints.tsu.ge/1237/1/Crypto-currency%20-%20current%20situation%20and%20prospects%20of%20development.pdf
• https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98
• https://www.finextra.com/blogposting/18159/how-cryptocurrencies-can-help-global-economy-and-build-a-better-future

40

თანამედროვე ტექნოლოგიები

რომლებიც ჩვენ გვცვლიან

MODERN TECHNOLOGIES THAT ARE CHANGING US

ზურაბ მოდებაძე
II კურსის იუნკერი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

ZURAB MODEBADZE
II YEAR JUNKER
LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ხელმძღვანელი: გიორგი კაკაშვილი ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში

SUPERVISOR: GIORGI KAKASHVILI DOCTOR OF ENGINEERING IN INFORMATICS

გორი
GORI
2021

41

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია გამოარკვიოს, თუ რა სახის ზეგავლენა და როლი აქვს თანამდროვე ტექნოლოგიებს ადამიანის ცხოვრებასა და ყოველდღიურობაში. აღნიშნული ინფორმაცია დაგვეხმარება გააზრებაში, დავინახოთ ყოველი დადებითი თუ უარყოფითი ასპექტი, რომლებსაც ტექნოლოგიათა გამოყენების სფერო მოიცავს.
აღნიშნულ კვლევაში გამოყენებულია შედარებითი ანალიზის მეთოდი და სხვადასხვა ლიტერატურული თუ საინფორმაციო წყაროები.
კვლევამ წარმოაჩინა და დაადასტურა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები, შესაძლოა, წარმოადგენდეს ჩვენი საზოგადოების უდიდეს მიღწევას, რამე თუ, ნაშრომში იკვეთება მათი გამოყენების მრავალფეროვანი, გრძელი სია, რომელიც ტექნოლოგიათა მნიშვნელობის გააზრებაში გვეხმარება.
კვლევის სისუსტედ შეიძლება მივიჩნიოთ მისი სუბიექტური ხასიათი. მეორე სისუსტე კი ის არის, რომ არსებულმა დასკვნებმაშესაძლოა შეაფერხოს შედეგების განზოგადება. ნაშრომის ძირითადი დატვირთვა ის არის, რომ ის მხარს უჭერს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენებას საზოგადოების მიერ და მათი როლის ზრდას ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში.
ნაშრომი ღირებულია, რადგან ის დადებითად წარმოგვიჩენს და შესაბამის ფაქტებზე დაყრდნობით გვასწავლის ტექნოლოგიათა სწორად გამოყენებით მიღებულ სარგებელს, რომელსაც ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესება და გამარტივება შეუძლია.

საკვანძო სიტყვები:
ადამიანი და ტექნოლოგია, ტექნოლოგია, ინტერნეტი ყოველდღიურობაში, ინტერნეტი, ჭკვიანი ნივთები, ინტერნეტ საძიებო საშუალებები, დისტანციურად მუშაობა, ტექნოლოგიების ზეგავლენა ადამიანზე, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, თანამედროვე ტექნოლოგიები, უსაფრთხოება, ელ-კომერცია.

42

ABSTRACT

This study aims to examine the extent to what kind of impact and role the modern technologies have on-humans and their every-day life. Mentioned information will help to understand and recognize all thepositive and negative aspect of using technologies.
This study used multiple regression analyses and various literary and informational sources.
The study has presented and confirmed that modern technologies, may be the biggest achievement of our society, since there is a big, excellent list of using technologies in this study.
It was found that the main weakness of the study is its subjective character. The other weakness is that the existing findings may delay generalization of the resuls. The major meaning of the study is that it supports using modern technologies by society and it also increases the role of them in our everyday life.
The study is valuable, because it presents every positive side and benefits of using modern technology and based on relevant facts, it shows us the convenient life of human with the help of them.

KEYWORDS:
Human and technology, technology, internet in everyday life, internet, smart things, Iot(Internet of things), searching engines, distance working, working from home, artificial intelligence, modern technology, safety, e-commerce

43

შესავალი

XXI-ე საუკუნე თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია. ეს არის დრო, როცა ჩვენი ცხოვრება უშუალო კავშირშია ციფრულ ტექნოლოგიასთან, სოციალურ ქსელებთან. თანამედროვე ტექნოლოგიები ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნახტომი, უდიდესი მიღწევაა. ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, ნებისმიერი საქმე გააკეთოს უფრო სწრაფად და მარტივად, უფრო დახვეწილი გახადოს მისი შემოქმედებითობა და მუდმივად სიახლეების ძიებაში იყოს ჩართული.
დღევანდელ სამყაროში, ნებისმიერი საქმიანობის სფერო, განათლება, ბიზნესი, თუნდაც ადამიანური ურთიერთობები, ყველაფერი ტექნოლოგიებზე გადის. თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში კომპიუტერი და მუდმივად განვითარებადი კომპიუტერული ტექნოლოგიები დიდ როლს თამაშობს. თუ გავითვალისწინებთ ტექნოლოგიების დადებით და უარყოფით მხარეებს, ცხადი ხდება, რომ კომპიუტერის გარეშე ჩვენი დღევანდელი ყოფა წარმოუდგენელია. კაცობრიობის ყოველდღიურ საქმიანობაში ტექნოლოგიებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათი გამოყენებით კონტროლდება სასიცოცხლო პროცესები, ეს არის ყველა სახის ელექტროსადგური, აეროპორტი, მომარაგებისა და დოკუმენტების მართვა, ვაჭრობა და განვითარება, წარმოების პროცესის კონტროლი და სხვა მრავალი.
ტექნოლოგიებმა შეცვალეს ადამიანის ფიზიოლოგია – ვფიქრობთ, ვგრძნობთ და სიზმრებსაც სხვანაირად ვნახულობთ. ტექნოლოგიები ზემოქმედებენ ჩვენს მეხსიერებაზე, ყურადრებაზე, ძილის ციკლზეც კი. ეს ყველაფერი უკავშირდება მეცნიერულ მოვლენას – ნეიროპლასტიკურობას ანუ ტვინის უნარს, შეცვალოს ჩვეულებრივი ქცევა ახალი გამოცდილების მიხედვით. ამ შემთხვევაში მოქმედებს ინტერაქტიული ტექნოლოგიები და ინტერნეტიდან მიღებული ინფორმაციის დიდი ნაკადი [1].
ინტერნეტმა კიდევ უფრო პოპულარული გახადა კომპიუტერი, რამდენადაც ის დღევანდელი პრობლემების მოგვარებაშიც უფრო იოლად გვეხმარება. XXI საუკუნე ეს არის პერიოდი, როდესაც ჩვენი ცხოვრების წესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ინტერნეტ ტექნოლოგიებთან, სოციალურ ქსელებთან, მობილურ და კომპიტერულ მოწყობილობებთან. ყოველი ეს ტექნოლოგიური მიღწევა გვაძლევს საშუალებას მსოფლიოს ნებისმიერ წერთილში მიმდინარე მოვლენებს და სიახლეებს ვადევნოთ თვალი, მოვძებნოთ თანამოაზრეები დავამყაროთ ურთიერთობები, ვივაჭროთ სახლიდან გაუსვლელად, ვისწავლოთ და ვიმუშაოთ უცხო ქვეყნებში.

ძირითადი ნაწილი

გლობალური ქსელი არის ის საშუალება, რომლითაც უფრო მეტად განვითარების შესაძლებლობას აძლევს ადამიანს. ინფორმაცია ყველაზე ღირებული რამ არის ტანამედროვე სამყაროში და სწორედ ინფორმაციის მთავარი გამავრცელებელი წყარო არის ინტერნეტი.
ინტერნეტის განვითარებამ მარტივი გახადა ინფორმაციის მოძიება, აქამდე თუ ადამიანს ზუსტი ინფორმაციის მოსაძებნად უამრავი დრო და რესურსი ეხარჯებოდა, ახლა სულ რამოდენიმე მოქმედების შესრულებაც კი საკმარისია ამისთვის.
Google, Yahoo!, DuckDuckGo, Bing ეს სულ მცირე ჩამონათვალია იმ კომპანიების რომლებიც სწორედ იმ მიზნით მოქმედებენ რომ შენთვის ინფორმაციის მოძიება უფრო მარტივი და მეტად ეფექტური გახდეს. დღევანდელი მსოფლიოს რეალობაში წამყვან საძიებო სისტემას Google წარმოადგენს, რომელსაც ყოველწამში 70 000 ადამიანი იყენებს მისთვის საჭირო ინფორმაციის მოსაძებნად.
დღითი დღე ინტერნეტ სფერო მდიდრდება უამრავი ინფორმაციით, როგორებიცაა უახლესი ამბები თუ უძველესი წიგნების PDF ვერსიებიც კი. ეს ყველაფერი კი შესაძლებლობას გვაძლევს მარტივად დავაკმაყოფილოთ ჩვენი კითხვები თუ მოთხოვნილებები.
ტექნოლოგიის განვითარებამ კომუნიკაცია დაუჯერებლად სწრაფი და მოსახერხებელი გახადა. კომუნიკაციის საშუალებები გთავაზობთ ერთ – ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მაგალითს იმის შესახებ, თუ რამდენად სწრაფად განვითარდა ეს ტექნოლოგია.
წარსულში წერილის წერა, ფაქსის გაგზავნა ან სადენიანი ტელეფონის პოვნა იყო ვინმესთან დისტანციური კომუნიკაციის საუკეთესო გზა. დღეს თქვენს ხელთაა ბევრად უფრო ეფექტური ვარიანტი. შეგიძლიათ მათ გაუგზავნოთ შეტყობინება სოციალურ ქსელში, გაგზავნოთ ტექსტური შეტყობინებები, ვიდეო ჩეთი, ელ.წერილი, ან დარეკოთ.
სოციალური მედია შესანიშნავი გზაა ზოგადად კონტაქტის შესანარჩუნებლად, რაც საშუალებას გაძლევთ ნახოთ თუ რას აკეთებენ თქვენი ახლობლები მათ მიერ განთავსებული ფოტოებისა და განახლებების

44

საშუალებით.
მკვეთრად შეიცვალა მობილური ტელეფონების გამოყენების გზაც. სოციალური მედია პლატფორმების გარდა, უამრავი სხვა პროგრამაა, რომლებიც სპეციალურად შექმნილია კომუნიკაციისთვის. თუ სოციალური მედია თქვენთვის არ არის მისაღები, შეგიძლიათ გამოიყენოთ WhatsApp, Viber და სხვა მესენჯერის თვისების პროგრამები საშუალებას გაძლევთ სწრაფად გაგზავნოთ შეტყობინებები ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან და ზარიც კი გააკეთოთ Wi-Fi- ით [2].
ბევრ სმარტფონს აქვს საკუთარი შეტყობინებების პლატფორმები პირდაპირ ტელეფონში ჩაშენებული. Apple iPhones-ზე, iMessage საშუალებას გაძლევთ დაუკავშირდეთ სხვას, ვისაც აქვს iPhone უფასოდ, WiFi ან მობილური ინტერნეტის გამოყენებით. iMessage სულ უფრო იხვეწება წლების განმავლობაში. პლატფორმა ახლა გაფართოვდა და მოიცავს თამაშებს, ხმოვან ნოტებს და აპების სხვადასხვა ინტეგრაციას ინფორმაციის უფრო სწრაფად გაგზავნის მიზნით.
აღარ გჭირდებათ ბანკში შესვლა ფულის გამოსატანად ან ვინმესთვის გადასაცემად. ბევრმა ბანკმა უკვე დანერგა ინტერნეტ და მობაილ ბანკი შეიქმნა პლატფორმები სადაც ადამიანებს ინტერნეტის საშუალებით შეუძლიათ ფულის გაგზავნა და მიღება ნებისმიერი ადგილიდან.
გადასახადების გადახდა ასევე გამარტივდა ტექნოლოგიის წყალობით. თქვენ შეგიძლიათ ავტომატურად დანიშნოთ გადახდები მათი ვადის ამოწურვამდე. მობილური ტელეფონისა და საბანკო პროგრამის საშუალებით შეგიძლიათ მართოთ თქვენი ყველა საჭირო გადასახადი ინტერნეტით.
ავტომატიზირებული გადახდების დაყენება საბანკო აპლიკაციის საშუალებით განსაკუთრებით სასარგებლოა ხნიერი ადამიანებისთვის, რომლებსაც შეიძლება მეხსიერების პრობლემები ჰქონდეთ, ასე რომ არასდროს დადგება საკითხი, გადაიხდება თუ არა გადასახადი დროულად.
მარტივია თუნდაც ფულის გადახდა მხოლოდ თქვენი სმარტფონის გამოყენებით. Apple Pay-ით და Goo-gle Wallet-ით საყიდლებზე წასვლისას ნაღდი ფულის გადატანა არ გჭირდებათ. ეს პროგრამები საიმედოდ აკავსირებს თქვენს საბანკო ანგარიშს მობილურ ტელეფონთან და იძლევა მობილურით გადახდების საშუალებას [2]I.

როგორ მუშაობს ინტერნეტი საყოფაცხოვრებო მოწყობილობებთან?

ზემოთ აღნიშნული ყველა ტექნოლოგია შესაძლებელი გახდა ინტერნეტის გამო. ვებ–გვერდებმა, პლატფორმებმა და პროგრამებმა რევოლუცია მოახდინეს ჩვენს ცხოვრების წესში. ამასთან, უახლესი ინტერნეტ ტექნოლოგია ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი ეკრანებზე და მას უწოდებენ ნივთების ინტერნეტს (IoT). ნივთების ინტერნეტი საშუალებას აძლევს ყოველდღიური საგნების სინქრონიზაცია ინტერნეტთან Wi-Fi-ს საშუალებით. ამ სინქრონიზაციის საშუალებით მათი ჩვეულებრივი ფუნქციები ხელმისაწვდომია დისტანციურად და ავტომატიზირებულია მსოფლიო ქსელში არსებული მონაცემების საშუალებით. ეს შეიძლება რთულად ჟღერდეს, მაგრამ ეს იგივე ტექნოლოგიაა, რომელსაც წლებია ვიყენებთ, ახლა კი ხელმისაწვდომია სხვადასხვა ობიექტის საშუალებით.
ნივთების ინტერნეტი ხელს უწყობს ხანდაზმულების ცხოვრების წესის კონტროლს და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათ უსაფრთხოებას, რომლებიც ცხოვრობენ ისეთი პირობებით, როგორიცაა დიაბეტი, არტერიული წნევა და ართრიტი. IoT მოწყობილობები შექმნილია ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგისთვის, მობილურობისთვის და უწყვეტი მონიტორინგის უზრუნველსაყოფად [3].
როდესაც ძალიან დაკავებული ხართ ან არ გინდა სახლიდან გასვლა, ონლაინ შოპინგი მარტივი გზაა იმის შესაძენად, რაც გჭირდებათ. თუ თქვენ არ ხართ ისეთივე მობილური, როგორც ადრე, ონლაინ შოპინგი საშუალებას იძლევა, რომ ყველაფერი რაც გჭირდებათ, პირდაპირ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელა თქვენს კართან ნებისმიერი ქვეყნიდან.
ვებსაიტების საშუალებით, როგორიცაა Craigslist და Facebook Marketplace, შეგიძლიათ დაათვალიეროთ თქვენი რეგიონის ხალხის სიები. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ მოიშორონ თავიანთი მეორადი ავეჯი, ტანსაცმელი, ტექნიკა და ა.შ. ამ ვებსაიტების გამოყენებით, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ნივთები, რაც გჭირდებათ თქვენი ბიუჯეტიდან გამომდინარე. ისევე, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ტექნოლოგიები, ამ ონლაინ ბაზრებშიც გამოიყენება გადახდის უსაფრთხო მეთოდები, რომლებიც ნაღდ ფულს არ საჭიროებს. შოპინგთან ერთად ასევე შესაძლებელია საკვების მიწოდება შეიძლება სხვადასხვა ფორმით მოხდეს. ამჟამად, მრავალი მობილური აპლიკაცია საშუალებას გაძლევთ შეუკვეთოთ მიწოდება თქვენი საყვარელი

45

რესტორნებიდან. ამ აპების რამდენიმე მაგალითია Postmates, Uber Eats და DoorDash.
ტექნოლოგია სწრაფად ვითარდება, რათა დაეხმაროს ხანში შესულ ადამიანებს ცხოვრების გაადვილებაში. კომპანიები, როგორიცაა MobileHelp და Medical Guardian, გვთავაზობენ სმარტ – საათების სამედიცინო გაფრთხილებებს მოძრაობის უსაფრთხოებისა და სენსორული ეკრანის სიგნალებისთვის, რომლებიც სახლში უნდა გამოიყენოთ. ეს ახალი ტექნოლოგიები შექმნილია სწრაფი დახმარებისა და სრული კავშირის უზრუნველსაყოფად, რათა თავად ხანდაზმულები და მათი ახლობლები იყვნენ ინფორმირებულნი [4].

დასკვნა

რაც შეეხება უფრო მეტი სიკეთისთვის შექმნილ ტექნოლოგიას, ჩვენ ასევე ვხედავთ უზარმაზარ გაუმჯობესებებს და ინოვაციებს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე იყენებენ ქარხნებსა და სამხედრო ძალებში რობოტებს დღეს მათი შესაძლებლობებიც და პროფილიც იზრდება და ფართოვდება.
ეს მხოლოდ რამდენიმე ფუნდამენტური ხერხია, რომელიც ახდენს გავლენას ჩვენს ცხოვრებაზე და გარდაქმნის ჩვენს სამყაროს უკეთესობისაკენ. სწორედ ტექნოლოგიის საშუალებით გამარტივდა და უფრო გამარტივდება ჩვენი ყოველდღიური ყოფაცხოვრება. ტექნოლოგიის წვლილი ჩვენ პანდემიის პერიოდშიც ვნახეთ, რომ არა დღევანდელი ტექნოლოგია აღმოვჩნდებოდით შესაძლო ორ, ეკონომიკის ან განათლების დეგრადაციის საშიშროებას შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] [Online]. Available: https://btu.edu.ge/bibliotheka/hbr-a-mit-blog/article/77742-cyberpsychology-adamiani-da-teqnologia. [Accessed 14
06 2021].
[2] [Online]. Available: https://aginginplace.org/technology-in-our-life-today-and-how-it-has-changed/. [Accessed 16 06 2021].
[3] [Online]. Available: https://internetofthingsagenda.techtarget.com/definition/Internet-of-Things-IoT. [Accessed 15 06 2021].
[4] [Online]. Available: https://www.safehome.org/medical-alert-systems/mobilehelp/. [Accessed 17 06 2021].

46

რუსეთის დიდი სტრატეგია ცივი ომის შემდეგ

RUSSIA’S BIG STRATEGY AFTER THE COLD WAR

დაჩი ფიჩხნარაშვილი
III კურსის იუნკერი
თავდაცვისა და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამა სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

DACHI PICHKHNARASHVILI
III YEAR JUNKER
BACHELOR’S PROGRAM IN DEFENCE AND SECURITY
LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ხელმძღვანელი: ლევან გეგეშიძე

SUPERVISOR: LEVAN GEGESHIDZE

გორი
GORI
2021

47

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია ცივი ომის შემდეგ რუსეთის დიდი სტრატეგია და მისი გავლენა გლობალურ უსაფრთხოებაზე. რუსეთმა გაზარდა საკუთარი შესაძლებლობები 90-იანი წლების შიდა კრიზისის შემდეგ მოაგვარა კონფლიქტი მის სამხრეთ რეგიონში , სხვადასხვა მოქმედებებით შეძლო და გააჩერა ნატოს გაფართოების პროცესი მის საზღვრებთან საქართველოსა და უკრაინაში.
სტატიის მიზანია შეისწავლოს რუსეთის დიდი სტრატეგიის მიზნები და მისი სტრატეგიული დოკუმენტები. რა არის რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიზნები?როგორ იყენებს საგარეო პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად სამხედრო და სახელმწიფო ძალის სხვა ინსტრუმენტებს რუსეთი ? სტატიაში მოძიებულ იქნა ის ხერხები რომლითაც რუსეთი საკუთარი პოზიციების გამყარებას ცრდილობს . სტატიაში გავაანალიზეთ რუსეთის უსაფრთხოების დოკუმენტები რის მიხედვითაც მოხდა რუსეთის დიდი სტრატეგიის ანალიზი სხვადასხვა დონეზე , ცდის ახალ სამხედრო სტრატეგიას ჰიბრიდული ომის სახით .ძალის გამოყენების გზით რუსეთი ცრდილობს დიდი სტრატეგიის დონეზე აშშ-ს და მისი მოკავშირეების გავლენის შესუსტებას .საბოლოოდ შესაძლებელია ითქვას რომ რუსეთის ქმედება გამომდინარეობს მისი სტრატეგიული კულტურიდან , დიდი სტრატეგიის დონეზე მისი პოლიტიკა მეტად უფრო თავდაცვითია ხოლო მისი სამხედრო სტრატეგია კი ბევრად უფრო შეტევითი.

საკვანძო სიტყვები:
დიდი სტრატეგია , სამხედრო სტრატეგია , სტრატეგიული კულტურა.

48

ABSTRACT

The article analyzes Russia’s grand strategy after the Cold War and its impact on global security. Russia has increased its capabilities since the internal crisis of the 1990s, resolved the conflict in its southern region, succeeded in various actions, and halted NATO enlargement to its borders with Georgia and Ukraine.
The purpose of this article is to examine the goals of Russia’s grand strategy and its strategic documents. What are Russia’s foreign policy goals? How does Russia use other tools of military and state force to achieve its foreign policy goals? The article explores how Russia seeks to strengthen its position, using political, eco-nomic, and military forces at the level of a large strategy. In the article, we analyze Russia’s security docu-ments, according to which Russia’s grand strategy has been analyzed at various levels, Russia is strengthen-ing its military capabilities and economically trying to make European countries more dependent on its energy resources through new energy-economic projects such as North Stream-2. Trying a new military strategy in the form of a hybrid war.
Through the use of force, Russia seeks to weaken the influence of the United States and its allies in East-ern Europe at the level of a grand strategy to gain influence over the territory.
Finally, it can be said that Russia’s action stems from its strategic culture, at the level of a large strategy
its policies are much more defensive and its military strategy much more offensive.

KEYWORDS:
Great Strategy, Military Strategy, Strategic Culture.

49

შესავალი

საბჭოთა კავშირი უდიდესი სახმელეთო სახელმწიფო დაიშალა თხუთმეტ რესპუბლიკად რომელთაც საკუთარი დამოუკიდებლობა 1991 წელს გამოაცხადეს. საბჭოთა კავშირის სამართალ მემკვიდრე გახდა რუსეთის ფედერაცია , ტრანზიციის პროცესი კომუნიზმიდან დემოკრატიამდე იოლი არ აღმოჩნდა, 90-იანი წლები რთული პრობლემებით ხასიათდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში მათ შორის რუსეთშიც . მსოფლიო ბანკის მონაცემებით 1991 წლიდან 1999 წლამდე ქვეყნის ეკონომიკა მისი მშპ მნიშვნელოვან ვარდნას განიცდის და 517 მილიარდიდან ეცემა 195 მილიარდ დოლარამდე, (bank 2019) რაც რა თქმა უნდა მოსახლეობის გაღარიბებას იწვევდა. ამ ყველაფერს თან ერთვოდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე კონფლიქტი , რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან მიმდინარეობდა ომი ჩეჩნეთში. მაგრამ უკვე 2000 იანი წლებიდან რუსეთის სათავეში მოდის ვლადიმერ პუტინი რომელიც ახერხებს ჩეჩნეთის პრობლემის მოგვარებას და იწყებს რეფორმებს ,რუსეთი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთთან კონფრონტაციას ერიდებოდა, მეტიც თანამშრომლობდა მასთან, მათ შორის პრეზიდენტ პუტინის მმართველობის პირველ წლებშიც , რუსეთის მოქმედებები უკვე 2008 წლიდან როცა მან შეძლო გადაელახა შიდა კრიზისები ბევრად უფრო აგრესიული და დასავლეთთან კონფრონტაციული გახდა.2008 წელს რუსეთი შეიჭრა საქართველოში საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით. დასავლეთის რეაგირება კონფლიქტზე არაერთგვაროვანი იყო რუსეთს ფაქტობრივად ამ ქმედებაზე პასუხი არავინ მოსთხოვა, რამაც გამოიწვია ომი უკრაინაში რასაც შედეგად მოყვა ყირიმის ანექსია, ხოლო შემდგომში აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტების მხარდაჭერა და იქ ორი კვაზი სახელმწიფოს შექმნა. უკრაინაში გამოყენებული იქნა „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგია რაც არა მხოლოდ უკრაინის არამედ მთლიანად ცივილიზებული სამყაროსთვის გამოწვევაა.
ცივი ომის შემდეგ რუსეთი საკუთარი მიზნების განსახორციელებლად ეფექტურად უთავსებდა ერთმანეთს შეიარაღებულ ძალებს და მის ხელთ არსებულ ენერგო რესურსებს, სადაზვერვო სამსახურებსა და დიპლომატიას. აქედან გამომდინარე ჩნდება რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა რომელზე პასუხის გაცემასაც შევეცდებით: 1)რა არის რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიზნები ? 2)როგორ იყენებს რუსეთი საგარეო პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად სამხედრო და სახელმწიფო ძალის სხვა ინსტრუმენტებს ?
სტატიის პირველ ნაწილში განვიხილავთ დიდი სტრატეგიის თეორიულ ჩარჩოს, რომლის მეშვეობითაც მოხდება რუსეთის სტრატეგიის ანალიზი. ვისაუბრებთ სტრატეგიული კულტურის არსზე და რუსეთის სტრატეგიულ კულტურაზე.
მეორე ნაწილში ვისაუბრებთ რუსეთის დიდი სტრატეგიის მიზნებზე, იმაზე თუ რისი მიღწევა სურს რუსეთს დიდი სტრატეგიის განზომილებაში რა არის მისი მიზანი.ასევე გავაანალიზებთ რუსეთს სტრატეგიულ დოკუმენტებს
მესამე ნაწილში ჩვენ შევეხებით ეკონომიკურ ბერკეტს. თუ როგორ იყენებს რუსეთი საკუთარ ენერგო რესურსებს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მსოფლიოში.

რა არის დიდი სტრატეგიის ცნება

ყველა სახელმწიფოს გააჩნია დიდი სტრატეგია რომლითაც ხელმძღვანელობდნენ გადაწყვეტილების მიმღები პირები , ერები საუკუნეთა განმავლობაში, ცდილობდნენ თვით, გადარჩენას,ისახავდნენსტრატეგი ებს,აფასებდნენ საფრთხეებს, თვლიდნენ საკუთარ შესაძლებლობებს (რესურსებს),აქედან გამომდინარე კი ისახავდნენ მიზნებს, რომელიც პასუხობდა ეროვნული ინტერესებისთვის.დიდი სტრატეგია გახლავთ : გზების , მიზნების და საშუალებების ერთობლიობა. თანამედროვე სამყაროში დიდი სტრატეგიის კონცეფცია ფართოდ არის გააზრებული მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ცალკეულ შემთხვევებში დიდ სტრატეგიას სამხედრო სტრატეგიასთან აიგივებენ რაც რა თქმა უნდა შეცდომაა, სამხედრო სტრატეგია დიდი სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი კომპონენტია მაგრამ არა ერთადერთი.
მაგალითად დიდ სტრატეგიას ბარი პოუზენი ასე განგვიმარტავს : „ დიდი სტრატეგია ეს არის ერი-სახელმწიფოს თეორია თუ როგორ უნდა შექმნას მან უსაფრთხოება . დიდი სტრატეგია ხსნის თუ რატომ სარგებლობენ საფრთხეები გარკვეული უპირატესობით რატომ და როგორ უნდა იმუშაოს ამა თუ იმ საშუალებამ. დიდი სტრატეგია არ არის წესთა კონცეფციებისა და არგუმენტების ერთობლიობა რომელიც რეგულარულად საჭიროებს გადახედვას.“ (comparative grand strategy 2019, alzacq 2019)
სერ ლიდელ ჰარტი ფიქრობს: „ თუ ტაქტიკა არის სტრატეგიის გამოყენება უფრო დაბალ დონეზე, ასევე სტრატეგია არის დიდი სტრატეგიის სამხედრო პოლიტიკის გამოყენება უფრო დაბალ დონეზე. ტერმინი

50

დიდი სტრატეგია გამოხატავს პოლიტიკას მოქმედებაში .“ (სტრატეგიის საფუძვლები 2007),ლიდელ ჰარტი ნათლად განმარტავს,რომ სამხედრო სტრატეგია დიდი სტრატეგიის ფუნდამენტური ნაწილია, შეგვიძლია მას დიდი სტრატეგიის ხერხემალიც კი ვუწოდოთ მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ გახლავთ ერთადერთი საშუალება მიზნის მისაღწევად. (სტრატეგიის საფუძვლები 2007)

სტრატეგიული კულტურა

სტრატეგიული კულტურა ქვეყნის დიდი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს , მისი გაანალიზებით ჩვენ შეგვიძლია უფრო ღრმად შევისწავლოთ ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და სტრატეგია.სტრატეგიული კულტურა არის კოლექტიურად ნორმალიზებული მოლოდინები უსაფრთხოების შესახებ. სტრატეგიული კულტურა აუცილებელია ქვეყნების სტრატეგიული გადაწყვეტილებების სწორად გააზრებისა და მათი ანალიზისთვის. (johnston 1995).მიუხედავად იმისა რომ სტრატეგიული კულტურა არ არის მუდმივი ის ძალიან სტაბილურია , სტრატეგიულ კულტურაზე პოლიტიკურ ლიდერებს ძალიან მცირე გავლენა აქვთ. (Longhurst 2004)
სტრატეგიულ კულტურაზე ისეთ მოვლენებს რომელიც დასამახსოვრებელია ერის კოლექტიური მეხსიერებისთვის დიდი გავლენა აქვს მაგალითად როგორიცაა : დიდი ეპიდემიები , ხალხთა დიდი გადასახლებები , დიდი და დამანგრეველი ომები. (Meyer 2005) თუ ამ მხრივ ვიმსჯელებთ რუსეთის სტრატეგიული კულტურა მისი ისტორიული წარსულის განუყოფელი ნაწილია , რუსული სამთავროები მუდმივად ჩაგვრის ობიექტები იყვნენ, რუსთა განსახლების ადგილებსა და მოწინააღმდეგეს შორის არ არსებობდა ბუნებრივი ბარიერი , რომელიც გააჩერებდა მოწინააღმდეგეს ამიტომაც დედაქალაქი მოსკოვი ხშირ შემთხვევაში დამპყრობლების სისასტიკეს თავის თავზე იღებდა , სწორედ საერთო რუსული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ იწყება ის თავდაცვითი ექსპანსია რომელიც მიმართულია მონღოლური სახანოების წინააღმდეგ და რუსეთის კოლოსალურ ტერიტორიულ , ეკონომიკურ ზრდას იწვევდა . მაშასადამე ნატოს აღმოსავლეთის გაფართოების საკითხი და მის საზღვრებთან ახალი სამხედრო ბანაკის გაჩენა ამ ხალხისთვის აღიქმება სიგნალად რომ ისინი გახდებიან სამიზნე „მტრული ძალებისთვის“. (Путин 2015)

რუსეთის სტრატეგიული მიზნები

რუსეთის უსაფრთხოების სტრატეგია დამტკიცდა 2015 წელს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ , აღსანიშნავია ის ფაქტი რომ სტრატეგიაში რაიმე განსაკუთრებული ცვლილება წინამდებარე დოკუმენტებისგან განსხვავებით არ გვაქვს , ტრადიციულად ამ დოკუმენტშიც განხილულია ის საფრთხეები რომელიც რუსეთს საზღვრებს გარედან ემუქრება. რა თქმა უნდა რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან მიმდინარე ნატოს გაფართოების პროცესი , ასევე ბირთვული არსენალის ზრდა , კოსმოსის მილიტარიზაციის საკითხს და ა.შ. ყურადღება ექცევა ფერადი რევოლუციების საკითხს, რომელსაც რუსეთი აშშ-ს აგენტურულ ქსელს უკავშირებს , ასევე ბიოლოგიური იარაღის წარმოება რომელიც მისი საზღვრების სამხრეთით ხდება კერძოდ კი საქართველოში (იგულისხმება რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორია) . დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია ასევე შიდაპოლიტიკურ საკითხებზეც მაგალითად როგორიცაა: განათლება, ჯანდაცვა , სოციალური დაცვა , ეკონომიკა , ტექნოლოგია და ა.შ (Стратегия безопасности Российской Федерации. 2015) საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ რომ რუსეთის უსაფრთხოების სტრატეგიის უახლესი ნაწილი რომელიც 2015 წელს გამოიცა გახლავთ თავდაცვითი ხასიათის რითიც იმეორებს მის საბჭოთა ანალოგს , დასაფიქრებელია ის ფაქტი რომ განსხვავებული შემთხვევაა მისი სამხედრო დოქტრინა რომელიც ბევრად უფრო შეტევაზეა ორიენტირებული ვიდრე თავდაცვაზე.ამ მხრივ ის მისი საბჭოთა ანალოგისგან არ განსხვავდება , საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა მისი სტრატეგია რომელიც თავდაცვით პოზიციაში ყოფნას გულისხმობდა ფაქტობრივად გაიმეორა და ასახა საკუთარ უსაფრთხოების სტრატეგიაში, შეგვიძლია ვივარაუდოთ,რომ თანამედროვე რუსეთი საბჭოთა კავშირის აღებულ კურსს დაუბრუნდა და მისი პოლიტიკაც იქნება ეს უსაფრთხოებისა თუ სამხედრო სტრატეგიის დონეზე ბევრად უფრო ჰგავს საბჭოთა სტრატეგიას ვიდრე რაიმე ახალს.

51

რუსეთის სამხედრო დოქტრინა

რუსეთის სამხედრო დოქტრინა ეს გახლავთ დოკუმენტი რომელიც განსაზღვრავს რუსეთის შეიარაღებული ძალების მოქმედების გეგმებს, მის ფარგლებსა და ამოცანებს, იგი დაწერილია უსაფრთხოების სტრატეგიამდე ერთი წლით ადრე 2014 წელს, ვალერი გერასიმოვის მიერ,რომელიც წარმოადგენს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს. სამხედრო დოქტრინაში ჩვენ შევხვდებით ისეთ ტერმინებს როგორიცაა : მაშტაბური ომი, რეგიონული ომი , გლობალური გამოწვევები, ქვეყნის სამზადისი, შეიარაღებული კონფლიქტები და სხვა. დოქტრინის მიხედვით თანამედროვე ცვალებადი სამყაროდან გამომდინარე იზრდება რუსეთის საფრთხეები და აუცილებელია ამ გარემოში რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა საკუთარი დანიშნულება მაქსიმალურად ეფექტურად შეასრულოს. (Военная доктрина Российской Федерации. 2014) 2014 წლის სამხედრო დოქტრინა ყურადღებას ამახვილებს სამხედრო ტექნოლოგიების განვითარებაზე და მის მნიშვნელობაზე ბრძოლის ველზე . საბოლოოდ შეტევის ელემენტად რუსეთის სამხედრო დოქტრინა საკუთარი მოქალაქეების დაცვას გულისხმობს , ამ მოტივით რუსეთი საკუთარი მოქმედებების გამართლებას და საერთაშორისო სამართალის ჩარჩოში მისი აგრესიული შეტევითი პოლიტიკის მორგებას ცდილობს , ეს მეთოდი 2008 წელს გამოყენებული იქნა საქართველოს წინააღმდეგ როდესაც ცხინვალის რეგიონში ოპერაციის დაწყების ოფიციალური მიზეზი საქართველოს მხრიდან რუსეთის მოქალაქეებზე თავდასმა დასახელდა. ანალოგიური მიზეზი გამოყენებული იქნა 2014 წელს ყირიმის ანექსიის დროს როდესაც რუსეთმა უკვე დაკავებულ ყირიმში რეფერენდუმი ჩაატარა და აღნიშნული ტერიტორიის ანექსია მოახდინა.დღევანდელი რუსული დოქტრინა მეტად უფრო განვითარებაზე და ტექნოლოგიური უპირატესობის მოპოვებაზეა ორიენტირებული.

ჰიბრიდული ომი

რუსული სტრატეგიის, მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ჰიბრიდული ომის დოქტრინა რომელის ავტორიც და სულისჩამდგმელიც ვალერი გერასიმოვი გახლავთ. რუსული ჰიბრიდული დოქტრინა შეგვიძლია დავახასიათოთ რამდენიმე სიტყვით, ჰიბრიდული ომი განეკუთვნება ახალი თაობის ომს სადაც კლაუზერვიცისეული სამხედრო ტაქტიკა გვერდზე იწევს ხოლო წინა პლანზე გადმოდის კიბერ-ინფორმაციული სივრცეები სადაც მოსახლეობის ნება სურვილის მართვა ბევრად უფრო მარტივი და იაფიც ჯდება.გერასიმოვის აზრით, ტექნოლოგიურმა განვითარებამ და თანამედროვე კონფლიქტებმა მოგვცა იმის ანალიზის საშუალება,რომ თანამედროვე კონფლიქტი მთლიანად დამოკიდებული არ არის კონვენციურ ძალებზე და ეს უკანასკნელი მხოლოდ „სპექტაკლის“ ბოლოს ჩნდება, რა დროსაც საფინალო მოქმედებას განახორციელებს. მთავარი სპექტრი დღეს საბრძოლო მოქმედებებში უკავია კიბერ სივრცეს და ასევე სპეციალური ოპერაციების ძალებს, ინფორმაციის გავრცელების საშუალებებს და რა თქმა უნდა მოსახლეობის განწყობას რომელიც თანამედროვე კონფლიქტში ძვირად ფასობს.მნიშვნელოვანია ის მომენტი,რომ გერასიმოვი ამ მოცემულობას დასრულებულად არ აღიქვამს და ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია შესაძლებლობების დახვეწა რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს, საარმიო ქვედანაყოფების მობილურ უნარიანობის განმტკიცება და ბევრად უფრო ძლიერი საარმიო კორპუსის ჩამოყალიბება რომელსაც ექნება თანამედროვე ტექნოლოგიები. (Герасимов 2013)

რუსეთის ენერგო-ეკონომიკური ბერკეტები

რუსეთი ენერგო რესურსების მსხვილი ექსპორტიორია მსოფლიოში, მათ შორის ევროპის კონტინენტზეც. ეს მოცემულობა რუსეთს ხდის მეტად უფრო გამბედავს რომ განახორციელოს ზეწოლა ევროპის რიგ სახელმწიფოებზე საკუთარი „ენერგოშანტაჟის“ მეშვეობით. ენერგო რესურსებში დიდი წვლილი უკავია გაზს რომელიც მთელ პოსტ საბჭოთა სივრცეს და ევროპას ამარაგებს, გაზპრომის მონაცემებით ცივი ომის დასრულების შემდეგ რუსეთის აგრესიული ქმედებების მიუხედავად მის სამეზობლოში და განსაკუთრებით ყირიმის ანექსიის შემდეგ გაზის ექსპორტი ევროპის მასშტაბით არათუ შემცირდა არამედ ზრდის ტენდენცია აღინიშნება თუ სტატისტიკას მოვიშველიებთ ზრდა საკმაოდ სოლიდური ჩანს 1990 წელს მსოფლიოს მასშტაბით პოსტ-საბჭოთა სივრცესა და ასევე დასავლეთ ევროპაში იმპორტირებული გაზის რაოდენობა შეადგენდა 110.0 მილიარდ კუბა მეტრ გაზს (gazpromexport.ru. 2019) ხოლო 2019 წლის მონაცემებით გაზის

52

მიწოდება ისტორიულ პიკს აღწევს და ფაქტობრივად ორმაგდება რაც რიცხვებში 198.97 მილიარდ კუბა მეტრ გაზს შეადგენს (gazpromexport.ru. 2019).
რუსეთის გაზის მთავარი მომხმარებლები არიან დასავლეთ ევროპის ისეთი ქვეყნები როგორიცაა გერმანია
, იტალია , ავსტრია. სწორედ დასავლეთ ევროპაზე მოპოვებული ამ მნიშვნელოვანი უპირატესობის ხარჯზე ებრძვის რუსეთი ნატოს და ევროკავშირის გაფართოებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ აღნიშნული ქვეყნები რუსეთზე ასეთი დამოკიდებულების შემცირებას კი არა არამედ ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას უწყობენ ხელს , ამის თვალსაჩინო მაგალითია „ჩრდილოეთი ნაკადი 2“ გაზსადენი რომელიც უთანხმოების მიზეზი გახდა აშშ-სა და ევროპას შორის პრეზიდენტ ტრამპის მმართველობის პერიოდში , მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა და სანქციებისა, აღნიშნული პროექტის დასრულება ძალიან მალე რაც გერმანიას ბევრად უფრო დამოკიდებულს გახდის რუსულ გაზზე და უკრაინის სატრანზიტო პოტენციალს უფრო შეასუსტებს ვინაიდან გაზსადენი სრულად ბალტიის ზღვაზე გადის და არა უკრაინის ტერიტორიაზე.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის დიდი სტრატეგია რომელიც ცივი ომის შემდეგ მომხდარ პროცესებთან ერთად ჩამოყალიბდა საკუთარი მოცემულობით , რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ჩვენ დავადგინეთ რომ მისი პოლიტიკური და სამხედრო შემადგენლის მოქმედება ფუნდამენტურად განსხვავდება ერთმანეთისგან თუ უსაფრთხოების სტრატეგია თავდაცვითია როგორც ზემოთ ვახსენეთ , სამხედრო დოქტრინა ბევრად აგრესიულია, ერთი შეხედვით ეს ორი მოცემულობა ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართულ დოკუმენტებს გავს , მაგრამ ისინი მეტად უფრო ავსებენ ერთმანეთს ვიდრე ეწინააღმდეგებიან , ამ ყველაფერს ხელი შეუწყო რუსეთის ისტორიის მანძილზე დაგროვებულმა გამოცდილებამ მისი ერის კოლექტიურმა მეხსიერებამ , ქვეყნის პოლიტიკაში სტრატეგიული კულტურა ფუნდამენტურ როლს თამაშობს და აყალიბებს იმ ხედვებს რაც შემდგომში დიდ სტრატეგიას ახასიათებს . რუსეთი, მისი წიაღისეულის სიმდიდრით ევროპის ტერიტორიაზე საკუთარ გავლენებს აფართოებს, ხოლო მისი შესაძლებლობები ამ მხრივ თვალსაჩინოა , ჯერ კიდევ დაუსრულებელი პროექტი ჩრდილოეთ ნაკადი -2 ხელს უშლის ნატოს ერთიან პოლიტიკას რაც. ასევე მნიშვნელოვანი ბერკეტია რუსეთისთვის მისი სამხედრო ძლიერება რაც აისახა მის ახალ სტრატეგიულ მიდგომაში , სწორედ ჰიბრიდული ომი გახდა ის სტრატეგია რომელიც დღემდე დიდი გამოწვევაა დასავლური ცივილიზაციისა და მთელი მსოფლიოსათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

• alzacq, T., Dombrowski, P., & Reich, S. comparative grand strategy. Oxford: oxford university press, 2019.
• bank, The world. world bank data. 2019. The world bank . (n.d.). Retrieved 01 31 https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.
CD?end=2019&fbclid=IwAR1zAMpklJtbPSoXe88C-JnGVUdlqFDahxoHoKTWuLoItx-BloJ7D2Oiw9U&locations=RU&start=1990 (accessed june
2021).
• gazpromexport.ru. 2019. http://www.gazpromexport.ru/en/statistics/ (accessed 2021).
• johnston, A. I. thinking about strategic culture. 1995.
• Longhurst, K. Germany and use of force:. manchester: manchester university press, 2004.
• Meyer, C. O. “European defence: why institutional socialisation is not enough .” oxford journal , 2005: 51-54.
• Военная доктрина Российской Федерации. . Москва., 2014.
• Герасимов, В. vpk-news. february 27, 2013. https://vpk-news.ru/articles/14632 (accessed june 20, 2021).
• Путин, В. Стратегия безопасности Российской Федерации. Москва: Канцелярия Российской Федерации, 2015.
• კახა, კაციტაძე. სტრატეგიის საფუძვლები. თბილისი: ცისარტყელა, 2007.

53

კიბერბულინგი უხილავი საფრთხე

CYBERBULLYING AN INVISIBLE THREAT

ემილი ფოჩხუა
III კურსის იუნკერი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

EMILI POCHKHUA
III YEAR JUNKER
LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ხელმძღვანელი: გიორგი კოხრეიძე ასისტენტ-პროფესორი

SUPERVISOR: GIORGI KOKHREIDZE ASSISTANT PROFESSOR

გორი
GORI
2021

54

აბსტრაქტი

ინტერნეტისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ბევრ დადებით მხრესთან ერთად შექმნა უხილავი საფრთხის შემცვლელი სივრე, სადაც ადამიანები ერთმანეთის მიმართ კიბერ სივრცეში ბულინგს ახორციელებენ. კიბერბულინგი აქტუალური განხილვის საკითხს წარმოადგენს ბოლო წლების განმავლობაში, რადგან ის გლობალური სახის პრობლემა გახდა, ინტერნეტის, სოციალური ქსელების, ონლაინ თამაშებისა და სხვადასხვა ონლაინ საკომუნიკაციოს პლატფორმებზე მომხმარებელთა რაოდენობის მატებამ გაზარდა კიბერ სივრცეში კიბერბულინგის უკონტროლო შემთხვევბები. საკონფერენციო ნაშრომი-„კიბერბულინგი უხილავი საფრთხე“ ასახავს იმ პრობლემებს თუ რა შედეგები მოაქვს კიბერ ბულინგს, ვინ არის მასში ჩართული სუბიექტები, რა სახის ტაქტიკა გააჩნია და ზოგადად როგორ გავლენას ახდენს ის ადამიანის ფსიქოლოგიაზე და ცხოვრების ხარისხზე. ნაშრომი ასევე, მოყვანილი რეკომენდაციები და თუ როგორ არის შესაძლებელი საკუთარი თავისა და საყვარელი ადამიანების დაცვა ამ საფრთხისაგან.

საძიებო სიტყვა:
ბულინგი, კიბერბულინგი, სიძულვილის ენა, სექსტინგი, დოქსინგი, მუქარა, კიბერადევნება.

55

ABSTRACT

The development of the Internet and communication technologies, along with many positive aspects, has created an invisible threat replacement space where people bully each other in cyberspace. Cyberbullying has been a hot topic in recent years as it has become a global problem, with increasing numbers of users on the Internet, social networking, online gaming and various online communication platforms increasing uncon-trolled cases of cyberbullying in cyberspace. Conference paper - “Cyberbullying Invisible Threat” addresses the problems of cyber bullying, who are the subjects involved, what kind of tactics and in general how it affects the human psychology and quality of life. The paper also outlines the recommendations and how it is possible to protect yourself and loved ones from this threat.

KEYWORDS:
Bullying, cyberbullying, hate speech, sexting, doxing, threats, cyberbullying

56

XXI-ე საუკუნე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ინტერნეტის განვითარების საუკუნედ არის მიჩნეული. მოსახლეობის ზრდასთან ერთად მათი მომხმარებელთა რაოდენობაც მატულობს, 2021 წლის იანვრის დასაწყისში გამოქვეყნდა მონაცემები, რომელიც გვამცნობს რომ მსოფლიოს მოსახლეობა მიმდინარე წლის იანვრის დასაწყისში 7,831

მილიარდს შეადგენდა, მოსახლეობის დაახლოებით 60%-4.66 მილიარდი
ადამიანი იყენებს ინტერნეტს. მოსახლეობის დაახლოებით 66.6%-5.22 მილიარდს აქვს საკუთარი უნიკალური მოწყობილობა, ხოლო სოცილური მედიის მომხმარებელი 4.20 მილიარდს, მოსახლეობის საერთო რაოდენობის 53.6% შეადგენს.
ბოლო წლებია ნათლად ჩანს, ინერნეტი და ტექნოლოგიები დიდ რომლს თამაშობენ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ვმუშაობთ, ვსწავლობთ, ვეძებთ, ვუყურებთ, ვაგზავნით შეტყობინებებს, ვრეკავთ, მოკლედ მათი გამოყენებით სხვადასხვა სახის ოპერაციების შესრულება არის შესაძლებელი, რაც გვიმარტივებს ცხოვრებას, თუმცა, ბევრ დადებით მხარესთან ერთად ინტერნეტი და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ქმნიან ისეთ საფრთხის შემცვლელ სივრცეს, სადაც ადამიანები ერთმანეთის მიმართ შეურაწმყოფელ, მუქარის შემცვლელ და დააბულინგებელის სახის ქმედებებს ახორციელებენ კიბერ სივრცეში. კიბერბულინგი გახდა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საფრთხე ბოლოს წლების განმავლობაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ის განისაზღვრება როგორც კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით სხვა პირის ან პირთა ჯგუფის დაჩაგვრა, დამცირება დაცინვა, შეურაცხყოფა, ემოციური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება და სხვა, ასევე მცდარი ან რეალური ინფორმაციის გასაჯაროვება, რომელმაც შეიძლება დამანგრეველი გავლენა იქონიოს როგორც ზრდარულებზე, ასევე ბავშვებზე. კიბერბულინგი ეს არის ბულინგის ერთ-ერთი სახე. ბულინგი არის ინგლისური ტერმინი და ქართულ ითარგნება როგორც ჩაგვრა/ვიღაცის აბუჩად აგდება. არსებობს ბულინგი სამი სახე: ფიზიკური ბულინგი, ვერბალური ბულინგი და კიბერბულინგი.
მოდით ავხსათ თუ რითი განსხვავდება კიბერბულინგი ჩვეულებრივი ბულინგისაგან. ჩვეულებრივი ბულინგი მიმდინარეობს ოჯახებში, სკოლებში, სხადასხვა სახის თავშეყრის ადგილებში, მაგრამ რაც შეეხება კიბერბულინგს, ამ ქმედების განხორციელება შესაძლებელია ყველგან, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას. თუ ბულინგისთვის საჭირო ფიზიკური კონტაქტი, კიბერბულინგის განსახორციელებლად ეს პრობლემას არ წარმოადგენს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კიბერბულინგი უფრო საშიშია ვიდრე ფიზიკური ან ვერბალური ბულინგი, რადგან კიბერ სივრცეში ადამიანის დასაბულინგებლად ფიზიკურ ან სოციალურ ძალაუფლებას არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება, ასევე კიბერსივრცეში მარტივია საკუთარი ვინაობის დამალვა, შესაბამისად პირს შეუძლია ბულინგი განახორციელოს ანონიმურად.
კიბერბულინგში შემდეგი სუბიექტები იღებენ მონაწილეობას:
• კიბერბულინგის გამტარებელი (Cyber Bully) – ეს არის ადამიანი, რომელიც სხვა ადამიანის/ადამიანთა
ჯგუფის მიმართ მიზანმიმართულად ახორციელებს კიბერბულინგს;
• მსხვერპლი – ადამიანი, რომლის მიმართაც ხორციელდება მიზანმიმართული კიბერბულინგი;
• ბულინგის შემსწრე (Bystander) – კიბერბულინგის შემსწრეა ადამიანი, რომლის პოზიაცია შეიძლება იყოს პასიური, ან აქტიური, მაგალითად იწონებს, აზიარებს მაბულინგებელ მასალას ან თვითონაც აკეთებს ბულინგის წამახალისებელ კომენტარებს. ჩვენ ვნახეთ თუ ვინ იღებს მონაწილეობას კიბერბულინგში და როგორ არის შესაძლებელი ამ ქმედების განხორციელება, თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს სხვადასხვა სახის ტაქტიკა. ესენია:
• უხერხული შინაარსის მქონე კონტენტის გავრცელება - ფოტოს, ვიდეოს, კომენტარების, ჭორების, პირადი
ინფორმაციის და ა.შ გავრცელება, რომელიც ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს.
• სიძულვილის ენის შემცვლელი შეტყობინებების გავრცელება - მუქარის, სიძულვილის ან დამამცირებელი
შეტყობინებების გაგზავნა, პირადი ინფორმაციის გასაჯაროვება, რომელიც ეხება მსხვერპლის, ეთნიკურ წარმომავლობას, სარწმუნოებას, რასას ან პირის ფიზიკურ გარეგნობასა და უნარ-ჩვევებს;
• მუქარა - ზიანის მიყენება ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად.
• თვითმკვლელიბისკენ წაქეზება - ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელის ადამიანს მიიყვანს ამ
მდგომარეობამდე(მაგ: არასაჯარო ინფორმაციის გავრცელება,რომელიც ზიანს მოუტანს იმ პირს ვის მიმართაც ხორციელდება ეს კიბერბულინგი).
• შეცდომაში შეყვანა - უცხო ან მისთვის(მსხვერპლის) ნაცნობ ადამიანად თავის წარდგენა, რათა მიიღოს
ინფორმაცია და შემდეგ გამოაქვეყნოს.
• Sexting (სექსტინგი) - სექსალური შინაარსის მქონე მესიჯების ან ფოტოების გარვცელება, რომე¬¬ლიც

1 https://datareportal.com/reports/digital-2021-global-overview-report

57

მიზნად ისახავს დაცინვას, დაშანტაჟებას.
• Doxing (დოქსინგი) - გულისხმობს პირადი ინფორმაციის გავრცელებას, მაგალითად: საცხოვრებელი
მისამართი, პირადი, პასპორტი, საბანკო ბარათის ან მობილურის ნომერი, სოციალური პროფილის გვერდის და სხვა პირადი მონაცემების გასაჯაროება.
• კიბერადევნება - ეს არის მრავალჯერადი და არასარურველი სახის ქმედება, რომელიც გულისხმობს
კომუნიკაციის დამყარების მცდელობას ან თავად კომუნიკაციას, რომელიც შეიძლებელია გადაიზარდოს ფიზიკურ ადევნებასა და სექსუალურ შევიწროებაში.
კიბერბულინგი ყველაზე ხშირად ხდება სოციალურ ქსელებში, სხვადასხვა სახის ოპლაინ სათამაშო პლატფორმებზე, ე.წ ჩეთ რუმებში და სხვა. ზოგად კვლევებზე დაყრდობით Instagram არის ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი კიბერბულინგისთვის, შემდეგ მოდის Facebook და Snapchat, ასევე უნდა აღინიშნოს რომ TikTok გახდა ერთ-ერთი პოპულარული პლატფორმა ყველა ასკის ადამინებისთვის, სადაც აჯამად დაახლოებით 700 მილიონი მომხმარებელია. შესაბამისად, აქაც მზადრი საფრთხე შეიძლება წარმოიშვას და არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ერთი მოწინავე ადგილე აღმოჩნდეს კიბერბულინგის რაოდენობის მხრივ. რაც შეეხება ონლაინ სატამაშო პლატფორმებს, არსებობს ე.წ თამაშ-გამოწვევები, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით არის გავრცელებული, ამ თამაშებმა არასრულწლოვნების ფიზიკური დაზიანება და სუიციდიც გამოიწვია, ასეთი თამაშებია: ლურჯი ვეშაპი, მომო, ჩარლი-ჩარლი და სხვა.
რა შეიძლება იყოს კიბერბულინგი გამომწვევი მიზეზები და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ადამიანზე? რაც შეეხება გამომწვევ მიზეზებს, გამომწვევი მიზეზები შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგალითად: შურისძიება, სხვისი წარმატება, თავდაჯერებულობის ამაღლება ან თუნდაც გართობა, მაგრამ აქ ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ თუ რა შედეგთან შეიძლება მივიდეს ადამიანი.
ქვემოთ არის მოცემული 2017 წლის პედიატრიულ აკადემიურ საზოგადოებათა შეხვედრაზე წარმოდგენილი კვლევა,2

რომელიც ნათელი მაგალითია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს კიბერბულინგს
ადამიანის ფსიკიკაზე.

სურათი 1. 2017 წლის პედიატრიულ აკადემიურ საზოგადოებათა შეხვედრაზე წარმოდგენილი კვლევა.

როგორც ვხედავთ კიბერბულინგი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქოლოგიაზე და შესაბამისად მის ცხოვრების საერთო ხარისხზე. ამერიკელი მეცნიერები კიბერბულინგის შედეგების კლასიფიკაციას ორი ნიშნის მიხედვიდ ახდენენ, ესენია:
• ემოციურ-ფსიქოლოგიური: რომელიც აგრესიას, დარდს, ბრაზს, იმედგაცრუებას, თავდაჯერებულობის
დაკარგვას, შიშს, დაბალ თვითშეფასებას გულისხმობს, ასეთი ან მსგავსი მდგომარეობა კი თავის მხრივ საკუთარ თავში ჩაკეტვას, ირგვლივ მყოფთა უარყოფას და სხადასხვა ემოციურ-ფსიქოლოგიურ პრობლემებს იწვევს.

2 https://itxboss.altervista.org/cyberbullying-statistics-facts-and-trends-2020/

58

• ფიზიკური: თვითდაზიანების მიყენება, სუიციდზე ფიქრი და მცდელობა.
ასევე მინდა ავღნიშნო რომ, კიბერბულინგის რაოდენობამ საგრძნობლად იმატა Covid-19 გავრცელების შემდეგ, პრობლემის ზრდა გამოიწვია იმან, რომ სამუშაო პროცესი და განათლების მიღება დისტანციურ რეჟიმში გადავიდა. L1ght –მა გამოაქვეყნა ანგარიში კონავირუსის ეპიდემიის შედეგად ბოლოდროინდელი ონლაინ სიძულვილის ენისა და კიბერბულინგის ზრდის შესახებ. გამოქვეყებულ ანგარიშში მოცემულია რამდენიმე საგანგაშო კვლევის შედეგი, კერძოდ:
• 900% - ით გაიზარდა სიძულვილის ენა Twitter- ზე ჩინეთისა და ჩინელების მიმართ, მიზეზი კი ისა რომ
დაადანაშაულონ ისინი პანდემიის გავრცელებაში.
• 200% - ით მეტი ტრაფიკი სიძულვილის საიტებზე.
• 70% - ით იზრდება სიძულვილი ბავშვებსა და თინეიჯერებს შორის ონლაინ ჩეთების დროს, რაც ისინი
გადავიდნენ ონლაინ სწავლებაზე.
• ტოქსიკურობის 40%-იანი ზრდა პოპულარულ სათამაშო პლატფორმებზე, როგორიცაა Discord.
ზოგადად, კიბერბულინგი მსხვერპლები ყველაზე ხშირად არიან არასრულწლოვნების, რადგან ისინი ხშირ შემთხვევებში სწორად ვერ აფასებენ ინტერნეტში არსებულ საფრთხეებს და იმ შედეგებათან მიდიან რაც განვიხილეთ, ამიტომაც სასიცოცხლოთ აუცილებელია მშობლის მხრიდან მათი კონტროლი. არსებობს რამდენიე პროგრამა, რომელიც გვეხმარება თვალყური ვადენოთ არასრულწლოვნის მოწყობილობას და შემდგომ შესაბამისი ზომებიც მივიღოთ. ყველაზე პოპულარული პროგრამა, რომელიც google-მა შექმა არის google family link. პროგრამის გამოყენებისთვის საჭიროა მხოლოდ google-ის ანგარიში. პროგმამის საშუალებით თქვენ შეძლებთ:
* ანგარიშის შესახებ ინფორმაციის ნახვა, შეცვლა ან წაშლა.
* მოწყობილობაზე აპლიკაციების მართვა(დაბლოკოთ ან ნება დართოთ თქვენ შვილს გამოიყენოს
სასურველი აპლიკაციები) და ნახვა რამდენ ხანს იყენებთ აპებს.
* ლიმიტების დაყენება, რამდენად ხშირად და როდის შეგიძლიათ მოწყობილობის გამოყენება.
* ნახვა, სად მდებარეობს შვილის მოწყობილობა და ა.შ.
არსებობს ქართული მსგავსი ტიპის მქონე ფასიანი პროგრამა- „ინტერნეტ მშობელი“, შექმნილი სილქნეტის მიერ, რომელსაც თითქმის იგივე ფუქნციები გააჩნია, რაც google-ის პროგრამას.
რაც შეეხება სრულწლოვან ადამიანებს, აუცილებელია კიბერუსაფრთხოების წესების დაცვა, რადგან არავინ არის დაცული ინტერნეტში ამ უხილავი საფრთხისაგან. გაითვალისწინეთ: კარგად დაფიქრდით სანამ რამეს გაასაჯაროვებთ ინტერნეტ სივრცეში(ფოტო, ვიდეო, ოჯახის წევრების სახელები, სკოლა ან უნივერსისტები, რომელშიც სწავლობთ, ტელეფონის ნომერი, სამუშაო ან საცხოვრებელი მისამართი, იმწუთიერი ადგილსამყოფელი და სხვა). ტელეფონის, ტაბლეტის, აპლიკაციის, სოციალური მედიის (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტვიტერი, სნაპჩატი და ა.შ.) კონფიდენციალურობის პარამეტრები (Privacy Set-tings) დააყენეთ ისე, რომ აკონტროლოთ, ვის შეუძლია თქვენთან დაკონტაქტება, თქვენს პირად სივრცეში (კედელზე) პოსტის ან კომენტარის დატოვება ან მისი გაზიარება. ასევე ყურადღებით აირჩიეთ, ვის ანიჭებთ თქვენს მიერ გავრცელებულ ფოტოებზე, ვიდეოებსა თუ სხვა კონტენტზე წვდომას. ყურადღებით მოეკიდეთ, ვის უმეგობრდებით ონლაინ. დაიმეგობრეთ მხოლოდ ის ადამიანები, ვისაც პირადად იცნობთ და ენდობით. დაფიქრდით, სანამ რამეს დაპოსტავთ ან დააკომენტარებთ. გახსოვდეთ, ონლაინ სივრცეში არაფერი იკარგება. ერთხელ დაპოსტილი ან დატოვებული კომენტარი სამუდამოდ რჩება და ის შეიძლება, თქვენთვის არასასურველმა პიროვნებამ ნახოს და ეს ყველაფერი გამოყენებული იქნას თქვენს წინააღმდეგ. თუ თქვენს წინააღმდეგ ხორციელდება მიზანმიმართული კიბერბულინგი დარეკეთ 112-ში და არსოდეს წაახალისოთ ბულინგის წამახალისებელი კონტენტი, რადგან ამ დროს თქვენ ხდებით მასში მონაწილე.
ნებისმიერი სახის ბულინგი არის დანაშაული, კიბერბულინგს მსოფლიოში სხვადასხვაგვარად ებრძვიან, მაგალითად ამერიკის თითოეულ შტატს თავისი კანონი აქვთ ამ საკითხთან მიმართებაში. რაც შეეხება საქართველოს კიბერბულინგი როგორც დანაშაული საქართველოს კანონმდებლობით არ ისჯერბა. არსებობს 157 მუხლი,3

რომელიც გულისხმობს პირადი ან ოჯახური საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამოყენება ან/და გავრცელება ამა თუ იმ ხერხით გავრცელებული ნაწარმოების, ინტერნეტის, მათ შორის, სოციალური ქსელის, მასობრივი მაუწყებლობის ან სხვა საჯარო გამოსვლის მეშვეობით რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, პირი ისჯება ჯარიმით ანდა გამოსასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე, ასევე თუ ეს ქმედება ჩადენილია ანგარებით ან არაერთგზის პირი ისეჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

3 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2345397

59

გამოყენებული ლიტერატურა

1. ემილი ფოჩხუა, საბაკალავრო ნაშრომი-„კიბერბულინგი დღევანდელობის პრობლემა“, გორი 2021 წელი.
2. https://www.the74million.org/new-teen-survey-reveals-cyberbullying-moving-beyond-social-media-to-email-messaging-apps-you-
tube/ შემოწმებულია 06.06.2021
3. https://itxboss.altervista.org/cyberbullying-statistics-facts-and-trends-2020/ შემოწმებულია 06.06.2021
4. http://millab.ge/ka/mil-resources/any/28/any/any/ შემოწმებულია 06.06.2021
5. https://www.stopbullying.gov/cyberbullying/cyberbullying-tactics შემოწმებულია 06.06.2021
6. https://www.verywellfamily.com/what-are-the-effects-of-cyberbullying-460558 შემოწმებულია 06.06.2021
7. https://www.verywellfamily.com/what-are-the-effects-of-cyberbullying-460558#emotional-effects-of-cyberbullying შემოწმებულია
06.06.2021

8. https://observatory.tec.mx/edu-news/cyberbullying-on-the-rise შემოწმებულია 06.06.2021
9. https://l1ght.com/l1ght-releases-groundbreaking-report-on-corona-related-hate-speech-and-online-toxicity/ შემოწმებულია
06.06.2021

10. https://datareportal.com/reports/digital-2021-global-overview-report შემოწმებულია 06.06.2021
11. https://www.pacer.org/bullying/info/cyberbullying/ შემოწმებულია 06.06.2021
12. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2345397 შემოწმებულია 06.06.2021

60

მოტივაცია და ლოიალური დამოკიდებულება განათლების სისტემაში

MOTIVATION AND LOYAL ATTITUDE IN EDUCATION SYSTEM

კონსტანტინე შენგელია
III კურსის იუნკერი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

KONSTANTINE SHENGELIA
III YEAR JUNKER
LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ხელმძღვანელი: გია დუჩიძე ასოცირებული პროფესორი

SUPERVISOR: GIA DUCHIDZE ASSOCIATED PROFESSOR

გორი
GORI
2021

61

აბსტრაქტი

საქართველოს განათლების სისტემის მენეჯმენტი ქვეყნის განვითარების და წარმატებული ცხოვრების წინაპირობაა. სწორედ ამ სისტემის გამართული ფუნქციონირების ხარჯზე არის შესაძლებელი ავიდეთ ჩვენს მიერ დასახული მიზნის უმაღლეს მწვერვალზე, საიდანას გვექნება შესაძლებლობა ჩავეწეროთ განვითარებული ქვეყნების ჩმონათვალში.
ბუნებრივია განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები და მათი ათვისებისათვის სწორი პოლიტიკის გატარება არ წარმოადგენს მარტივ ამოცანას. შესაბამისად განათლების სისტემის მენეჯერებს აქვთ უდიდესი ვალდებულება, რათა უზრუნველყონ ქვეყნის განვითარებისთვის საუკეთესო საშუალების გამართული ფუნქციონირება.
საქართველოს განათლების სიტემას გააჩნია კონკრეტული სტრატეგიები, რომელიც მიმართულია მაქსიმალური მიზნისაკენ. მენეჯერები ცდილობენ მყისიერად გადაჭრან მათ წინაშე წამოჭრილი არსებული და გაუთვალისწინებელი პრობლემები. განათლების სისტემამ ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა, რისი მიზანიც იყო ევროკავსირის მიერ დაწესებულ სტანდარტის ჩარჩოებში მოქცევა.
განათლების სისტემა მოიცავს საკმაოდ ჩაშლის სტრუქტურას, სადაც ბუნებრივია, რომ იარსებებს პრობლემები. საქართველოს განათლების სისტემაში არსებულ ერთეულებში არის იდენტური პრობლემები, მაგრამ მათ გადასაჭრელად ერთნაირი რეფორმის გატარება არის პროდუქტიული, რადგან ყველა საფეხურს განსხვავებული სტრუქტურა და ამოცანები გააჩნია.
განვითარების უტყუარი საშუალება განათლებაა, შესაბამისად მათ მენეჯერებს ეკისრებათ უდუდესი ვალდებულება ქვეყნისადმი. განათლების სისტემის მიერ შემუშავებული სტრატეგიები და გატარებული რეფორმები, ამ ეტაპისთვის ჯერ კიდევ შორს არის დასახულ მიზანთან, მაგრამ ასევე უნდა ვთქვათ ისიც, რომ განათლება გრძელვადიანი პროექტია და შესაბამისად მოკლე ვადაში მაქსიმალური შედეგის მიღება არ უნდა მოვთხოვოთ სისტემის მენეჯერებს.

საკვანძო სიტყვები:
განათლების სისტემა, რეფორმები, მოტივაცია.

62

ABSTRACT

Management of the education system of Georgia is a prerequisite for the development and successful life
of the country. It is at the expense of the proper functioning of this system that it is possible to ascend to the highest peak of the goal set by us, from where we will have the opportunity to be included in the list of devel-oped countries.
Naturally, the challenges in the education system and pursuing the right policies to address them are not an easy task. Consequently, the managers of the education system have a great responsibility to ensure the proper functioning of the best means for the development of the country.
The Georgian education system has specific strategies aimed at the maximum goal. Managers try to in-stantly solve the existing and unforeseen problems that arise before them. The education system has recently undergone a number of important reforms aimed at bringing it into line with the standard set by the European Union.
The education system includes a rather disruptive structure where there will naturally be problems. There are identical problems in the units of the Georgian education system, but the same reform is productive to solve them, because all levels have different structures and tasks.
The unmistakable means of development is education, hence their managers owe the utmost commitment
to the country. The strategies developed by the education system and the reforms carried out are still far from the goal for this stage, but we must also say that education is a long-term project and therefore we should not ask the system managers to get maximum results in a short time.

KEYWORDS:
Education System, Development, Motivation.

63

განათლების სისტემის ძირითდი პრობლემები

მოტივაცია

საქართველოს განათლების სისტემის ყველა საფეხურში, განსაკუთრებით კი სკოლასა და უმაღლესი სასსწავლო დაწესებულებებში, როგორც მოსწავლეების ასევე მასწავლებლებშიც, ხშირად შეგვხვდება მოტივაციის პრობლემა.
შესაძლოა მასწავლებლების, ლექტორების და პროფესორების მოტივაციის ნაკლებობის გამომწვევ მიზეზად მივიჩნიოთ ხელფასის ნაკლებობა, განვითარების ნაკლები პერსპექტივა, დაუფასებლობაც კი, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით მოზარდებზე, რომელთა შესაძლებლობები და მიღწევები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. აღსანიშნავია ის ფაქტები და პრობლემები, რომლებიც წინა თვებში ვახსენეთ, საზოგადოების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ეხება. მიუხედავად ამისა ახალგაზრდების ის რაოდენობა, რომელთაც აქვთ საშუალება და უნარი, რათა აითვისონ და შემდეგ თვიანთი ცოდნით შესაბამის შედეგს მიაღწიონ, ბევრს არ აქვთ სწავლის მოტივაცია. სამწუხაროა, რომ მათი პროცენტული წილი გაცილებით მეტია ვიდრე სწავლას მოწყურებული ახალგაზრდების. ბუნებრივია ჩნდება კითხვა და შესაბამისად ამოცანა, თუ რა არის მთავარი პრობლემა და როგორ უნდა მოხდეს მისი გადაჭრა.
სკოლებში მოსწავლეების მიერ მოტივაციის და სწავლის მნიშვნელობაზე დაბალი პრიორიტეტის მინიჭების გამო, საქართველოს განათლების სისტემა დგება დიდი პრობლემის წინაშე. საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს საშუალება მიიღოს სკოლის განათლება, ამისათვის მას არ სჭირდება სკოლამდელი გამოცდილება (რა თქმა უნდა სასურველია თუ ბავშვს სკოლამდელი განათლების პროგრამა კარგად ექნება ათვისებული, რაც მას მეტი ინფორმაციის ათვისებაში დაეხმარება), უხშად, რომ ვთქვათ ასეთი მარტივი და აუცილებელი საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორიც სკოლაა, ყველაზე დიდი დიდი გამოწვევაა განათლების სისტემისთვის. ბუნებრივია ყველა მშობელს სურს საკუთარი შვილის კარგი განათლება და საზოგადოებაში დამკვიდრება, მიუხედავად საკუთარი შვილების სურვილისა. სწორედ ამ მიზეზის გამო მოსწავლეებში სკოლის და სწავლის სიყვარული ნაკლებია, რაც პირდაპირ კავშირშია მოტივაციასთან. ხშირად მოსწავლეების მიზანი სკოლის დასრულების ატესტატია და არა ცოდნა. უხეშად, რომ ვთქვათ მოსწავლეების უმრავლესობა ორიენტირებული არის მხოლოდ ბარიერზე, მათი მიზანი მინიმუმის მიწევაა, რომელიც საკმარისია სკოლის დასასრულებლად და მისი დამადასტურებელი საბუთის ასაღებად. აქდან გამომდინარე განათლების სამინისტრომ უნდა გაამახვილოს ყურადღება მოსწავლეებში მაქსიმალური მიზნებისკენ სწრაფვის საკითხში. ამ პრობლემის გადაჭრის გზად შესაძლოა შიდა ბარიერის აწევა იყოს, მაგრამ ეს მხოლოდ მოსაზრება და ჯერ არ არის დამტკიცებული.
სკოლებში მოსწავლეების დაბალი მოტივაცია აისახება პედაგოგების დამოკიდებულებაზე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მასწავლებელთა დიდი ნაწილის გადამზადების პროგრამა სტაბილურად კარგად ფუნქციონირებს, ამ მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონე საქართველოში ნორმალურია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ყველა სასკოლო დაწესებულების იდეალურად ფუნქციონირებას ვერ უზრუნველყოფს. მასწავლებლები ხშირად თავს დაუფასებლად გძნობენ, რადგან მათ უმეტესობას არ ეძლევა შანსი გამოიყენოს და პრაქტიკაში რეალობად გარდაქმნას მიღებული ცოდნა და გამოცდილება. ამის მიზეზი კი მოტივაციის ნაკლებობაა, მასწავლებლებს ხშირ შემთხვევაში უწევთ ისეთ აუდიტორიებში მუშაობა სადაც მათი საგნისადმი ინტერესი თითქმის ნულს უტოლდება, აქედან გამომდინარე მასწავლებელთა დამოკიდებულება და დემოტივაციის ფაქტორის საძირკველი სწორედ, რომ მოსწავლეების საგნისადმი დამოკიდებულების დამსახურებაა. გარდა ამისა პედაგოგების მოტივაციის ნაკლებობა კონკურენციის სიმცირითაც შეიძლება აიხსნას, მაგალითად მაღალმთიან რაინოებში, სოფლებსა და პატარა ქალაქებში ხშირად არის დეფიციტი კონკრეტული სპეციალისტის პოზიციაზე, რის გამოც ხშირია შემთხვევა, როდესაც არაკვალიფიცირებული კადრებით ავსებენ სკოლის ვაკანტურ ადგილებს, რაც პირდაპირ კავშირშია საბოლოოდ მიღებულ დაბალ შედეგზე. განათლების სისტემა ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიურად მუშაობს, მათი მიზანია პედაგოგის პროფესიის მიმზიდველობის გაზრდა.
უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სტუდენტები სკოლის პერიოდთან შედარებით დამოუკიდებლები არიან, მაგრამ ეს რამდენად აისახება მათ შედეგებზე საკამათოა. სტუდენტთა უმეტესობისთვის უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ საჯარო და კერძო სექტორში დასაქმების მთავარი მოთხოვნა დააკმაყოფილონ და არა იმისთვის, რომ არჩეული პროფესიის შესაბამის ცოდნას დაეუფლონ. ამის ყველაფრის მთავარი მიზეზი უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების სიმარტივე და სტუდენტების

64

დაბალი მოტივაცია არის. აბიტურიენტების ნახევარზე მეტი კმაყოფილდება ბარიერის გადალახვით, რომელიც მიუხედავად საერთაშორისო სტანდარტებისა ძალიან დაბალია და მისი გადალახვა არ წარმოადგენს დიდ გამოწვევას, ამის შედეგად კი ვიღებთ ისეთ სტუდენტებს, რომელთა მოტივაცია ცოდნის დაუფლებისადმი საკმაოდ დაბალია, ეს ყველაფერი კი საბოლოოდ აისახება საქართველოს მომავალზე. საბედნიეროდ ჩვენს ქვეყანაში არიან ისეთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც დაწესებულია შიდა ბარიერები, რაც საგრძნობლად ზრდის კონკურენციას და პროდუქტიულობას, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სასწავლებლები შედარებით მეტ გადასახადებთან არის დაკავშირებული ვიდრე სხვები.
მოტივაციის ნაკლებობა არა მხოლოდ ზემოთ განხილულ სიტუაციებში გვხვდება, არამედ ის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებებში გარკვეული მოცულობით გვხვდება, რაც საბოლოო ჯამში აისახება საბოლოო შედეგზე. საქართველოს განათლების სისტემის მენეჯერები აქტიურად მუშაობენ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მათი მიზანია შექმნან ისედი გარემო და შეიმუშავონ ისეთი სტრატეგიები, სადავ მნიშვნელოვანი როლი დაეთმობა ცოდნას, გამოცდილებას, პრაქტიკას და არა უნრალოდ განათლების დამადასტურებელ საბუთს. განანათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს მიზნამდე გასავლელი გზის საჭიროების გათავისება მოზარდებში და ასევე გაზარდოს კონკურენცია სხვადასხვა პროესიებზე.
ზემოთ განხილული პრობლემების გადასაჭრელი გზების მოძიება, საქართველოს განათლების სისტემის საკვანძო ამოცანა არის, რადგან ისედაც მცირე ბიუჯეტის მქონე სისტემაში არ მოხდეს ფულადი რესურსების ისე დახარჯვა, რომ ვერ მივიღოთ სასურველი ან სასურველთ დაახლოებული შედეგი.

ლოიალური დამოკიდებულება და ნეპოტიზმი

ლოიალური დამოკიდებულება და ნეპოტიზმი არა მხოლოდ საქართველოს განათლების სისტემის, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა სფეროში ძალიან დიდი პრობლემაა, მაგრაამ ამით ყველაზე დიდ დარტყმას და დაზიანებას განათლების სისტემა იღებს, რადგან სწორედ მისი ვალია ქვეყანაში ადამიანური რესურსის განვითარების დონის ამაღლება.
საქართველოს მოქალაქეთა გონებაში დამკვიდრებული და დაუწერელ კანონად ქცული ლოიალური დამოკიდებულების საკითხი არა თუ უშედეგო არამედ საზიანოა საქართველოს განათლების სისტემისთვის. ის მოქალაქეები, ვინც სრულყოფილად და კანონის სრული დაცვით აკეთებს თავის საქმეს, ხშირ შემთხვევაში საზოგადოების კრიტიკის ქვეშ ხვდებიან, რადგან საქართველოს მოქალაქეების უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ თვალის დახუჭვა გარკვეულ საკითხებში აუცილებელიც კი არის, მაგრამ ყველა მათგანი აღიარებს, რომ კარგი შედეგის მისაღწევად საუკეთესო საძირკველი არის საჭირო.
საქართველოს განათლების სისტემის უკლებლივ ყველა საგანამათლებლო საფეხურზე გვხვდება ადამიანური რესურსების მიმართ ლოიალური დამოკიდებულების ფაქტები, რაც პირდაპირ უსვამს ხაზს საბოლოო შედეგზე. უხეშად, რომ ვთქვათ განათლების სისტემას უწევს ისეთი ადამიანების შენახვა, რომლებიც დაკისრებული მოვალეობის არასრულფასოვნად შესრულების გამო, აფერხებენ და ზიანს აყენებენ სისტემის გამართულად ფუნქციონირებას, რაც მაქსიმალური მიზნისკენ სწრაფვის წინაპირობაა.
ლოიალური დამოკიდებულების ყველაზე დიდი კონტინენტი არის სკოლა და უმაღლესი საგანამათლებლო დაწესებულებები. ხშირია შემთხვევა, როდესაც მასწავლებლები და ლექტორები თვალს ხუჭავენ სტუდენტთა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების რეალურ დონეზე და თუ საჭიროება იქნება ქულების არადამსახურებულად მომატებაზეც არ ამბობენ უარს. მსგავსი დამოკიდებულების ახსნა შეიძლება ნეპოტიზმით, ქრთამით და მსგავსი არაკანონიერი გზით, მაგრამ რეალურად ეს საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრის შედეგია, რომელიც გულისხმობს, რომ რბილი მიდგომა და დარღვევებზე თვალის დახუჭვა კარგი ადამიანისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო საქმისადმი, კანონის სრული დაცვით, მიდგომა საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია და ხშირ შემთხვევაში მსგავსი ადამიანები მოქალექეების მხრიდან კრიტიკის იღებენ. საქართველოს განათლების სისტემის ყველა საფეხურის თანმიმდევრული გავლა და და სასურველ სიმაღლემდე ასვლა მოქალაქეთა გარკვეული ნაწილისთვის დიდი გამოწვევა ხოლო, უდუდესი ნაწილისთვის უბრალოდ სავალდებულო ხასიათს ატარებს. სწორედ ბოლოს ნახსენები ადამიანების მიმართ ლოიალური დამოკიდებულების შედეგია არაპროფესიონალი ადამიანური რესურსის დიდი მასა, რომლებიც გამუდმებით აპელირებენ ქვეყანაში დასაქმების პრობლემის მოგვარებაზე. რეალურად კი სავალალო შედეგის წინაშე ვდგავართ, არაპროფესიონალი კადრებით დაკონპლექტებული სამსახურების დიდი ნაწილი სამუშაოს შესრულების დროს აწყდებიან შეფერხებებს, გაურკვევლობას და შესაბამისად იქმნება ქაოსი, რაც ხელს უშლის არა მხოლოდ კონკრეტული სფეროს, არამედ საქართველოს სწრაფი განვითრებისათვის აუცილებელი

65

გზების სწრაფად ათვისებას.
საქართველოს საჯარო და კერძო სამსახურებში კონკრეტულ თანამდებობებზე დანიშნული მომუშავე პერსონალის, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთი, ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა დაკავებული თანამდებობობის მოხოვნებს. ამ პრობლემით არის შესაძლებელი ავხსნათ მოტივაციის ნაკლებობა და პროფესიებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. მაგრამ ყველაზე საგანგაშოა ის ფაქტი, რომ დღევანდელ საქართველოში ჯერ კიდევ შევხვდებით ნეპოტიზმის, ქრთამის და მსგავსი არაკანონიერი გზით დასაქმებულ ან დაწინაურებულ ადამიანთა დიდ მასას, რომელთა განათლების დონე და შესაბამისად პროდუქტიულობა არ არის თანხვედრაში დაკავებულ პოზიციასთან შედარებით. აქიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი გზებით მიღებულ წარმატებას არა მარტო სამსახურის პერსპექტივა ეწირება, არამედ მთლიანად საქართველოს განვითარება ფერხდება, რადგან მსგავსი მოქმედებები ახალგაზრდებს მოტივაციას უქვეითებს.
ნეპოტიზმის არსებობიდან გამომდინარე, უხეშად, რომ ვთქვათ ისეთ ახალგაზრდებს, რომლებსაც ჰყავთ ხელის შემწყობი ადამიანი, რომელიც ყველაფრის მიუხედავად მისი წარმატებული კარიერის გარანტია, ცდილობენ მხოლოდ დააკმაყოფილონ მინიმალური, აუცილებელი მოთხოვნები, რომელიც საჭიროა საქართველოს სამსახურების უდიდეს ნაწილში, შესაბამისად კი იჩაგრებიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც თვიანთი შრომით მიღწეული შედეგის პრაქტიკაში გამოყენების საშუალება არ მიეცათ. განათლების სისტემის მენეჯერები ცდილობენ მაქსიმალურად შეამცირონ მსგავსი შემთხვევები, ისინი აყალიბებენ კონკრეტულ სტრატეგიას, რისი მიხედვითაც დასაქმება უნდა მოხდეს პროფესიის და კვალიფიიკაციის მოთხოვნების შესაბამისად, რაც საქართველოს მოქალაქეებს თავიდან აგვარიდებს არაპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებულ კერძო და საჯარო სამსახურებს.
ზემოთ განხილული საკითხებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალგაზრდების დამოკიდებულება სწავლისადმი მხოლოდ მათი დამსახურება არ არის. მოტივაციის ნაკლებობა პირდაპირი უკურეაქციაა ნეპოტიზმის ან სხვა არაკანონიერი გზების, რომელიც რეალური განათლების იგნორირებას გულისხმობს. აქედან გამომდინარე საქართველოს განათლების სისტემის მენეჯერებმა უნდა შეძლონ და მინიმუმამდე დაიყვანონ მსგავსი ფაქტები, რათა ყველა ადამიანი იყოს თანასწორი და შესაბამისად ყველას გააჩნდეს თანაბარი საშუალება, რომ მიიღოს სრულყოფილი განათლება და შედეგ ჯანსაღ კონკურენტულ გარემოში შეძლოს და გაიკვალოს გზა წარმატებისაკენ. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ წინა წლებთან შედარებით ზემოთ აღნიშნული პრობლემების პროცენტული მაჩვენებელი სტაბილურად იკლებს, მაგრამ ეს დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს, რადგან ლოიალური დამოკიდებულება და ნეპოტიზმი ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ძალიან აქტუალურ პრობლემად რჩება.

დასკვნა

საქართველოს განათლების სისტემის ფუნქციონირების დადებითად შეფასება შესაძლებელია, რადგენ ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში დამკვიდრებული წესების მომხრე ადამიანების რიცხვი საგრძნობლად დიდია, შესაბამისად კი სისტემას ვერ მოვთხოვთ ყველა ასპექტის იდიალურად ფუნქციონირებას. განათლების სისტემა პერიოდულად ანახლებს და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად იყენებს ახალ სტრატეგიებს, რომელიც მაქსიმალურად ორიენტირებულია საქართველოს მოქალაქეთა სწრაფი განვითარებისათვის, რაც ქვეყნის წარმატების წინაპირობაა.
ნაშრომში განვიხილეთ საქართველოს სართველოს განათლების სისტემის მიზანი, პრობლემები და მათი გადაჭრისათვის აუცილებელი და მყისიერი გზები. შესაბამისად შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველოს ეკონომიკის კრიზისის მიუხედავად სისტემა მცირე მაგრამ სწორი ნაბიჯებით მიიწევს წინ, მას განვითარებისთვის სწორი კურსი აქვს არჩეული. მიუხედავად ბევრი და დიდი პრობლემებისა განათლების კუთხით საქართველოში პერიოდულად შეინიშნება მცირე, მაგრამ სასიხარულო წინსვლა, რაც ქვეყნის სწორი განვითარების წისქვილზე ასხამს წყალს.
მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები აღიარებენ, რომ სახელმწიფოს განვითარების და წარმატებული ცხოვრების მისაღწევად საჭირო გზების მოძიება, ქვეყნის მოქალაქეთა ვალია. საქართველო შედის ისეთი ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც ადამიანური კაპიტალის პროფესიონალიზმი სასიცოხლო მნიშვნელობის მატარებელია. აქედან გამომდინარე მოქალაქეების გადამზადება და მათი ცოდნით შეიარაღბა საუკეთელო საშუალება არის, რისი მიღწევაც ჩვენი ეკონომიკური კრიზისის პარალელურად შეგვიძლია. ყველა სახელმწიფოსთვის სასურველია ექსპორტსა და იმპორტს შორის დადებითი სხვაობა, რაც

66

ქვეყნის მწარმოებლობის უნარზე უსვამს ხაზს. ბუნებრივია ისეთი ქვეყნები, რომელებსაც შესწევთ ძალა აწარმოონ და გაიტანონ საქოენელი გლობალურ ბაზარზე, უმეტეს წილად განვითარებული ქვეყნები არიან, სადაც განათლების დონე საგრძნობლად მაღალია საქართველოსთან შედარებით. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინოვაციური იდეების პრაქტიკაში განხორციელების საშუალება, სწორი და სრულყოფილი განათლების საფუძველზე დაყრდნობით შეგვიძლია.
განათლებული ადამიანების აზროვნება და ცხოვრებისეული მოთხოვნები რადიკალურად განსხვავდება გაუნათლებელი ადამიანისგან. თუ ახალგაზრდა მუდმივად ახლის ძიებაშია და არ კმაყოფილდება მინიმალური შედეგები, მაშინ ბუნებრივია ის არ დასჯერდება მხოლოდ ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ეცდება შეძლლოს და შექმნას თავისთვის შესაბამისი გარემო. სწორედ ასეთი ადამიანების სიმრავლეზეა ორიენტირებული საქართველოს განათლების სისტემის მენეჯმენტი. მათი მიზანია ახალგაზრდებს უხეშად, რომ ვთქვათ აიძულონ ახალი ინოვაციურ იდეებზე ფიქრი და შემდგომში მათი პრაქტიკაში განხორციელება, სწრედ ამით შევძლებთ ჩვენთვის სასურველი გარემოს ჩამოყალიბებას, რაც ქვეყნის განვთარებისთვის საჭირო კომპონენტია, რადგან ბედნიერების ინდექით მოწინავეთა რიგებში არიან ადამიანური რესურსების მაღალი დონის მქონე ქვეყნები.
საქართველოს განათლების სისტემის სტრატეგიებიში შეასაძლოა აღმოვაჩინოთ გარკვეული შეცდომები, მაგრამ ის უარყოფითად შეფასებას არ იმსახურებს, რადგან ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე რთულია განაზღვრო ყველა მოსალოდნელი საფრთხე, რომელიც შეაფერხებს კონკრეტული ამოცანი შესრულების მიმდინარეობას. გარდა ამისა სასიხარულოა ის ფაქტი, რომ სისტემაში პერიოდულად მიმდინარეობს მცირედი რეფორმები, რაც ცალსახად უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ყურადღება დეტალურად ექსევა სხვადასხვა საკითხებს.
ჭადრაკის დაფაზე ყელა ფიგურას თვისი პოზცია, ფუნქცი და ღირებულება გააჩნია, მაგრამ ყველა მათგანის მიზანი გამარჯვებაა. მხოლოდ რამოდენიმე ფიგურის კარგი მოქმედება არ არის საკმარისი მიზნის მისაღწევად, რდგან თექვსმეტივე ფიგურა ერთად უმკლავდება მოწინააღმდეგის მიერ წარმოქმნილ პრობლემებს, ჩვენ ვიცით, რომ პაიკი ყველაზე პერსპექტიული ფიგურაა, მას ლაზიერად გარდასახვა შეუძლია, ამისთვის მას დაფის ბოლო წერტილზე გასვლა სჭირდება, მაგრამ პაიკს ამისათვის მხოლოდ საკუთარი ძალა არ ყოფნის, მას სჭირდება მასზე უფრო დიდი ღირებულების მქონე ფიგურებისგან გზის გაკვალვა. რაც უფრო მეტი პაიკი გავა ბილო წერტილზე და გარდაისახება ლაზიერად, მით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ წარმატებულ შედეგს მივიღებთ. სწორედ ჭადრაკის მსგავსი სიტუაცია გვხვდება საქართველოს განათლების სისტემის მენეჯმენტში, მათი მიზანია წარმატებული და განვითარებული ქვეყნია, რომელიც ყველა საგანმანათლებლო ერთეულის სწორი ფუნქციონირების შედეგად მიიღება. პაიკის როლი უნდა მოვარგოთ ახალგაზრდებს, რომლებსაც უნდა შევუქმნათ ისეთი გარემო, რომ არ გაუჭირდეთ დასახული მიზნის მიღწევა, რითიც ისინი საკუთარი ქვეყნის წარმატების გარანტად იქცევიან. გარდა ამის ჭადრაკის მსგავსად საქართველოს განათლებილ სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულები, შესაბამისად ერთის ჩავარდნა სხვა ნაწილების ჩავარდნას გამოიწვევს, ამიტომ განათლების სისტემის მენეჯმენტმა სწორი პოლოტიკის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს თანაბარად განვითარების საფეხურებზე წარმატებული ნაბიჯების გადადგმა.
საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს განათლების სისტემის მენეჯმენტი დაკისრებულ მოვალეობას დადებითად ართმევს თავს. როგორც ვახსენეთ განათლება ისეთი სფეროა სადაც შედეგი გარკვეული დროის შემდეგ მიიღება, ამიტომ ჩვენ არ უნდა მოვთხოვოთ განათლების სისტემას მოკლევადიან პერიოდში უმაღლესი შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა

• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, https://www.mes.gov.ge/index.php?lang=geo , 2021წ.
• საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, http://www.economy.ge/ , 2021წ.
• საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, განათლება, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/193/ganatleba ,
2021წ.
• საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ბიუჯეტი, https://www.mof.ge/ , 2021წ.
• NDI - კვლევა, https://www.ndi.org/eurasia/georgia , 2021წ.

67

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
ISBN 978-9941-8-3694-7